

საზოგადოებრივი გამომცემლობა სა.გა.

განეანათლებლოგის დიალექტიკა
ფილოსოფიური ფრაგმენტები

მაქს ჰორკჴჰაიმერი
თეოდორ ვ. ადორნო

თარგმანი და ნარკვევი
დევი დუმბაძისა

თბილისი, 2012

Max Horkheimer und Theodor W. Adorno, Dialektik der Aufklärung.
Philosophische Fragmente. S. Fischer Verlag, Frankfurt am Main
1969.

Originally published as: „Dialektik der Aufklärung“. Copyright by
Social Studies Association, Inc., New York 1944.

All rights reserved by © S. Fischer Verlag GmbH, Frankfurt am Main
1969.

Die Übersetzung dieses Werkes wurde vom Goethe-Institut aus Mit-
teln des Auswärtigen Amtes gefördert.



წიგნის თარგმანი და გამოცემა შესაძლებელი გახდა გოეთეს
ინსტიტუტისა და ბოხუმის რურის უნივერსიტეტის საზოგა-
დო სტუდენტური კავშირის მხარდაჭერით.

| | |
|------------------------|------------------------------------|
| თარგმანი: | დევი დუმბაძე |
| გამომცემლები: | დევი დუმბაძე თენგიზ ირემაძე |
| რედაქტორები: | რუსუდან ასათიანი თენგიზ ირემაძე |
| ტექნიკური გამომცემელი: | სოსო დუმბაძე |

პირველი გამოცემა, 2012

ISBN 978-9941-0-44977

ყველა უფლება დაცულია

© საზოგადოებრივი გამომცემლობა სა.გა.
www.sa-ga.org

სარჩევი

| | |
|--|-----|
| ახალი გამოცემის ნინასიტყვაობა (1969) | 9 |
| ნინასიტყვაობა (1944/47) | 12 |
| განვანათლებლობის ცენტა | 21 |
| I ეპსკურსი: ოდისევი, ანუ | |
| მითოსი და განვანათლებლობა | 75 |
| II ეპსკურსი: შულიერი, ანუ | |
| განვანათლებლობა და ზეობა | 123 |
| კულტურის ინდუსტრია. განვანათლებლობა, | |
| როგორც მასების მოტყუება | 175 |
| ანტისემიტიზმის ელემენტები. | |
| განვანათლებლობის საზღვრები | 244 |
| ჩანაწერები და მონახაზები | 302 |
| საზრიანობის წინააღმდეგ | 302 |
| ორი სამყარო | 304 |
| იდეის გარდასახვა ბატონობად | 305 |
| მოჩვენებების თეორიის შესახებ | 309 |
| Quand même | 312 |
| ცხოველის ფსიქოლოგია | 313 |
| ვოლტერს | 314 |
| კლასიფიკაცია | 316 |
| ზვავი | 317 |
| იზოლაცია ურთიერთობით | 318 |
| ისტორიის ფილოსოფიის კრიტიკისათვის | 319 |
| ჰუმანურობის ძეგლები | 324 |
| დამნაშავის თეორიიდან | 324 |
| Le prix du progrès | 329 |
| უბრალო შიში | 331 |
| სხეულისადმი ინტერესი | 332 |
| მასობრივი საზოგადოება | 338 |
| წინააღმდეგობები | 340 |
| მონიშნული | 344 |
| ფილოსოფია და შრომის განაწილება | 346 |

| | |
|--|-----|
| აზრი | 349 |
| ადამიანი და ცხოველი | 350 |
| პროპაგანდა | 364 |
| სისულელის წარმოშობის შესახებ | 365 |
| | |
| დევი დუმბაძე: განმანათლებლობა და კატასტროფა. | |
| რატომ არის „განმანათლებლობის დიალექტიკა“ | |
| აქტუალური | 369 |
| | |
| შენიშვნები | 445 |

**განვითარებლობა და კუთასტროფა
რატომ არის „განვითარებლობის
დიალექტიკა“ აქტუალური**

დევი დუმბაძე

„განმანათლებლობის დიალექტიკა“ ისეთ ისტორიულ ვითარებაში დაიწერა, როცა დასავლეთის პროგრესული მოძრაობა სრული კრახის წინაშე იდგა. საზოგადოებრივი საშინელება, რომელსაც თეოდორ ვ. ადორნომ და მაქს ჰორკ-ჰაიმერმა „ახალი სახის ბარბაროსობის“¹ ცნება მოუნახეს, ბოლომდე რეალიზაციისკენ მიისწრაფვოდა. ამ ბარბაროსობის შედეგი იყო კატასტროფა, რომლისთვისაც ‘ჰოლოკოსტის’ ან ‘შოას’ სახელის დარქმევა უძლური დასტურია იმისა, რომ მომხდარი საკუთარი არათანაზომიერების გამო წარმოდგენის შესაძლებლობის ფარგლებს სცდება.² ჰქონდათ თუ არა წიგნზე მუშაობის დროს ადორნოსა და ჰორკ-ჰაიმერს ნაციონალსოციალისტური გერმანიის მიერ ევროპელი ებრაელების განადგურების პროცესზე დაწვრილებითი ცნობები, შეიძლებოდა შემთხვევითადაც კი ჩათვლილიყო.³

1 იხ. წინამდებარე გამოცემა, გვ. 12.

2 ინტერვიუში 2009 წელს გამოქვეყნებულ ავტობიოგრაფია „პატაგონიელი კურდელი“-ს შესახებ რეჟისორი კლოდ ლანცმანი, ავტორი ფილმისა „შოა“ (საფრანგეთი, 1985), ამბობს: „ფილმზე პასუხისმგებელი პირები მექანიზმით მიმდინარეობს: ‘მითხარით, და რა ჰქინია ამ ფოლმს? რა სათაური აქვს?’ მე მივუგი: ‘შოა’. მათ კი მკითხეს: ‘და რას ნიშნავს ეს? რა არის ამ სიტყვის მნიშვნელობა?’. ‘ეს სიტყვა ნიშნავს: ‘შოა’’. ‘მაგრამ თარგმნა რომ მოგვთხოვონ, მას ვერავინ გაიგებს’. მე ვუპასუხე: ‘დიას. მეც სწორედ ეს მინდა’. „შოა“ არის სახელი დაუსახელებადისათვის. ბიბლიურ ივრიოთების ნიშნავს კატასტროფას, ინტერვიუში ლოცმანი აცხადებს, რომ მას სიტყვა „შოა“ მოეწონა, რადგან ის ასე ბუნდოვანია და ვერ იტანს გამოთქმას „ჰოლოკოსტი“, რომლის მნიშვნელობაც „დამწვარი რელიგიური შენანირია“. „ჰოლოკოსტი“ ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელი იყო – დასძენს ლანცმანი – „რადგან, რა არის ‘ჰოლოკოსტი’? ეს არის მსხვერპლშენირვა ღმერთისათვის. ღმერთს შენირული კრავი“. რომელი ღმერთი მიიღებდა ებრაელი ბავშვების მსხვერპლს, კითხვულობს იგი? „სმართლე კი ის არის, რომ არ არსებობს სახელი იმისათვის, რაც მოხდა [ფილმზე – დ.დ.] თორმეტნლანი მუშაობის პერიოდში, ვერ ვარქმევდა ვერავითარ სახელს იმას, რასაც ჩემთვის, გულში, ვუწოდებდი უბრალოდ ‘ამას’. *La Chose*. სახელის დარქმევა კი ამისთვის არ შეიძლო. როგორ შეიძლება, არსებობდეს სახელი ისეთი რაღაცისთვის, რაც არასოდეს არ მომხდარა კაცობრიობის ისტორიაში?“, „Shoah Director Tells His Story in Patagonian Hare“, 20.03.2012, npr.org/2012/03/20/149016194/shoah-director-details-memoirs-in-patagonian-hare (30.03.2012) (ყველა თარგმანი სტატიაში ეკუთვნის ავტორს).

3 ‘დიალექტიკური ლოგიკის’ შესახებ ნაშრომის იდეა ჰორკჰაიმერს 1939 წელს, უკვე ჰოლოკოსტის კაბინონის დაწყებამდე გაუჩნდა. პირველი მონაბაზებიც მაშინვე შეიქმნა, თუმცა მხოლოდ 1941 წელს, ადორნოს ლოს ანუელსში გადასახლების შემდეგ, ავტორები შეუდგნენ იდეის განხორციელე-

ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობდა. ებრაელების განადგურების კატასტროფის მთელი მასშტაბი და მისი განუმეორებელი ხასიათი მხოლოდ *post mortem*, ისტორიული კვლევებით, თანდათან გახდა ცნობილი.⁴ კაცობრიობა, ან ის, რაც მისგან შემორჩა – იმ ორიოდ ქვეყანაში, სადაც ეს საკითხი საერთოდ აინტერესებდათ – უკეთეს შემთხვევაშიც მხოლოდ ფეხის მოთრევით ცდილობდა მომხდარის გაგებას. ხოლო, თუ როგორ იყო დაკავშირებული ეს მოვლენა იმ პოსტფაშისტურ რეალობასთან, რომელიც სწორედ შოას კატასტროფის შედეგად დამკვიდრდა დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც, ჩვეულებრივ, განიდევნებოდა. თუმცა არსებითი ებრაელების მდგომარეობის შესახებ ევროპიდან ამერიკაში გახიზული ფრანკფურტის „სოციალური კვლევის ინსტიტუტის“ ორი წარმყანი წარმომადგენლისათვის უკვე ცნობილი იყო – ისევე, როგორც ყველასთვის, ვინც გაეცნობოდა თუნდაც

ბას. შედეგად მიღებული „ფილოსოფიური ფრაგმენტები“ არ წარმოადგენენ დასრულებულ ნარკევეს ტრადიციული თეორიული ტრაქტატის აზრით. ისინი კრიტიკის ცდებია. „განმანათლებლობის დიალექტიკა“ გამოქვეყნდა 1944 წელს მიმეოგრაფიული ასლის სახით, ჯერ კიდევ ომის დასრულებამდე. 1947 წელს იგი პირველად გამოიცა ნიგბად „კერიდოში“, გერმანელი ემიგრანტი მწერლების ამსტერდამში მოქმედ ყველაზე მნიშვნელოვან გამომცემლობაში. იხ. Gunzelin Schmid-Noerr, „Editor's Afterword. The Position of *Dialectic of Enlightenment* in the Development of Critical Theory“, in: Max Horkheimer & Theodor W. Adorno, *Dialectic of Enlightenment. Philosophical Fragments*, თარგმ. Edmund Jephcott, Stanford 2002, გვ. 217.

4 ერთ-ერთი პირველი ისტორიული კვლევა, რომელიც ებრაელების განადგურებას კაცობრიობის ისტორიაში განუმეორებელ მოვლენად განიხილავს, ეკუთვნის რაულ ჰილბერგს. იხ. Raul Hilberg, *The Destruction of the European Jews* [1961], Yale Univ. Press 2003. ჰილბერგის ნაშრომი უხვად იყენებს გერმანული არქივების მასალას ამ მოვლენის ერთჯერადობის აღსანერად. სამი ეტაპიდან ნაციონალსოციალიზმი ებრაელების რეპრესიისა – ექსკომუნიკაცია, განდევნა, განადგურება – მესამე ისტორიულად სიახლეა. ჰილბერგი ეყრდნობა ფრანც ნოიმანის მიერ „ბეჭემოთში“ წარმოდგენილ თეორიას ნაციონალსოციალისტური ‘ანტისახელმწიფოს’ სტრუქტურისა და პრაქტიკის შესახებ. იხ. Franz Neumann, *Behemoth. Struktur und Praxis des Nationalsozialismus 1933-1944* [1942/1963], Frankfurt a. M. 1993. ნოიმანი, თავის მხრივ, ამერიკული ნლების პერიოდში „სოციალური კვლევის ინსტიტუტთან“ თანამშრომლობდა და მონაწილეობდა თეორიულ კამათში იმის თაობაზე, არის თუ არა ნაციონალსოციალიზმი „ახალი წესრიგი“, იხ. Friedrich Pollock, „Is National Socialism a New Order?“, *Studies in Philosophy and Social Science*, IX, 1941, გვ. 440-455.

ამერიკის ყოველდღიურ პრესას; მართალია, არა იმდენად მსხვილ გაზეთებს, რამდენადაც ებრაულ მუშათა ან რელიგიური ორგანიზაციების ორგანოებს.⁵ ნაცისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთანავე ისინი სულ უფრო ინტენსიურად სცემდნენ განგაშის ზარს ებრაელთა განწირულ მდგომარეობაზე. მაგრამ ამას, იმ იშვიათ შემთხვევებშიც კი, როცა აღინერებოდა დაუცველ მსხვერპლთა არა მარტო ფართომასშტაბიანი შევიწროვება და დევნა, არამედ მოგვიანებით უკვე დაწყებული სრული განადგურება, არსებითად არაფერი შეუცვლია ებრაელებისადმი დამოკიდებულებაში თვით დემოკრატიულ მოკავშირე ქვეყნებშიც. 1941 წელს „ნაციონალსოციალისტურმა გერმანულმა მუშათა პარტიამ“, NSDAP, ფარულად დაგეგმა ებრაელთა საკითხის ეგრეთ წოდებული ‚საბოლოო გადაჭრა‘, *Endlösung*, რის შედეგადაც უკვე მიმდინარე მკვლელობები საკონცენტრაციო ბანაკებისა და გაზის კამერების სისტემაში გადაიზარდა. მაგრამ შეწყნარების საგარეო პოლიტიკით გერმანიის შემორიგებას მაინც ცდილობდნენ დიდი ბრიტანეთიც და ამერიკის შეერთებული შტატებიც, სანამ ღერძი ბერლინი-რომიტოკიოს სახელმწიფოებმა უშუალოდ მათ არ შეუტიეს. და ამის შემდეგაც ებრაელების ბედი, მთელი მათი განწირული მდგომარეობის მიუხედავად, მოკავშირე სახელმწიფოების საზრუნავი არ გამხდარა.⁶ ანტიფაშისტური საბჭოთა კავში-

5 „ამერიკული ებრაული კომიტეტი“ (American Jewish Committee) *Contemporary Jewish Record*-ში რეგულარულად აქვეყნებდა ახალ ამბებს მასიბრივი მკვლელობების შესახებ. ისინი დაიწყუ 1941 წლის 22 ივნისს გერმანული ვერმახტის მიერ საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ. იმავე წლის 28 ოქტომბერს „ნიუ იორკ ტამსი“ წერდა: „როგორ ჩანს, ებრაელების სრული ამონ ევროპული ცხოვრებიდან ახლა უკვე გერმანიის გადაწყვეტილი პოლიტიკაა“. იხ. Rolf Wiggershaus, *Die Frankfurter Schule. Geschichte. Theoretische Entwicklung. Politische Bedeutung*, Frankfurt a. M. 1991, გვ. 347.

6 „ომის დაწყების შემდეგ, [ებრაელი – დ.დ.] ლტოლვილებისათვის გერმანიიდან ან გერმანიის მიერ იკუპირებული ქვეყნებიდან ამერიკული ვიზების რაოდენობა გამალებით ეცემოდა; ეს შესაძლებლობები გაცილებით უფრო შემცირდა, ვიდრე გათვალისწინებული იყო აშშ-ს ისდაც შეზღუდული კვოტების სისტემით. [...] უმტეს შემთხვევაში, 1940 წლის ზაფხულს, ემიგრაცია შეერთებულ შტატებში უიმედო ნამოწყებად იქცა.“ მთავარი მიზანი შეერთებულ შტატებში ებრაელი ლტოლვილების არშეშ-

რი კი მოლოტოვ-რიბენტროპის 1939 წლის პაქტის მეშვეობით პირდაპირ ხელსაც უწყობდა ნაციონალსოციალისტური სახელმწიფოს გაძლიერებას და ამ იძულებით მოკავშირეებს შორის პირველმაც იგემა საშედრო დარტყმა.

ჰორვათიმერისა და ადორნოსათვის, ერთი შეხედვით, კრიტიკული თეორიის მთავარი ნაშრომის საგანი შეცვალა სწორედ ებრაელების განადგურების სინგულარულმა მოვლენამ. თავდაპირველად ისინი განიზრახავდნენ ჰე-გელის ლოგიკის მეცნიერებასა და მარქსის პოლიტიკური ეკონომიკის კრიტიკაზე ორიენტირებული ‘დიალეტიკური ლოგიკის’ ხელახალ ფორმულირებას – თანამედროვეობის შესაბამისად. ამის აუცილებლობა განაპირობა იმ მარცხის გამოცდილებამ, რაც დასავლეთ ევროპაში, სწორედ გერმანიაში, მე-19 საუკუნეში გაძლიერებულმა მუშათა მოძრაობამ უკვე ვაიმარის რესპუბლიკაში განიცადა, ნაციონალსოციალისტების გაბატონების შედეგად კი დაასრულა საკუთარი დეზინტეგრაციით. თუმცა, ახლა ნაშრომის საგანად იქცა არა იმის თეორია, თუ რატომ არ შედგა, მაშასადამე, რევოლუცია – გერმანიაში მესამე ინტერნაციონალი მას 1923 წლისათვის გეგმავდა – არამედ, თუ რატომ არ შედგა ცივილიზაცია, როგორც ასეთი.⁷ საკუთარივე სავარაუდო ობიექტური კლასობრივი ინტერესის საპირისპიროდ, მუშათა უდიდესი ნაწილიც გერმანულ *Volksgemeinschaft*-ში ინტეგრირდა – რა-

ვებისა იყო მათთან ერთად გერმანელი აგენტების შემოღწევის, მეტიც, ამ არაპოპულარული ზომის გამო პრეზიდენტ რუზველტის მიერ არჩევნების წაგების შიში (იხ. Saul Friedländer, *Nazi Germany and The Jews. Volume II. The Years of Extermination. 1939-1945*, New York 2007, გვ. 84-86, ციტ.: 84.) ამერიკის ზენოლით ებრაელებს აეკრძალათ ემიგრაცია ჩილესა და ბრაზილიაშიც (იქვე). დიდმა ბრიტანეთმა 1940 წელს თავისი მანდატის ქვეშ მყოფ პალესტინაში მათვის საზღვარი ჩაკეტა. საბჭოთა კავშირი კი ებრაელებს დებულობდა მხოლოდ 1939 წლამდე, როცა გერმანიის რაინის მიერ პოლონეთის ოკუპაციის შემდეგ იქ მაცხოვრებელი ებრაელების საზღვრებს გარეთ, სსრკ-ს ტეროტორიაზე განდევნა დაიწყეს. ეს საბჭოთა პოლიტიკა შეწყდა იმავე წელს, საემიგრაციო კანონმდებლობის შეცვლის შედეგად. 1941 წელს კი გერმანიამ თავად დახურა საზღვარი ებრაელებისთვის და მათი სრული განადგურების გეგმის განხორციელებას შეუდგა (იქვე, გვ. 82, 91).

7 იხ. Wiggershaus, *Die Frankfurter Schule*, გვ. 347.

სისტულ სახალხო ერთობაში, რომელმაც განახორციელა ეპრაელთა ‘ანტირასის’ მასობრივი ამოხოცვა, დაიწყო რა ამისათვის მეორე მსოფლიო ომი, აქტიური მონინააღმდეგეები კი შინაგან პოლიტიკურ რეპრესიებში გაანადგურა. „ჩვენი მიზანი მართლაც არ ჩამოუვარდებოდა იმას, რომ ვწვდომოდით, თუ რატომ იძირება კაცობრიობა ახალი სახის ბარბაროსობაში, ნაცვლად იმისა, რომ ჭეშმარიტად ადამიანურ მდგომარეობაში გადავიდეს.“⁸

„ჭეშმარიტად ადამიანურ მდგომარეობაში“ თავისუფალ ადამიანთა ის გაერთიანება იგულისხმება, რომლის რეალურად არსებულ უარყოფად, სხვა ქვეყნებთან ერთად, ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირიც. დასავლეთის კომუნისტური პარტიიები კი მას მხარს უჭერდნენ. პირველი სტალინისტური ტერორის წმენდის კამპანიებს 1930-იან წლებში ახორციელდებდა, ეს პარტიიები კი მას ამყოლად ამართლებდნენ, რადგან თავადაც სურდათ ბოლშევიკების მსგავსი რევოლუციით საკუთარ ქვეყნებში სახელმწიფო ძალაუფლების ხელში ჩაგდება. მხოლოდ გერმანიაში კი არა, მსოფლიოში მიმდინარე ძირეული საზოგადოებრივი ძვრები მათვის მათი ეგრეთ წოდებული ‘სტალინიზაციის’ ფაზამდეც შეუცნობელი დარჩა. ტრადიციული მარქსისტული თეორიით აღჭურვილები, ასეთი პარტიიების მრწამსი იყო ეტატიზმი შიდა პოლიტიკაში და ანტიპროლიზმი საგარეოში, მისი საფუძველი კი შრომის ფეტიშიზმი. გერმანიის სოციალდემოკრატიულმა პარტიამ, თავისი კონსტიტუციონალისტური რეფორმიზმის გამო, ნაციონალსოციალისტების აღზევება შეიწყნარა და მას ხელი შეუწყო კიდეც, მაშინაც, როცა ხელთ ეპყრო წინააღმდეგობის საპარლამენტო საშუალებები. გერმანიის კომუნისტური პარტიაც, მისი ინტერნაციონალისტური მრწამსის მიუხედავად, ხშირად მიზნობრივად თანხვდებოდა, და პარლამენტის გარეთ ზოგჯერ თანამშრომლობდა კიდეც, ნაცისტების კონფორმისტულად აჯანყებულ მემარჯვენე ანტიკაპიტალიზმან.

8 წინამდ. გამ., გვ. 12.

გერმანელი სოციალდემოკრატები ქვეყანაში გავრცელებულ ანტისემიტიზს იმდენად უგულებელყოფნენ, რამდენადაც თავად ასრულებდნენ ერის წარსული დიდების აღორძინების პატრიოტულ პოლიტიკას. მათი ლეგალიზმი ჩამორჩენილი აღმოჩნდა ნაცისტების პირდაპირი ქმედებების წინაშე. კომუნისტური პარტია კი, რომელსაც სოციალდემოკრატებიც ემტერებოდნენ, ერთი მხრივ, ანტისემიტიზმს კაპიტალისტების კლასის მიერ მუშებისათვის თავს მოხვეული იდეოლოგიურ პროპაგანდად აქარნყლებდა. ანტისემიტიზმი „სულელი კაცის სოციალიზმად“ ირაცხებოდა, გამოთქმა, რომელსაც მცდარად მიაწერდნენ ავგუსტ ბებელს: გაბატონებული კაპიტალისტები ხალხის სამართლიან რისხვას საკუთარი თავიდან უმცირესობაზე, ებრაელებზე, გადაამისამართებდნენ. თუმცა კომუნისტების თვალშიც ებრაელები კაპიტალიზმს სისხლხორცეულად განასახიერებდნენ. ამიტომ, მეორე მხრივ, ანტისემიტიზმის მხოლოდ თეორიული გაკიცხვის მიუხედავად, ‘ებრაელების ფინანსური კაპიტალის’ წინააღმდეგ მიმართულ ამ სახალხო სიძულვილს ისინი სასარგებლოდ თვლიდნენ და მას აღვივებდნენ კიდეც. მედიდური ინსტრუმენტალიზმით, კომუნისტებს სურდათ ანტისემიტური ღვარძლის უკან მართებულად დანახული ანტიკაპიტალიზმი დანარჩენი „მსხვილი კაპიტალისტების“⁹

9 უკვე 1923 წელს რუთ ფიშერი, ავსტრიის კომუნისტური პარტიის თანადამფუძნებელი, მაშინდელი გერმანული კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანოს წევრი, ერთ-ერთ ლონისძიებაზე, სადაც „საგანგებოდ მიინვიეს სახალხო [völkisch] მოწინააღმდეგები“, მათი გულების მოგებას ასეთი სიტყვებით ცდილობდა: „მაშ, თქვენ ებრაელის კაპიტალის წინააღმდეგ გამოსვლისაკენ მოგვიწოდეთ, ბატონებო? ვინც ებრაელის კაპიტალის წინააღმდეგაა, ბატონებო, უკვე კლასობრივი მებრძოლია, მაშინაც კი, როცა მან ეს არ იცის. თქვენ ებრაელის კაპიტალის წინააღმდეგი ხართ და ბირჟის საქმოსნების დამარცხება გსურთ. სწორეა! გაულიტეთ ებრაელი კაპიტალისტები, ჩამოკიდეთ ისინი ბოძებზე, გაასწორეთ მინასთან. მაგრამ, ბატონებო, რას იტყვით მსხვილ კაპიტალისტებზე, შტინებზე, კლიოკნერებზე?...“, იხ. Olaf Kistennmacher, „Klassenkämpfer wider Willen. Die KPD und der Antisemitismus zur Zeit der Weimarer Republik“, Jungle World, 28, 2011. ფიშერის სიტყვებს ეწინააღმეგებოდნენ ცალკეული კომუნისტები, როგორც ანტინაციონალისტი და სტალინის წინააღმდეგი „საბჭოების კომუნისტი“ ფრანც პფემფფერტი. მაგრამ ეს კრიტიკა მეტწილად უშედეგო დარჩა პარტიის გენერალური ხაზისათვის. ფიშერის სიტყვებს, მართა-

წინააღმდეგ ბრძოლაში გამოყენებინათ.

ასეთი კრიზისული ვითარება უკვე ნაციონალსოციალისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებამდე დიდი ხნით ადრე დასავლეთ-აღმოსავლეთის მემარცხენეთა არა მარტო პარტიების აპარატებში, არამედ ასევე სამეცნიერო წრეებში დამკვიდრებული მარქსიზმის კრიტიკას მოითხოვდა. „სოციალური კვლევის ინსტიტუტიც“ ფრანკფურტში სწორედ კრიტიკული მარქსიზმის განვითარების მიზნით დაფუძნდა. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დროს რეალობად ქცეულმა კატასტროფამ კორექტივი შეიტანა იმ თავდაპირველ პროგრამაშიც, რომელსაც მაქს ჰორკჰაიმერი, ამ ინსტიტუტის მესამე დირექტორი, 1930-იანი წლებიდან ავითარება.

I. კრიტიკული თეორია – ტრადიციული მარქსიზმი

საზოგადოების რადიკალური გარდაქმნის იმედის მქონე ინტელექტუალებისთვისაც, 1920-იან წლებში, მემარცხენეთა სოციალდემოკრატიული განშტოება ნდობას ვეღარ დაიმსახურებდა. გერმანიაში 1918-1919 წელს რევოლუციის მართლაც განხორციელებული მცდელობის დროს სდპ-მ მონაწილეობა მიიღო „სპარტაკისტი“ მეთაურების, როზა ლუქსემბურგის და კარლ ლიბკნეხტის, მკვლელობებში.¹⁰ კომუნისტური პარტია, თავის მხრივ, რუსეთის ბოლშევიკური რევოლუციის მოულოდნელი წარმატების შემდეგ, თანდათან მოექცა სტალინისტური საბჭოთა კავშირის ზენოლის ქვეშ. მასში ინტეგრაცია ნიშნავდა დამოუკიდებელ აზროვნებაზე უარის თქმას და მისი უკვე წამოწყებული პოლიტიკური წმენდის აქციების ლეგიტიმაციის იარაღად ქცევას. მოსკოვის პროცესების შემდეგ, ჯერ კიდევ მისი საქმიანობისადმი კე-

ლია, გაცილებით უფრო თავშეეავებული გამოთქმებით, პარტიის ორგანო Rote Fahne-ში იმავე წელს კომინტერნის ნევრი კარლ რადეკიც იმეორებდა (იქვე).

10 **იბ.** Saul Friedländer, *Nazi Germany and the Jews. Volume I. The Years of Persecution. 1933-1939*, New York 1997, გვ. 91.

თილგანწყობილებმაც, ჰორკჰაიმერისა და, უფრო ნაკლებად, ადორნოს ჩათვლით, საბჭოთა კავშირის სოლიდარობა საბოლოოდ უკუაგდეს.¹¹ „განმანათლებლობის დიალექტიკის“ ბარბაროსობის ცნება გულისხმობს როგორც ნაცისტების ნამდვილ აღზევებას, ისე იმ საზოგადოებრივ პირობებსაც, რომლებმაც ეს აღზევება საერთოდ შესაძლებელი გახადა. რევოლუციის დამარცხება დასავლეთში აშკარად მათ რიცხვს განეკუთვნებოდა. იმის მიზეზი, რომ საყოველთაო თავისუფალი და ბედნიერი სიცოცხლის მიღწევით მოტივირებულმა მუშათა მოძრაობამ, საკუთარი უძლურებისა და მტრების ძლიერების ფონზე, არათუ რევოლუციის განხორციელება ვერ შეძლო, არამედ მისი გაუქმების პირობებსაც ამყარებდა, დამკვიდრებული თეორიის უპირობო გადახედვას აუცილებელს ხდიდა.

კატასტროფის შეჩერება ვერ მოახერხა ვერც რადიკალური გადატრიალების მომხრე, ვერც ბურუუაზიული საზოგადოების დამცველების რეფორმისტულმა პოლიტიკურმა ძალამ. თეორია კი, რომლითაც ხელმძღვანელობდა პირველთა პრაქტიკა, რადგან ის რეფორმიზმის არსის წვდომაზეც აცხადებდა პრეტენზიას, რთულად თუ იქნებოდა გაკრიტიკებული ისეთ სამეცნიერო ინსტიტუციურ კონტექსტში, რომლის მესვეურებიც, როგორც ეს ვაიმარის პერიოდის პრუსიული სულისკვეთებით გამსჭვალულ გერმანულ უნივერსიტეტებს ახასიათებდა, უკეთეს შემთხვევაში, თავად სამოქალაქო „სტატუს კვოს“ შენარჩუნებას ესწრაფვოდნენ. კრიტიკას ვერც ავტორიტარული პარტიის ორგანოების ზედამხედველობის ქვეშ გაეხსნებოდა ასპარეზი. მის სულ უფრო მეტად მოსკოვზე დამოკიდებულ ცვალებად პოლიტიკურ ხაზთან უთანხმოებას გერმანული პარტია ხშირად საერთო საქმის დალატად და მისგან გადახრილთა დისკვალიფიკაციის საფუძვლად აღიქვამდა.

და მაინც, დასავლეთ ევროპა რჩებოდა, საბჭოთა კავშირ-

11 იხ. Martin Jay, *Dialektische Phantasie. Die Geschichte der Frankfurter Schule und des Instituts für Sozialforschung. 1923-1950* [ინგ. 1973], Frankfurt a. M. 1981, გვ. 39.

თან შედარებით, უფრო ნოუიერ ნიადაგად, რათა დამკვიდრებული მარქსისტული თეორია – მისი ორთოდოქსული თუ არაორთოდოქსული განშტოებებითურთ და გადაკვეთებით ბურჟუაზიულ სოციოლოგიურ კონცეფციებთან – პოლიტიკური ზეგავლენებისაგან მეტ-ნაკლებად დამოუკიდებლად გამხდარიყო შეუზღუდავი კრიტიკის საგანი. არა მარტო პარტიისაგან, საერთოდ პრაქტიკისაგან მოწყვეტა ამისთვის აუცილებელი წინაპირობა აღმოჩნდა. ნაკლებად შეზღუდული კი ასეთი მოღვაწეობა გახდებოდა მხოლოდ გარკვეული ეკონომიკური დამოუკიდებლობის პირობებში, რისი ერთ-ერთი საშუალებაც კრიტიკული თეორიის საქმიანობას გერმანიაში 1922 წელს მიეცა. ფელიქს ვაილმა, ებრაული წარმოშობის გერმანელი ხორბლეულის მაგნატის, ჰერმან ვაილის, შვილმა, რომელმაც, თავის მხრივ, საკუთარი კაპიტალი არგენტინაში მარცვლეულის ევროპაში ექსპორტით დააგროვა, ფინანსური საფუძველი ჩაუყარა ქალაქ ილმენაუში „პირველ მარქსისტულ სამუშაო კვირეულს“. მემარცხენე პოლიტოლოგმა ვაილმა დისერტაცია სოციალიზმის განხორციელების პრაქტიკული პრობლემების შესახებ კარლ კორშის მიერ გამოცემულ სერიაში გამოაქვეყნა.¹² „სამუშაო კვირეული“, რომელშიც, კორშის გარდა, მონაწილეობდნენ გეორგ ლუკარი, რიხარდ ზორგე, ფრიდრიხ პოლოკი, კარლ ავგუსტ ვიტ-ფოგელი და სხვა მარქსისტი თეორეტიკოსები, შედგა სულისკვეთებით, რომ თუკი განსხვავებული მიმდინარეობების მარქსისტებს უთანხმოებების დისკუსიით გარკვევის საშუალება მიეცემოდათ, ეს „ჭეშმარიტ“ ან „სუფთა“¹³ მარქსიზმს გამოიღებდა შედეგად.

1923 წლის თებერვალში, თავისი მეგობრის, ფრიდრიხ პოლოკის თანაშემწეობით – ეკონომისტის, რომელმაც იმავე წელს დაწერა ნაშრომი კარლ მარქსის ფულის თეორიის შესახებ – ფელიქს ვაილმა „კვირეულის“ საფუძველზე დააარსა ფრანკფურტის ნაკლებად ტრადიციულ, ლიბერალურ უნი-

12 იბ. Wiggershaus, *Die Frankfurter Schule*, გვ. 21-27.

13 იბ. Jay, *Dialektische Phantasie*, გვ. 23.

ვერსიტეტთან ორგანიზაციულად ასოცირებული, მაგრამ მისი ეკონომიკური ზედამხედველობისგან დამოუკიდებელი „სოციალური კვლევის ინსტიტუტი“. საკუთარი და მამის კაპიტალიდან ვაილი ინსტიტუტის შენახვისათვის საგანგებოდ შექმნილ ფონდს წელიწადში 120 ათას მარკას გადასცემდა. „ინსტიტუტის“ დირექტორად შეარჩიეს ეკონომისტი კურტ ალბერტ გერლახი. თუმცა მისი უეცარი გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრედ მალევე მოიწვიეს ავსტრიელი ეკონომისტი კარლ გრიუნბერგი, რომელიც ვენაში გამოსცემდა „სოციალიზმისა და მუშათა მოძრაობის ისტორიის არქივს“.

ამ „გრიუნბერგის არქივის“ სახელით ცნობილ საერთაშორისო გამოცემაში მარქსიზმი ემპირიული მეთოდით გამოირჩეოდა. მარქსისტული ანალიზი „არსებითად ინდუქციურია; მისი შედეგები არ აცხადებენ დროსა და სივრცეში მნიშვნელადობაზე პრეტენზიას“, არამედ „მხოლოდ შეფარდებითი, ისტორიულად განპირობებული მნიშვნელობა აქვთ“.¹⁴ არადოგმატური გაგება მარქსიზმისა, რომელიც არ ეძებს ზეისტორიულ ჭეშმარიტებებს, მოგვიანებით დამკვიდრებული კრიტიკული თეორიის გაგებას შეესაბამებოდა. თუმცა შემეცნების ინდუქციური თეორია, რომელიც გრიუნბერგის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ანალიზს იმდროინდელ პოზიტივიზმთან აერთიანებდა, აღარ იძლეოდა იმ „სოციალური ფაქტების“¹⁵ ისტორიული გენეზისის გარკვევის საშუალებას, რომლებიც ემილ დიურკემმა სოციოლოგიის საგნად განსაზღვრა. ტრადიციული მარქსისტული შეხედულება ღირებულებაზე, ფულსა, კაპიტალზე, სამართალზე, სახელმწიფოსა და მთლიანად კულტურაზე, როგორც ობიექტურად მოცემულზე, ამგვარად, ისევ რჩებოდა ემპირიული კვლევების არარეფლექტირებულ ნანამდღვრად. გრიუნბერგის მიერ წამოწყებული კვლევებიც შემოიფარგლებოდა მუშათა მოძრაობის ისტორიით, თუმცა „არქივშიც“ და ინსტიტუ-

14 იქვე, გვ. 29.

15 იხ. Kenneth Thompson (გამ.) *Readings from Emile Durkheim*, New York 2004, გვ. 43.

ტის სამეცნიერო სერიაშიც თეორიული შრომებიც ქვეყნდებოდა.¹⁶

1927 წელს, გრიუნბერგის დაავადების შემდეგ, დირექტორის ფუნქციებს პოლოკი ასრულებდა. 1929 წელს კი იგი შეცვალა ინსტიტუტში მისი დაფუძნებიდანვე მომუშავე მაქს ჰორკამერმა, ფილოსოფიის დოქტორმა ფრანკფურტის უნივერსიტეტიდან და პოლოკის ბავშვობის მეგობარმა. ჰორკამერმა სადოქტორო ნაშრომი დაიცვა ფრანკფურტში არაორთოდოქს კანტიანელ ჰანს კორნელიუსთან. ისევე, როგორც ორიოდ წელში საპაბილიტაციო ნაშრომი, ისიც ეხებოდა კანტის მსჯელობის უნარის კრიტიკას. უკვე ჰაბილიტაციისას ჰორკამერს აინტერესებდა თეორიული და პრაქტიკული გონების გაშუალება ტელეოლოგიური მსჯელობის უნარით. ინსტიტუტის დირექტორის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი კათედრა გადაკეთდა სოციალური ფილოსოფიის კათედრად, რაც ასახავდა არა მარტო ჰორკამერის განსხვავებულ თეორიულ ინტერესებს, არამედ იმას, თუ რა მიზნებს უსახავდა იგი „სოციალური კვლევის ინსტიტუტის“ საქმიანობას მთლიანობაში. ჰორკამერმა ინსტიტუტის სამომავლო სამეცნიერო პროგრამა ფილოსოფიისა და სოციალური მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე ჩამოაყალიბა.¹⁷

16 ორივე ასპექტზე მოუთოთებუნ ინსტიტუტის ადრეული ნამუვანი თანამშრომლების – პოლოკის, გრისმანის, ვიტფოგელისა და ბორკენაუს მონოგრაფიების სათაურები: Friedrich Pollock, *Die planwirtschaftlichen Versuche in der Sowjetunion, 1917-1927*, Leipzig 1929; Henryk Grossmann, *Das Akkumulations- und Zusammenbruchsgesetz des kapitalistischen Systems*, Leipzig 1929; Carl August Wittfogel, *Wirtschaft und Gesellschaft in China*, Leipzig 1931; Franz Borkenau, *Der Übergang vom feudalen zum bürgerlichen Weltbild*, Paris 1934.

17 მოდევნო გადმოცემა ეყრდნობა: Max Horkheimer, „Die gegenwärtige Lage der Sozialphilosophie und die Aufgaben eines Instituts für Sozialforschung“ [1931], მისივე: *Gesammelte Schriften* [HGS], ტ. 3, Schriften 1931-1936, გამ. Alfred Schmidt, Frankfurt 2009, გვ. 20-35.

2. საზოგადოების კვლევა – ისტორიის ფილოსოფია

აქტუალური ფილოსოფიური ინტერესის ცენტრში ჰორკ-ჰაიმერისთვის იდგა სოციალური ფილოსოფია, რადგან ფილოსოფია იმანენტური განვითარებით მივიდა იქამდე, რომ მის ძირითად საგნად იქცა სოციალური სინამდვილე. ჰორკ-ჰაიმერის მოხსენების თანახმად, ფილოსოფიური იდეალიზ-მი კანტთან, ინდივიდუალური ცნობიერებიდან გამომდინარე, ცდილობდა კულტურული ფენომენების განსაზღვრას: ზნეობის, სამართლის, რელიგიის, ხელოვნების. ჰეგელის ფილოსოფია კი, ასეთი ცალმხრივი სუბიექტივიზმის უკუმგდები, ცდილობს სუბიექტური სულის ობიექტურ, საგნად ქცეულ და ინსტიტუციებში გამყარებულ სულთან გადახლართვის დასაბუთებას. მაგრამ, თუ გაზიარებული იყო სოციალური სფეროს ცენტრალურობა, არ არსებობდა თანხმობა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო მისი ფილოსოფიური გააზრება. ჰორკჰაიმერი ჰეგელს ეყრდნობა, რადგან სწორედ ჰეგელი კანტისეული ავტონომიური სუბიექტის თვითგანაზრების ინდივიდუალური ინტროსპექციის ჩარჩოსგან გათავისუფლდა. მან ადამიანური არსის – კულტურის ავტონომიურ შემოქმედად წარმოდგენილი სუბიექტის – საკითხი ისტორიის შრომის სფეროში გადაიტანა. ჰეგელის თანახმად, ეს არსი საგნობრივად საზოგადოებრივ დაწესებულებებში იმკვიდრებს თავს. თუმცა ჰეგელისათვის კერძო ადამიანის განსაზღვრება ზოგადის ბედისწერაში რეალიზდება, ინდივიდუალური კი იმთავითვე ექვემდებარება იმას, რაც საზოგადოებრივად ზოგადია. კერძოს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არის ამ ზოგადის ხორცებს სხვ. სწორედ ჰეგელის ფილოსოფიის მაგალითზე ჰორკჰაიმერი გადმოსცემს იმ პრობლემას, რასაც აწყდება სოციალური ფილოსოფია, მის თანახმად, თანამედროვეობაში.

გონებრივი მიზნის განხორციელება ჰეგელმა მიანდო ისტორიის დამოუკიდებელ სვლას, საბოლოოდ, მსოფლიო სულს, რომელიც „კონკრეტული იდეების სახით, ხალხების

სულებში¹⁸ იყრის თავს. მსოფლიო ისტორიაში მსოფლიო სული გამოვლინდება სახელმწიფოების აუცილებელი თან-მიმდევრობის სახით, ეს ისტორიული განვითარება კი ინ-დივიდების ცოდნისაგან დამოუკიდებელია. თუ ჰეგელი აღიარებს, რომ, მაგალითად, ფრანგული განმანათლებლობა და ინგლისური ლიბერალიზმი კონკრეტული ადამიანების ცოცხალი კერძო ინტერესების შედეგია და სწორედ მათი „ვნებებია“ იმ ისტორიის მამოძრავებელი ძალები, რომელ-შიც „საერთოდ არაფერი ხორციელდება მათი ინტერესის გარეშე, ვინც ისტორიაში მონაწილეობს“¹⁹, მაშინ, როგორც ჰორკჰერიმერი აღნიშნავს, დიდი პიროვნებებისა თუ მასობრივ ინტერესებსაც ერთნაირად უწევთ გონიერი განვითარების კანონის „ცბიერად“²⁰ გამოყენება, თუკი სურთ რეალიზა-ცია. ჰორკჰერიმერის მითითებით, ლიბერალი ეკონომისტე-ბის, ადამ სმიტისა, უან-ბატისტ სეისა და დეივიდ რიკარდოს მსგავსად, ჰეგელიც ისტორიის პროცესს ერთგვარ თვითრე-გულირებას მიაწერს. „ნებელობათა აურზაურის“²¹ შედეგად კერძო ინდივიდუალური ინტერესები უწებლიერ საზოგა-დოებრივ მთლიანობას გონიერად ავითარებენ, რადგან იძუ-ლებული ხდებიან, აღსრულებისათვის ზოგადი გონიერებით გაუცნობიერებლად ისარგებლონ.²² ისტორია რეალიზდება

18 Georg Wilhelm Friedrich Hegel, *Grundlinien der Philosophie des Rechts oder Naturrecht und Staatswissenschaft im Grundsrisse*, მისივე: Werke [HW], ტ. 7, გამ. Eva Moldenhauer და Karl Markus Michel, Frankfurt a. M. 1986, § 352, გვ. 508; იბ. Horkheimer, „Die gegenwärtige Lage der Sozialphilosophie“, გვ. 22.

19 Georg Wilhelm Friedrich Hegel, *Vorlesungen über die Philosophie der Geschichte*, HW 12, გვ. 37; იბ. Horkheimer, „Die gegenwärtige Lage der Sozialphilosophie“, გვ. 22.

20 იბ. Hegel, *Vorlesungen über die Philosophie der Geschichte*, გვ. 49.

21 იბ. Hegel, *Grundlinien der Philosophie des Rechts*, § 189, დამატება, გვ. 347; იბ. Horkheimer, „Die gegenwärtige Lage der Sozialphilosophie“, გვ. 23.

22 „ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ყველა საკუთარი თავის მიზანია, ყველა დანარჩენი მისთვის არაფერია. თუმცა სხვებთან კავშირის გარეშე, მას არ შეუძლია საკუთარი მიზნების მოცულობას მიაღწიოს, და სწორედ ეს სხვე-ბი არიან მიღენად კერძოს მიზნის საშუალება. კერძო მიზანი კი, სხვებთან კავშირით საკუთარ თავს ანიჭებს ზოგადის ფორმას და კმაყოფილდება, ვინაიდან ამავე დროს აქადემიულებს სხვის კეთილდღეობასაც.“ იბ. Hegel, *Grundlinien der Philosophie des Rechts*, § 182, დამატ., გვ. 340 დ.შ. იბ. Horkhei-mer, „Die gegenwärtige Lage der Sozialphilosophie“, გვ. 23.

ამ კერძო ინტერესების სისხლიან დაპირისპირებაში მათი „სასაკლაოს“²³ სახით. მაგრამ, თუ ემპირიული დამკვირვებლისათვის ისტორიული პროცესი არის ბრძოლების თანმიმდევრობა, ჰეგელის თანახმად, ფილოსოფია უკვე ამ პოზიციაზე მაღლა დგას.²⁴

ჰეგელისეულ „გარდასახვაში“ იყარგება ცალკეული არაიგივეობრივი ინდივიდი. კერძო დაქნინებულია იმ ზოგადი ცნების ფონზე, რომელიც, დასრულებულად, სახელმწიფოს სახით ხორციელდება. სასრული ინდივიდი კი სახელმწიფოში საკუთარი თავისუფლების ცნებობრივ ცნობიერებამდე აღწევს უბრალო იდეალისტური სპეკულაციით.²⁵ ჰორკჰერი მერის ანალიზით, როგორც კი მე-19 საუკუნის გერმანიაში ჰეგელის მეტაფიზიკური სისტემის რეპუტაცია დაეცა, უკვე ოპტიმისტური მომავლის მქადაგებელ ინდივიდუალისტურ საზოგადოებაში ამ ობიექტური სულის მეტაფიზიკის ადგილი „ნინასწარ დადგენილი ჰარმონიული კერძო ინტერესების უშუალო რწმენამ“²⁶ დაიკავა. გაქრა არსებულის კავშირის ფილოსოფიური წვდომა, ემპირიული პროცესი კი ინდივიდისათვის აღმოჩნდა სხვა არაფერი, თუ არა სწორედ ის „ნებელობების აურზაური“, რაც მას „უძლურს ტოვებდა საზო-

23 Hegel, *Vorlesungen über die Philosophie der Geschichte*, გვ. 35.

24 „ის, რასაც სინამდვილეს ვუწოდებთ სხვა შემთხვევაში, ფილოსოფია განიხილავს გახრწნილად, რაც დიასაც შეიძლება მოჩერება იყოს, მაგრამ არ არის თავისთავადი ნაკდვილი. ამ წვდომაში კი მოცემულია ის, რასაც შეგვიძლია ვუწოდოთ წუჯეში აბსოლუტური უბედურების ნირმოდების, მომხდარის შეშლილობის ფონზე. ეს წუჯეში, ამავე დროს, მხოლოდ იმ ბორტის შემცველია, რომელიც არ უნდა მომხდარიყო და, ამდენად, სასრულში სახლობს. მაშასადამე, ფილოსოფია წუჯეში არ არის, არამედ ამაზე მეტია, ის შევარიგებს; ფილოსოფია გარდასახას იმ სინამდვილეს, უსამართლოდ რომ მოგვეჩევება – გონიერად, ნარმოაჩენს მას იმად, რასი საფუძველიც თავად იდეამა და რთიც გონება უნდა დაკამაყოფილდეს.“ Georg Wilhelm Friedrich Hegel, *Vernunft in der Geschichte*, გმ. Johannes Hoffmeister, Hamburg 1995, გვ. 78. იხ. Horkheimer, „Die gegenwärtige Lage der Sozialphilosophie“, გვ. 23.

25 იხვე, გვ. 24.

26 „იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს კერძოს ემპირიული არსებობისა და საზოგადოებრივ მთლიანობაში მისი თავისუფლების ცნობიერების გაშუალებისათვის ფილოსოფია კი აღარ იყო საჭირო, არამედ მხოლოდ სწორხაზოვანი პროგრესი პოზიტიურ მეცნიერებაში, ტექნიკასა და ინდუსტრიაში.“ იქვე.

გადოებრივი ძალების წინაშე“.²⁷ ჰორკჰერი ხაზს უსვამს, რომ საღი აზრით შეიარაღებული კერძო პირები, რომლებიც უშუალოდ მათ წინ მყოფი მიზნების მიღმა არ იყურებიან, ვეღარ ხედავენ მოპაქერე განცალკევებული ნებელობების უკან ისტორიის ძალას, რომელსაც, არადა, ჰეგელის თანახმად, გონიერა სასურველის მისაღწევად იყენებს. ფილოსოფიაში ამის შედეგად აღმოცენდა ირაციონალიზმი, რომელიც, სამაგალითოდ, არტურ შოპენჰაუერის მოძღვრებაში, ისტორიას მტრულად დაუპირისპირდა და ადამიანური არსებობისადმი პესიმისტური დამოკიდებულება დაამკვიდრა.

ასეთი დიაგნოზით აღნერს ჰორკჰერი საზოგადოებრივი თეორიის თანამედროვე მდგომარეობას. „ინსტიტუტის“ დაარსების პერიოდში, განსხვავებული შეფერილობის სოციალური ფილოსოფიის სისტემებს აერთიანებდა მტკიცება, რომ ინდივიდის არსებობის საზრისი ხორციელდება ისეთ ზეპიროვნულ ერთეულებში, როგორიც არის კლასი, სახელმწიფო ან ერი, თუმცა – და ამას თვლის ჰორკჰერიმერი გადამწყვეტად – ამით დიქოტომია ზოგადსა და კერძოს შორის ვერ დაიძლეოდა. პირდაპირი სენიების გარეშე, ჰორკჰერი აქ, ამავე დროს, აკრიტიკებს გაბატონებული მარქსიზმის შეხედულებებსაც.²⁸ ზოგადი ურთიერთობებისა და ინდივიდის დაპირისპირების პრობლემა, როგორც ასეთი, მარქსიზმში არ ფიგურირებდა, არამედ, ჰეგელის მსგავსი მოდელით, უკვე გადაწყვეტილად მიიჩნეოდა. ტრადიციული მარქსიზმისათვის, მარქსისგან განსხვავებით, ინდივიდი, ასე ვთქვათ, არ წარმოადგენდა სირთულეს: მისი თეორიის ქვაკუთხედად რჩებოდა სოციალისტური სახელმწიფო და არა სახელმწიფოსაგან, როგორც ბატონობის ფორმისაგან, სოციალური გათავისუფლება.

27 იქვე.

28 ასეთი დამოკიდებულება მარქსისადმი მაშინაც კი, როცა მსჯელობა მისასა და ენგელსას აზრებს ეყრდნობოდა, ჰორკჰერის ახასიათებდა; ის თავს იჩენს, მაგალითად, მის ნაშრომშიც *Anfänge der bürgerlichen Geschichtsphilosophie* [1930], HGS 2, გვ. 179-270. ეს იყო დოგმატური მარქსიზმისაგან დისტანცირების გამოხატულება, იხ. Zvi Rosen, *Max Horkheimer*, München 1995, გვ. 77/8.

ლენინი სახელმწიფო კაპიტალიზმს მიიჩნევდა სოციალიზმის აუცილებელ ისტორიულ წინაპირობად. სახელმწიფო კაპიტალიზმი, მის თანახმად, 1918 წლის რუსეთში რევოლუციის შემდეგაც ჯერ კიდევ შორს იყო რეალიზაციისგან – სამაგიეროდ, პრუსიული გერმანია უკვე მის ნიმუშს წარმოადგენდა. თავად სოციალისტური სახელმწიფოც განისაზღვრებოდა სხვა არაფრად, თუ არა „ბურჟუაზიული“ და „იმპერიალისტური“ შინაარსისაგან განმენდილ იმავე სახელმწიფო კაპიტალიზმად.²⁹ მართალია, „კომუნიზმში“ ივარაუდებოდა ბურჟუაზიული „დემოკრატიის“ თანდათან გაუქმება და ძალადობაზე მონოპოლიის მქონე სახელმწიფოს გაუჩინარება, რის ნაცვლადაც უნდა დამკვიდრებულიყო „ელემენტარული“, საუკუნეების განმავლობაში ცნობილი, ათასწლეულებით ყველანაირი ვარიანტებით განერილი თანაცხოვრების წესები, ძალადობის გარეშე, ძალადატანების გარეშე, ძალადატენიბისათვის არსებული იმ განსაკუთრებული აპარატის გარეშე, რომელსაც ენოდება სახელმწიფო“.³⁰ თუმცა, ლენინი უცნაურად აიდეალებდა კაპიტალიზმამდელ წარსულს, რომელშიც ძალაუფლება არ იყო ბურჟუაზიული სამართლით გაშუალებული, მისი პირად ბატონობაზე დამკვიდრებული ეკონომიკური ურთიერთობები კი თავისუფალი ინდივიდების საზოგადოების მოდელს ვერ წარმოადგენს. ასევე, სახელმწიფო აპარატს იგი ალამაზებდა მხოლოდ აუცილებელ ინსტრუმენტად

29 იხ. ვladimir Lenin, *O 'левом' ребячестве и о мелкобуржуазности* [1918], მისივე: Полное собрание сочинений, т. 36, Москва 1967, гл. 300: „აქ [გერმანიაში – დ.დ.] საქმე გვაქვს თანამედროვე მსხვილი კაპიტალისტური ტექნიკისა და გეგმითური ორგანიზაციის 'ბოლო სიტყვასთან', რომელიც ემორჩილება იუნკერულ-ბურჟუაზიულ იმპერიალიზმს. მოაშორეთ ხაზგასმული სიტყვები, დააყენეთ სამხედრო, იუნკერული, ბურჟუაზიული, იმპერიალისტური სახელმწიფოს ადგილას იგივე სახელმწიფო, ოლონდ სხვა სოციალური ტიპისა, სხვა კლასობრივი შინაარსისა, საბჭოთა, ე.ი. პროლეტარული სახელმწიფო და მიიღებთ ყველა იმ პირობის ჯამს, რომელიც გვაძლევს სოციალიზმს.“ შდრ. Friedrich Engels, *Die Entwicklung des Sozialismus von der Utopie zur Wissenschaft*, MEW 19, гл. 223.

30 იხ. ვладимир Ленин, *Государство и революция* [1917], იქვე, ტ. 33, გვ. 83. შდრ. Engels, *Die Entwicklung des Sozialismus von der Utopie zur Wissenschaft*, гл. 224.

გარდამავალ პერიოდში ხალხისა და სახელმწიფოს იმავე ნიმუშის მიხედვით შესარწყმელად, რამაც, ყველა უდიდესი განსხვავების მიუხედავად ამ ორ სახელმწიფოს შორის, გერმანიაში ისტორიული ნიადაგი მოუმზადა ნაციონალ-სოციალისტურ სახალხო ერთობას. საბჭოთა კავშირი კი სინამდვილეშიც იმის სამოთდააწლიან მტკიცებულებად იქცა, რომ, ლენინისა და მისი ბურჟუაზიული ანტიპოდების საპირისპიროდ, თანამედროვე სახელმწიფო სუვერენი არავის და არაფრის საშუალება არ არის, არამედ ის არის ინდივიდუალურ ადამიანთაგან დამოუკიდებელი თვითმიზანი.³¹ სსრკ-ში განხორციელებული ჯერ სტალინისტური, შემდეგ ავტოკრატიული სახელმწიფო კაპიტალიზმის სახით, საბჭოთა სუვერენი პოლიტიკისაგან დამოუკიდებელი უკანასკნელი საზოგადოებრივი ქმედების გაუქმებისაკენ ილტვოდა.

პორკჰაიმერი აყალიბებს მოდელს, რომლითაც მას კერძოსა და ზოგადს შორის ხსენებული კავშირის დამყარება შესაძლებლად წარმოედგინება. მისი მიზანია, ამავე დროს, სოციალური სფეროს ონტოლოგიზაციის უკუგდება, როგორც მას ადგილი ჰქონდა, მაგალითად, მაქს შელერის ღირებულების მატერიალურ ეთიკაში; ის ღირებულებულებების თავისთავად არსებობას ვარაუდობდა. ხოლო, მარტინ ჰაიდეგერის მიერ „ყოფნა და დროში“ ჩამოყალიბებულ სოციალურ ფილოსოფიაზე, რომელიც ადამიანის არსებობასა და მასში ზრუნვას ‘ეგზისტენციალიების’ სახით ამარადიულებს, პორკჰაიმერი აღნიშნავს, რომ ის საკუთარი შინაარსით სწორედ არ არის ჰეგელის აზრით გარდამსახველი. ადამიანური ყოფნა ამ ფილოსოფიისთვის არის ყოფნა სიკვდილისათვის. ის არის ცარიელი სასრულობა. ჰაიდეგერისეული ონტოლოგია არის „მჭმუნვარე ფილოსოფია“³², რომელიც აკმაყოფილებს ნატვრას, საზრისი მიენიჭოს არსებობას მაშინაც

31 თანამედროვე მსოფლიო ბაზრის პირობებში სახელმწიფოს ინტენციონალური მართვადობის, საბოლოოდ, მსოფლიო სუვერენის მოჩვენების შესახებ იხ. Gerhard Scheit, *Der Wahn vom Weltsouverän. Zur Kritik des Völkerrechts*, Freiburg 2009, განს. გვ. 95-126.

32 Horkheimer, „Die gegenwärtige Lage der Sozialphilosophie“, გვ. 26.

კი, „როცა სიცოცხლე ინდვიდუალური ბედნიერებისაკენ სწრაფვის აღსრულებას აფერხებს“.³³

ამდენად, სოციალური ფილოსოფია, ჰორკჰერის თანახმად, კრიტიკულად არის განწყობილი იმ პოზიტივიზმის მიმართ, რომელიც სოციოლოგიურ მიმდინარეობებში, როგორც, მაგალითად, ვილფრედო პარეტოსი, ხსენებულ ზეპიროვნულ სტრუქტურებს, კლასს, ერს, კაცობრიობას, ობიექტურების სახით, უარყოფს. მათი არსებობის დაშვებას სოციოლოგიური პოზიტივიზმი თავად მიიჩნევს განსხვავებული საზოგადოებრივი მსოფლმხედველობების შედეგად, ისინი კი ერთმანეთის მიმართ არავითარ უპირატესობას არ ფლობენ. ერთის მტკიცებულებას იგივე ღირებულება აქვს, რაც მეორისას. ამდენად, პოზიტივიზმის შემეცნების თეორია რელატივიზმში ექცევა. ისეთ განსხვავებულ გავრცელებულ წარმოდგენებს საზოგადოების შინაარსზე – ამბობს ჰორკჰამერი – როგორც ოგიუსტ კონტანტ, კარლ მარქსთან, მაქს ვებერთან ან მაქს შელერთან აღიარებენ უბრალო მრწამსის სახით; წინასწარ დადგენილია, რომ კრიტერიუმი იმის გადასაწყვეტად, თუ რომელია მათგან ჭეშმარიტი, რომელი – მცდარი, არ არსებობს.³⁴ ასეთი რელატივიზმი შემეცნების თეორიაში იმავდროულად საკუთარ თავს აბათილებს, რადგან რელატივიზმის აბსულუტურ მნიშვნელობას აღიარებს. ის არის „ნაკლი“, რომელიც უნდა „გადაილახოს“³⁵, რაც არის ფილოსოფიური რელექსის ამოცანა.

ფილოსოფიური რელექსისის საგანი არსებული ობიექტურობის გენეზისია, თუმცა გადალახვა ვერ მოხდება იმავე სახით, რაც ჰეგელთან, როცა ზოგადი იმთავითვე დგინდებოდა კონკრეტულზე აღმატებულად. ჰორკჰამერს არ აქვს წინასწარი პასუხი იმაზე, თუ როგორ შეიძლება გადაწყდეს ეს პრობლემა; თუმცა იგი წამოაყენებს საპროგრამო მონახაზს,

33 იქვე. „ის გვევლინება როგორც ნაწილი ფილოსოფიური და რელიგიური მცდელობებისა, უიმედო კერძო ეგზისტენცია კვლავ დაიბრუნონ აზრიანი ტოტალობების [...] ‘ოქროს საფუძვლის’ კალთაში“, იქვე.

34 იხ. იქვე, გვ. 27.

35 იქვე.

თუ რა სახით უნდა მოხდეს ერთის მეორესთან დაკავშირება: საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ფილოსოფიური განაზრებისა და კონკრეტული ემპირიული სამეცნიერო დარგებით შემეცნებული მასალის კანონზომიერებებისა. მაგრამ ეს მხოლოდ შემეცნებისა და მეცნიერების თეორიის პრობლემად ყალიბდება – რაც „განმანათლებლობის დიალექტიკაში“ სწორედ უკუგდებულია, რამდენადაც აქ თავდაპირველი დიაგნოზი სახეს იცვლის. ეს ცვლილება ისტორიული გამოცდილების შედეგია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რომლის შედეგადაც სხვადასხვა გამოთვლებით დაიღუპა 56-დან 80 მილიონამდე ადამიანი, ცივილიზაციის რაციონალური თვითგადარჩენა უკვე „თავზარდამცემი სახით“³⁶ უსულო თვითგანადგურებად გამომჟღავნდა. არა მარტო დამკვიდრებული მეცნიერების საქმიანობის კრიტიკული გარჩევა აღმოჩნდა აუცილებელი, არამედ თავად მეცნიერების საქმიანობის საზრისი, როგორც ასეთი, გახდა საეჭვო.³⁷ მაგრამ 1931 წელს, ჰორკეპაიმერი ხსნებულ მიზანს ჯერ კიდევ დადგებითად განიხილავს – მის მიღწევას უნდა ემსახურებოდეს სოციალური კვლევის ინსტიტუტი.³⁸

ჰორკეპაიმერი პროგრამას კერძო კვლევების თვალსაზრისითაც აკონკრეტებს, რაც ცხადყოფს, თუ რამდენად დაშორ-

36 იხ. ნინამდ. გამ., გვ. 10.

37 „უკვე მრავალი წლის განმავლობაში შემჩნეული გვქონდა, რომ ახალი დროის მეცნიერება დიად გამოგონებებში თეორიული განათლების სულ უფრო გაღრმავებული ხრნის საფასურს იხდიდა. თუმცა იმის მაინც გვნამდა, რომ ამ მეცნიერების საქმიანობას იმდენად შეიძლებოდა მიკვლობით, რამდენადაც ჩვენი წვლილი მხოლოდ დარგობრივი მოძღვრებების კრიტიკათ ან განვითარებით შემოიფარგლებოდა. ჩვენი მონაპოვარი არ უნდა გასცდონდა, თემატურად მაინც, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიისა და შემეცნების თეორიის ტრადიციულ დისციპლინებს. [...] აქ გაერთიანებული ფრაგმენტები კი ცხადყოფენ, რომ ამ რწმენაზე უარის თქმა მოგვიწინა. თუკი სამეცნიერო ტრადიციის ყურადღებიანი შენარჩუნება და მისი გამოცდა შემეცნების მომენტია, განსაკუთრებით იქ, სადაც ამ ტრადიციის პოზიტივისტი განმწვრთნი უსარგებლო ბალასტიკით დავიწყებას გადაულოცავენ, მაშინ, ბურუუზაზული ცივილიზაციის თანამედროვე ნგრევაში, მისათვის უკვე მხოლოდ მეცნიერების საქმიანობა კი არა, არამედ თავად მეცნიერების საზრისი ეჭვევეშ დადგა.“, ნინამდ. გამ., გვ. 12.

38 Horkheimer, „Die gegenwärtige Lage der Sozialphilosophie“, გვ. 28/9.

და ინსტიტუტი გრიუნბერგის, გერმანიის პირველი მარქსისტი პროფესორის, ემპირიზმის მეთოდიკას. ურთიერთდამოკიდებულების კავშირში, ფილოსოფია ეყრდნობა იმ ცოდნას, რომელსაც მას კერძო მეცნიერების დარგები აწვდის – და ეს დებულება გამჭოლია „განმანათლებლობის დიალექტიკა-შიც“; მის თანახმადაც, ჭეშმარიტებას დროითი ბირთვი აქვს და არ უპირსპირდება ისტორიულს უცვლელის სახით.³⁹ ამავე დროს, ფილოსოფია აძლევს იმპულსებს ემპირიულ კვლევას საზოგადოებრივ განსაზღვრებათა უარყოფის საფუძველზე განვითარებული ცნებობრივი ცოდნის მეშვეობით.⁴⁰ ფილოსოფიის მიზანია, ისტორიული სინამდვილის ზედაპირს მიღმა, არსებითი ურთიერთობების წვდომა. კერძო კვლევების ჰორკჰაიმერის მიერ მოყვანილი ნიმუშები ეხება საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების, ინდივიდების ფსიქიური განვითარებისა და ვიწრო აზრით კულტურის სფეროში მიმდინარე ცვლილებების ურთიერთკავშირს, ამასთან, კულტურაში ჰორკჰაიმერი გულისხმობს არა მარტო მეცნიერების, ხელოვნებისა და რელიგიის ტრადიციულ სამეულს, არამედ სამართალს, ადათ-წესებს, მოდას, საზოგადოებრივ აზრს, სპორტს, გართობის სფეროს, ცხოვრებისეულ სტილებს.⁴¹ სფეროთა ურთიერთკავშირის დადგენის განზრახვა სხვა არაფერია, თუ არა სწორედ ზოგადის კერძოსთან მიმართების პრობლემის ხელახალი ფორმულირება. შეუძლებლად მიიჩნევა რაიმე უნივერსალური თეზისის დოგმატურად წამდლვარება, შემდეგ ყველა მომდევნო დებულება რომ მიესადაგება, მაგალითად, ისეთი პრინციპის სახით, რომლის თანახმადაც ეკონომიკა და სული ერთი და იმავე არსის გამოხატულებაა, რაც „ფუჭი სპინოზიზმია“; ან რომ იდეები, სულიერი სტრუქტურები, განსაზღვრავენ ისტორიულ მსვლელობას, „მანკიერი ჰეგელიანიზმის“ სახით; ან, რომ მატერიალური

39 იხ. წინამდ. გამ., გვ. 9.

40 „განსაზღვრულ წეგაციაზე“ კრიტიკულ თეორიაში იხ. იქვე, გვ. 28; წინამდ. გამ., გვ. 45/6.

41 იხ. Horkheimer, „Die gegenwärtige Lage der Sozialphilosophie“, გვ. 32.

ყოფნა არის ის ნამდვილი რეალობა, რომლიდანაც ამოიზრდება კულტურაც და ინდივიდუალური ფსიქოლოგიური სტრუქტურაც, რაც ჰორკჰაიმერისთვის მცდარად გაგებული მარქსია და, ამავე დროს, წაიმძღვარებს იმ აპსტრაქტულ დაპირისპირებას სულსა და სინამდვილეს შორის, რომელიც თავად წარმოადგენს გადასაჭრელ პრობლემას.⁴² ამ ყველა წინასწარდადგენილ და, ამდენად, არადამაკამაყოფილებელ პასუხს უპირისპირდება დისციპლინათშორისი ძიება იმისა, თუ რა სახით ყალიბდება ეს ურთიერთობა კონკრეტულ კვლევით კონტექსტში, არსებულ ისტორიულ პერიოდში, კერძო საზოგადოებრივი ფენებისა და კლასების მიმართ. მითითებულია ერთ-ერთი პირველი დაგეგმილი ემპირიული კვლევაც კი, გერმანიაში კვალიფიცირებული მუშაკებისა და მოხელეების მაგალითზე ხსნებული კავშირის შესწავლა; ამ მიზნით წახსენებია კითხვარების ნიმუშიც, ხოლო ემპირიული მეთოდები ეყრდნობა ამერიკულ სოციოლოგიაში შემუშავებულ ხერხებს, ექსპერტებთან ინტერვიუების ჩათვლით.⁴³

ჰორკჰაიმერის ეს თავდაპირველი პროგრამა ცხადყოფს, თუ რაოდენ რადიკალურად შეცვალა ისტორიის გამოცდილებამ სოციალური ფილოსოფიის რეფლექსის შინაარსი. სწორედ ის გზა, რასაც სასურველის სახით ფრანკფურტის ინსტიტუტიც პირველ წლებში მიჰყვებოდა, მოგვიანებით, „განმანათლებლობის დიალექტიკის“ ავტორებისთვის შეუძლებელი და თავად რეფლექსის საგანი გახდა. მათ მოუხდათ არა მხოლოდ ცალკეული სამეცნიერო დისციპლინების ძირები ცნებების გადახედვა, არამედ ამ ახალი დროის მეცნიერების გენეზისის საკითხის დასმა, რადგან გარდაუვალი შეიქნა იმის გაგების მცდელობა, თუ რატომ ეფლობა ამ მეცნიერებით განათლებული კაცობრიობა ბარბაროსობაში, მაშინ, როცა ეკონომიკური საშუალებების უდიდესი განვი-

42 სამივე ციტ. იქვე.

43 პირველი შედეგის სახით 1936 წელს პარიზში გამოქვეყნდა ემპირიული „კვლევები ავტორიტეტისა და ოჯახის შესახებ“, იხ. *Studien über Autorität und Familie. Forschungsberichte aus dem Institut für Sozialforschung* [1936], Lüneburg 2005.

თარება მას აძლევს საპირისპირო შესაძლებლობას – უზო-
მოდ შეამციროს საზოგადო უბედურება. ებრაელების განად-
გურება და ის ანტისემიტიზმი, რომელიც განმანათლებლო-
ბის საზღვარს აღნიშნავს,⁴⁴ თეორიის ამ ცვლილებაში გადა-
მწყვეტია. კატასტროფამ საბოლოოდ აშკარა გახადა თავად
ცივილიზაციის ორჭოფული ხასიათი. „დიალექტიკაც“, ამი-
ტომ, ხსენებული პროგრამის რადიკალური განხორციელე-
ბის მცდელობაა, რადგან მეცნიერების განმანათლებლური
კრიტიკა მასში გადადის თავად განმანათლებლობის მეცნიე-
რულ კრიტიკაში. ამ კრიტიკის მიზნად განისაზღვრება იმის
წარმოჩენა, თუ რატომ იქცევა განმანათლებლობა მითოსად,
მაშასადამე, ცივილიზაციის ბუნების მორჩილებად. ამისათ-
ვის კი საჭირო ხდება იმის დასაბუთება, რომ თავად არქაულ
მსხვერპლზე დაფუძნებული პირველყოფილი დროის მითოსი
არის განმანათლებლობის საწყისი.⁴⁵

1937 წელს თავად ჰორკვაძიმერიც უკვე შემდეგნაირად
განასხვავებს კრიტიკულ თეორიას ტრადიციულისაგან, რო-
გორც ის წარმოდგენილია დეკარტონ. კრიტიკული თეო-
რიის მიზანი არ არის დედუქციურად დასრულებული, ტო-
ტალური, რაციონალისტური სისტემის შექმნა,⁴⁶ რომელიც,
ამავე დროს, იქნიებდა მთლიანი ისტორიული პროცესის
დინამიკის წინდანინ განვითარების პრეტენზიას. ისტორიის
ფილოსოფიის პროგრესის ოპტიმისტური რჩმენა ახასიათებს
არა მარტო კლასიკურ ლიბერალურ თეორიებს, არამედ, მის,
ამ თვალსაზრისით, კანონიერ შვილს, იმ ტრადიციულ მარ-
ქსიზმსაც, მეტნილად ენგელსის მიერ წამოწყებულ ხაზს რომ
მიჰყვება. მარქსის პოლიტიკური ეკონომიკის კრიტიკა ეხე-
ბა მხოლოდ „თავისებური საგნის თავისებურ ლოგიკას“⁴⁷,

44 იხ. წინამდ. გამ., გვ. 260/1; 301.

45 „პირველი ნარკვევის კრიტიკული ნაწილი, ზოგადად, ორ თეზისად შეიძ-
ლება შევაჯამოთ: უკვე მითოსი არის განმანათლებლობა და – განმანათ-
ლებლობა კვლავ მითოლოგიას უბრუნდება.“ იქვე, გვ. 18.

46 იხ. Max Horkheimer, „Traditionelle und kritische Theorie“ [1937], HGS 4,
Schriften 1936-1941, გვ. 163.

47 „ვულგარული კრიტიკა საპირისპირო დოგმატურ შეცდომას უშებს.

რომლის გადმოცემასაც მარქსი „დიალექტიკურად“⁴⁸ ახა-
სიათებს. „კაპიტალის“ მეორე გამოცემის ბოლოსისტყვაობაში
მარქსი აქებს რუს რეცენზიენტს, რადგან მართებულად ახა-
სიათებს მის დიალექტიკურ მეთოდს, როგორც ისტორიული
კანონების გადმომცემს. მარქსი განასხვავებს კვლევისა და
გადმოცემის წესს. კვლევის დროს აუცილებელია მასალის
ბოლო დეტალებამდე გაანალიზება, რათა მისი განვითარების
განსხვავებულ ფორმებს შორის, „შინაგანი კავშირი“⁴⁹ დად-
გინდეს. მისი დასრულების შემდეგ კი გადმოცემაში, თუკი ის
წარმატებულია და გამოკვლეულ მასალას იდეურად ასახავს,
იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს აპრილი კონსტრუქციას-
თან გვქონდეს საქმე. მაგრამ, მარქსი ამბობს, ეს მცდარი
შთაბეჭდილებაა. როცა იგი დასძენს, რომ, მისტიფიკაციების
მიუხედავად, ჰეგელმა „პირველად გადმოსცა დიალექტიკის
ზოგადი მოძრაობის ფორმები ამომწურავად და ცნობიერი
სახით“⁵⁰, ეს არ ნიშნავს, რომ ეს დიალექტიკა, მის თანახმად,
მოიცავს მთელ ისტორიას პირველყოფილი დროიდან – განუ-
საზღვრელ მომავლამდე.

ენგელსი, ერთ-ერთი პირველი მარქსიზმის ტრადიცია-

მაგალითად, ის კონსტიტუციას აკრიტიკებს. ყურადღებას აქცევს ძალა-
დობათა დაბირისპირებას და ასე შემდეგ: ყველაგან წინააღმდეგობებს აღ-
მოაჩენს. ეს არის თავად ჯერ კიდევ დოგმატური კრიტიკა, რომელიც თა-
ვის საგანს ეპრევის, როგორც, მაგალითად, უნინ წმინდა სამების დოგმას
ერთისა და სამის წინააღმდეგობით აბათილებდნენ. ჭეშმარიტი კრიტიკა
კი, პირიქით, ადამიანის ტკინში წმინდა სამების შინაგან გენეზისს წარ-
მოაჩენს. კრიტიკა აღწერს მისა დაბადების აქტს. ამგვრად, წამდვილად
ფილოსოფიური კრიტიკა ახლანდელი სახელმწიფოს კონსტიტუციას არა
მარტო წინააღმდეგობების არსებობას უმტკიცებს, ის მათ ახსნის კიდეც,
ის სწორება მათ გენეზისს, მათ აუცილებლობას. ის სწორება მათ თავისუ-
ბურ მნიშვნელობას. ნედომ იმაში კი არ მდგომარეობს, როგორც ჰეგელი
მიიჩნევს, რომ ყველაგან ლოგიკური ცნების განსაზღვრებებს ამოვიცნობთ,
არამედ, ის არის თავისებური საგნის თავისებური ლოგიკის ნედომა. Karl
Marx, *Zur Kritik der Hegelschen Rechtsphilosophie*, ders. und Friedrich Engels,
Werke [MEW], ტ. 1, Berlin 1972, გვ. 296.

48 იხ. Karl Marx, *Das Kapital. Kritik der politischen Ökonomie*. Bd. I, MEW 23,
გვ. 27 // კარლ მარქსი, კაპიტალი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა. ტ. I.
თბილისი 1954, გვ. 23.

49 იქვე.

50 იქვე (თავმან. შეცვ).

ში, მარქსის გადმოცემის „დიალექტიკურ“ წესს გადაიტანს არა მარტო ამ თავისებური საგნის, კაპიტალისტური ეკონო-მიკის, არამედ მთლიანად საზოგადოებრივი და ბუნებრივი რეალობის კვლევაზეც, როგორც ეს მოხაზულია მის „ბუნე-ბის დიალექტიკაში“⁵¹. მოგვიანებით, განსაკუთრებით, მარქ-სიზმ-ლენინიზმში, ამ ნაშრომის პრინციპები საფუძვლად ედება ისტორიული და დიალექტიკური მატერიალიზმისაგან შემდგარ მსოფლმხედველობას. კრიტიკული თეორია კი, ამის საპირისპიროდ, არის ხსენებული თავისებური საგნის – კა-პიტალზე დაფუძნებული დღევანდებული საზოგადოების ურ-თიერთობების – შეუპოვარი დენუნციაცია. ჰორკჰერის განსაზღვრებით, კრიტიკული თეორია არის „გაშლილი ეგზი-სტენციალური მსჯელობა“⁵². კატეგორიულ მსჯელობებზე დაფუძნებული სისტემისაგან განსხვავებით, ასეთი არსებო-ბის მსჯელობა ურყევი ურთიერთშეკავშირებული ტოტალო-ბის შემეცნებას არ მოითხოვს. მაგრამ კრიტიკული თეორია არც ბურჟუაზიული განსჯისეული აზროვნების მსგავსად მხოლოდ პრაგმატული ჰიპოთეტურ-დიზიუნქციური მსჯე-ლობებით შემოიფარგლება.

51 იხ. Friedrich Engels, *Dialektik der Natur*, MEW 20, გვ. 348/9.

52 „ნებადართული იყოს მოკლე შეინშვანა მსჯელობის ფორმებსა და ისტო-რიულ ეპოქებს შორის არსებულ კავშირებზე. კატეგორიული მსჯელობა ბურჟუაზიამდელი საზოგადოებისთვის არის ტიპიური: ეს არს ასე, ამში ადამიანს არაფრის შეცვლა არ შეუძლია. ჰიპოთეტური და დიზიუნქციური მსჯელობის ფორმები კერძოდ ბურჟუაზიულ სამყაროს ხეხა: გარკვეულ პირობებში კონკრეტული შედეგი შეიძლება მივიღოთ; ან ასე არის ვითა-რება, ან ასე. კრიტიკული თეორია კი აცხადებს: არ არის აუცილებელი, ასე იყოს, ადამიანებს შეუძლიათ ყოფნის შეცვლა, ამის პირობები ახლა არსებობს.“ Horkheimer, „Traditionelle und kritische Theorie“, გვ. 201, სქოლიო. ჰორკჰერის აქ კანტის მიერ მსჯელობების კლასიფიკაციას მიჰყება, თუმცა საქმაოდ თავისუფლად. მსჯელობების ცხრილში კანტი არისტო-ტელურ ლოგიაზე დაყრდნობით განსხვავებს რელაციის მიხედვით კა-ტეგორიულ, ჰიპოთეტურ და დიზიუნქციურ მსჯელობებს, იხ. Immanuel Kant, *Kritik der reinen Vernunft*, Hamburg 1998, A 70/B 95; ხოლო მოდალობის მიხედვით, კატეგორიების ცხრილში, „არსებობა-არარსებობის“ კატეგო-რიას, რასაც გულისხმობს ჰორკჰერის „ეგზისტენციალური მსჯელო-ბის“ ტიპით, იხ. იქვე A 80/B 106.

3. ამერიკული ემიგრაცია – გერმანული ინსტიტუტი

ჰორკჰაიმერის მიერ მოხაზული პროგრამა ინსტიტუტის საქმიანობაში კვლევის ინტერდისციპლინარული ტენდენციის სახით გაძლიერდა მისი დირექტორად გახდომის შემდეგ. ინსტიტუტის თანამშრომლების წრე გაფართოვდა და მან ემიგრაციის წლებშიც მეტ-ნაკლებად უცვლელი ბირთვი შეინარჩუნა. უკვე ხსენებულთ შეემატათ – ლეო ლიოვენთალი, ფილოსოფოსი, ლიტერატურისა და ესთეტიკის თეორეტიკოსი და მემარცხენე-ლიბერალური „ფოლკსბიუნეს“ თეატრალურ-ლიტერატურული პუბლიკაციების რედაქტორი. ლიოვენთალი, ებრაელი, ისევე როგორც ინსტიტუტის წევრების უმრავლესობა, თავდაპირველად მონაწილეობდა რაბი ნეპემია ნობელის გარშემო ჩამოყალიბებულ რელიგიურ ჯგუფში, რომელმაც 1920-იან წლებში „თავისუფალი ებრაული სასწავლებელი“ დაარსა; მისი წევრები იყვნენ მარტინ ბუბერი, ფრანც როზენცვაიგი, ზიგფრიდ კრაკაუერი და ერნსტ სიმონი. „ინსტიტუტში“ ლიოვენთალი კულტურისა და ლიტერატურის სფეროს იკვლევდა და „განმანათლებლობის დიალექტიკის“ „ანტისემიტიზმის ელემენტების“ პირველი სამი თეზისის ჩამოყალიბებაშიც მიიღო მონაწილეობა.

თეოდორ ვიზენგრუნდ-ადორნო, დროთა განმავლობაში, კრიტიკული თეორიის ცენტრალურ ფიგურად იქცა, თუმცა „ინსტიტუტის“ ოფიციალური თანამშრომელი გახდა ამერიკაში, 1938 წელს. ამერიკული მოქალაქეობის მიღების შემდეგ ადორნო მხოლოდ დედის გვარით სარგებლობდა. ადორნო იყო კომპოზიტორი, მუსიკის და საერთოდ ხელოვნების კრიტიკოსი, თეორეტიკოსი და სოციოლოგი, ამავე დროს, ფილოსოფოსი და სოციალური მკვლევარი, რომელმაც პირველი ფილოსოფიური მონოგრაფია საგნისა და ცნების ურთიერთობას, კერძოდ, ედმუნდ ჰუსერლთან ნივთისა და ნოემას ტრანსცენდენტურობას მიუძღვნა. ადორნო აქ ნივთს ჯერ კიდევ „იდეალურად“ განსაზღვრავდა; ის მისთვის „იგივეა, რაც შემეცნებული ინდივიდუალური კანონი, შეცნო-

ბილი მოვლენათა წესად, ცნობიერების იმანენტური და შესწორებადი".⁵³ ადორნომ პირველი საჰაბილიტაციო ნაშრომიც, რომელიც მანაც ჰორკჰამერივით ჰანს კორნელიუსთან მოამზადა, მაგრამ არ დაიცვა მისივე საპირისპირო რჩევის გამო, კორნელიუსის ტრანსცენდენტალური იდეალიზმის პოზიციებიდან შეიმუშავა. მასში ადორნომ განახორციელა ფრონდის ფსიქოანალიზის კანტიანიზმის პოზიციებიდან გაანალიზების ერთ-ერთი პირველი ფილოსოფიური მცდელობა.⁵⁴ ირაციონალიზმის კრიტიკით, რომელიც არაცნობიერის ცნების აბსოლუტიზაციას ახდენს, ფრონდის თეორია, ადორნოს განმარტებით, იძლევა საშუალებას, არაცნობიერი გავიგოთ ტრანსცენდენტალური ფილოსოფიის თვალსაზრისით: ინდივიდუალური ფსიქიკის სტრუქტურული ელემენტების ერთობლიობის სახით საკუთარი კანონზომიერებებით.⁵⁵ თუმცა, უკვე ფრონდის ფქიოანალიზისადმი მიძღვნილი ამ ნაშრომის ბოლოს, რომელიც ადორნოს გარდაცვალებამდე არ გამოქვეყნებულა, იკვეთება ფსიქიკური ფენომენების მატერიალური წინაპირობების ანალიზე გადასვლა, რადგან არაცნობიერის ირაციონალისტური თეორიების კონსტიტუირების საფუძველს ადორნო საზოგადოებრივ სინამდვილეში აფიქსირებს.⁵⁶

ადორნოს მეორე საჰაბილიტაციო ნაშრომი, 1931 წელს, ფრანკფურტში თეოლოგ პაულ ტილიხთან დაცული, იყო ვალტერ ბენიამინის „გერმანული დრამის საწყისთან“ მონათესავე „კირკეგორი. ესთეტიკურის კონსტრუირება“.⁵⁷ აქ ადორნო პირველად თეორიულად აყალიბებს არარეგულირებული გამოცდილების ცნებას ესთეტიკური სფეროს

53 Theodor W. Adorno, *Die Transzendenz des Dinglichen und Noematischen in Husserls Phänomenologie* [1924], მისივე: Gesammelte Schriften [AGS], ტ. 1, გამ. Rolf Tiedemann; Gretel Adorno, Susan Buck-Morss და Klaus Schultz-ის მონან., Frankfurt 1998, გვ. 71.

54 იბ. Theodor W. Adorno, *Der Begriff des Unbewußten in der transzendentalen Seelenlehre* [1927], AGS 1, გვ. 79-366.

55 იქვე, გვ. 238.

56 იბ. იქვე, გვ. 318 დ. ვ.

57 იბ. Theodor W. Adorno, *Kierkegaard. Die Konstruktion des Ästhetischen* [1933], AGS 2.

მაგალითზე, რაც მისი ფილოსოფიის ერთ-ერთი მთავარი კატეგორიაა. თუ ეთიკური სფერო მხოლოდ ზოგადი პრინციპების, ხოლო რელიგიური კერძო გრძნობის აღტკინების სფეროა, რომელსაც ეკარგება ობიექტურობა, ესთეტიკური, ადორნოს განსაზღვრებით, არის ისეთი გამოცდილება, სადაც ერთდროულად ობიექტი, ბუნება, წვდომილია ისტორიულ კონკრეტულში, წარმოსახვაში.⁵⁸ იმ ესთეტიკური გამოცდილების ცნება, რომელშიც, ადორნოს თანახმად, გამოანათებს საზოგადოებრივი სინამდვილით შეზღუდული ადამიანური თავისუფლება და შერიგებული ცხოვრების დაპირება, „დიალექტიკაში“ კულტურის ინდუსტრიის კრიტიკის ფონია.

ინდივიდის ფსიქიკის საზოგადოებრივი პირობებით ფორმირებაში მზარდი მნიშვნელობის მინიჭებას მონმობს ინსტიტუტში ფსიქოანალიზის სპეციალისტების თანამშრომლობაც, განსაკუთრებით ერის ფრომისა და კარლ ლანდაუერის. ფრომი, „ფრანკფურტის ფსიქოანალიტიკურ ინსტიტუტში“ მოღვაწე ანალიტიკოსი, ავითარებდა სოციალური ფსიქოლოგის მოძღვრებას ხასიათების საზოგადოებრივი განპირობების შესახებ; მან, ასევე, წვლილი შეიტანა ავტორიტარული ხასიათის თეორიის დამუშავებაშიც.⁵⁹ ინსტიტუტში მრავალი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა ასევე ფსიქოანალიზის მკვლევარი ჰერბერტ მარკუზეც, ედმუნდ პუსერლისა და მარტინ ჰაიდეგერის მონაფე, რომლის ერთ-ერთი პირველი ნაშრომიც ონტოლოგისა და ისტორიულო-

58 „თუკი ფანტაზიას არ შეუძლია, სასონარკვეთის უკანასკნელი ხატის კონკრეტულად აღნერა [...] მაშინ მისი ასეთი უუნარობა სისუსტე კი არაა, არამედ სიძლიერეა. შერიგების ნაწილი, რომელიც მასში წარმავლად ჩნდება, საკრისია, რათა სასონარკვეთა დაიმსალოს, როგორც არაარსებოთა, არსებობა კი შეუფერხებლად გადაეშვება სასონარკვეთაში. სასონარკვეთის ნაკრისუგებლობა ფანტაზიისათვის არის მისი იმედის მონმობა. ფანტაზიაში ბუნება საკუთარ თავს აღემატება: ბუნება, რომლის ლტოლვიდანაც ფანტაზია წარმოიშობა; ბუნება, რომელიც ფანტაზიის მეშვეობით უმცირეს გადადგილებაში გადარჩენილი წარმოდგება.“ იქვე, გვ. 196.

59 o.b. Erich Fromm, „Über Methode und Aufgabe einer analytischen Sozialpsychologie“, *Zeitschrift für Sozialforschung*, 1 [1932], 1/2, გვ. 28-54; მისივე, „Die psychoanalytische Charaktereologie und ihre Bedeutung für die Sozialpsychologie“, *Zeitschrift für Sozialforschung*, 1 [1932], Nr. 3, გვ. 253-277.

ბის ცნების ურთიერთობას ეხება; ⁶⁰ მემარცხენე ორიენტა-ციის გამო, ამ ნაშრომის შემდეგ მარკუზემ ‘სახალხოებთან’ სულ უფრო დაახლოებულ ჰაიდეგერთან კავშირი გაწყვიტა. „ინსტიტუტის“ ამ წერმ, რომელსაც სხვადასხვა პერიოდ-ში მიეკუთვნებოდა მრავალი მეცნიერი, განსაკუთრებით კი ომის დროს, როცა მისი ფონდის სახსრებიდან მიღებული ხელფასი არჩენდა არაერთ ემიგრირებულ ავტორს, მათ შორის, მაგალითად, ვალტერ ბენიამინს, დაინყო „სოციალური კვლევის ჟურნალის“ გამოცემა. აქ 1941 წლამდე ქვეყნდებოდა ინსტიტუტის კვლევები.

თუმცა, ინსტიტუტს ნაციონალსოციალისტების დევნა ადრევე შეეხო. 1933 წელს ის უკვე გადახიზნული იყო ჯერ ჟენევაში, შვეიცარიაში, რის შემდეგაც ჰორკჰაიმერს, ერთ-ერთ პირველს ებრაელ მეცნიერთა შორის, ჩამოერთვა სწავლების და კვლევის უფლება, გერმანული რასის სისხლის სინმინდის დასაცავად გამოცემული ნაციონალსოციალისტური კანონების ძალით.⁶¹ ჰორკჰაიმერისა და პოლოკის წინდახედული მოქმედებით, მათ მოახერხეს ფონდის კაპიტალის შვეიცარიაში გადატანა, ვიდრე გერმანიაში დაიწყებოდა მასობრივი ‘არიზაციის’ პროცესით ებრაელი მოსახლეობისთვის ქონების დატაცება. ინსტიტუტთან თანამშრომლობაში მყოფ მეცნიერთა უმრავლესობა თავდაპირველად გაიხიზნა დასავლეთ ევროპაში. ადორნო, სამი წლის განმავლობაში, ინგლისში, ოქსფორდში მოღვაწეობდა დაწინაურებულ სტუდენტად. ზოგი გადასახლდა პარიზში, სადაც გერმანიის მიერ საფრანგეთის ნაწილის ოკუპაციამდე გამოიცემოდა კიდეც ინსტიტუტის „ჟურნალი“. ზოგმა კი, როგორც 1934 წელს ჰორკჰაიმერმა, თავი შეაფარა ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ამერიკაში შესაძლებელი გახდა „ინსტიტუტის“ კვლევების განახლება. პირველ წლებში ის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ნიუიორკში, კოლუმბიის უნივერსიტეტთან თანამშრომლობდა.

60 იბ. Herbert Marcuse, *Hegels Ontologie und die Grundlegung einer Theorie der Geschichtlichkeit*, Frankfurt 1932.

61 იბ. Saul Friedländer, *Nazi Germany and the Jews. Volume I. The Years of Persecution. 1933-1939*, New York 1997, გვ. 33 დ.შ.

ადორნოც 1938 წლიდან მონაწილეობდა ავსტრიელი სოციო-ლოგი პაულ ლაზარსფელდის ხელმძღვანელობით განხორციელებულ „პრინსტონის რადიოს კვლევის პროექტში“. ეს იყო პირველი ფართომასშტაბიანი მცდელობა, ემპირიული სოციოლოგიური მეთოდებით, დადგენილიყო რადიოს მოხმარების თავისებურება ამერიკულ მოსახლეობაში, უკეთესი საჯარო პროგრამების ჩამოყალიბების მეშვეობით რადიოს რეცეფციის მანიპულაციის კეთილშობილური მიზნით. ამ პროექტის ფარგლებში, ადორნომ, მისი რადიომუსიკის განყოფილების დირექტორმა, ამ მასობრივი მედიუმის მაგალითზე მუსიკალური გამოცდილების გარდასახვის შესახებ გამოაქვეყნა რამდენიმე სტატია.⁶² კოლუმბიის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის შენელების შემდეგ, 1940 წელს, პოლოკი, ჰოკ-ჰაიმერი და დროებით ლიოვენთალი, მალე ადორნოც, გადასახლდნენ დასავლეთ სანაპიროზე, ლოს ანჟელესის პასიფიკ პელისებდი. აქ ჰოლივუდის ირგვლივ თავი მოიყარა გერმანიდან ემიგრირებული მხატვრული ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა, ბერტოლტ ბრეხტმა, თომას მანმა, ფრიც ლანგმა და სხვებმა. თავის „არაიგივეობრივ ძმა“⁶³, არნოლდ შიონბერგის მონაფე, კომპოზიტორ ჰანს აისლერთან ერთად, ადორნომ აქ დაწერა ნაშრომი კინომუსიკის თავისებურების შესახებ.⁶⁴ ევროპაში მიმდინარე ომის ფონზე კი, ამერიკის ემიგრაციაში ჰორჰჰაიმერი და ადორნო ლოს ანჟელესში შეუდგნენ მათი 1939 წელს დაწყებული პროექტის რეალიზაციას.⁶⁵

62 მისი დაუსრულებელი კვლევები 2006 წელს გამოიცა, იხ. Theodor W. Adorno, *Current of Music. Elements of a Radio Theory*, მისივე: Nachgelassene und Fragment gebliebene Schriften. ტ. 3, გამ. Robert Hullot-Kentor, Frankfurt a. M. 2006, იხ. ასევე დევი დუმბაძე, „Музыкальный опыт неидентичного. Критика радио Т. Адорно“, Топос, 3, 2011.

63 იხ. Detlev Claussen, *Theodor W. Adorno. Ein letztes Genie*, Frankfurt a. M. 2005, გვ. 183.

64 იხ. Theodor W. Adorno, Hanns Eisler, *Komposition für den Film [1947]*, AGS 15, გვ. 1-156.

65 „განმანათლებლობის დიალექტიკის“ ავტორობის შესახებ, რომელიც ორივე ფილოსოფიის ხანგრძლივი პროდუქტიული თანამშრომლობის მხოლოდ ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო შედეგია, ადორნოს შრომების გამომცემელი როლიც ტიდემანი ზუსტ ცნობებს გვაწვდის. ისინი ეფუძ-

4. სინგულარული მოვლენა – ისტორიული პროცესი

ისტორიული პროცესის რეფლექსის მცდელობისას, მეცნიერება, იქნებოდა ეს დამკვიდრებული ბურუჟაზიული, თუ ოპოზიციური მემარცხენე, უძლური აღმოჩნდა, არსებული კატეგორიებით განხსაზღვრა მეორე მსოფლიო ომის დროს მომხდარი კატასტროფა. აპორიას გადმოსცემს ადორნოს აფორიზმი „სროლიდან შორს“ კრებულიდან „მინიმა მორალია. რეფლექსიები დაზიანებული ცხოვრებიდან“, რომელიც მან „განმანათლებლობის დიალექტიკაზე“ მუშაობის პარალელურად დაწერა.⁶⁶

„ოცდაათწლიანი ომიცით, ეს ომიც, რომლის დასაწყის-საც უკვე ველარავინ იხსენებს, მისი დასრულების შემდეგ დაიშლება ცარიელი პაუზებით ერთმანეთისაგან გამიჯნული ლაქქრობების ნაწყვეტებად: პოლონეთის, ნორვეგიის, საფრანგეთის, რუსეთის, ტუნისის, საოკუპაციო კამპანიის ნაწყვეტებად. ამ ომის რიტმი, დამრტყელები ქმედებებისა და სრული უმოქმედობის – როცა გეოგრაფიულად ხელმისაწვდომი მტრები აღარსად ჩანან – მონაცვლეობა, თავად მექანიკური რიტმით ხასიათდება. საომარი იარაღების სა-

ნება ადორნოს ზეპირ შეტყობინებას და შემორჩენილი ხელნაწერების მდგომარეობასაც ასახავს. მის თანახმად, „განმანათლებლობის ცნება“ ავტორებმა ერთიანად უკარანახს გრეტელ ადორნოს. პირველი ექსურსი „ოდისევის, ანუ მითოსი და განმანათლებლობა“ დაიწერა თითქმის მხოლოდ ადორნოს მიერ, მეორე კი, „უიულიეტი, ანუ განმანათლებლობა და ზნეობა“, იმავე ხარისხით შეგვიძლია მივანეროთ პირველი მერს. „თავი ‘კულტურის ინდუსტრია. განმანათლებლობა, როგორც მასების მოტყუება’ ეყრდნობა ადორნოს მონახაზს, თუმცა ის იმდენად ინტენსიურად გადამტევა პორვეპიტერო, რომ ორივეს წვლილი თანაბრად უნდა მივიჩიოთ. საპირისპიროს ჰქონდა ადგილი ანტისემიტიზმის ელემენტები. განმანათლებლობის საზღვრები-ს შემთხვევაში, რომელიც თავდაპირველად დაწერა პორვეპიტერის მიერ და ის ინტენსიურად გადაამუშავა ადორნომ.“ (Schmid-Noerr, „Editor's Aterword“, გვ. 224). როგორც 1944/47 წლის ნინათქმა მიუთითებს, ლეო ლიოვენთალი მონანილეობდა პირველი სამი თეზისის ჩამოყალიბებაში. „ჩანაწერები და მონახაზები“ ეკუთვნის პორვეპიტერს და ადორნოს ჩამატებებს არ შეიცავს. ადორნომ დაწერა მათი „დამატებები“. (იხ. იქვე).

66 იხ. Theodor W. Adorno, „Weit vom Schuß“ [1944], *Minima Moralia. Reflexionen aus dem beschädigten Leben* [1951], AGS 4, გვ. 60-63.

ხეობას ის კერძოდაც გამოარჩევს და თითქოს ლაშქრობის ლიტერალიზმამდელ ფორმასაც გვაგონებს. ეს მექანიკური რიტმი სრულად განსაზღვრავს ომთან ადამიანების მიმართებას, არა მარტო ინდივიდუალური, სხეულებრივი ძალისა და ძრავების ენერგიის ერთმანეთის არათანაფარდობის გამო, არამედ – თვით განცდის ფორმების უიდუმალესი უჯრედების ჩათვლით. უკვე წინა ომშიც, მატერიალური ბრძოლისათვის ტანის შეუსაბამობაშ შეუძლებელი გახადა ნამდვილი გამოცდილება. ველარავინ ახერხებდა მის შესახებ ისევე თხრობას, როგორც შეეძლოთ თხრობა არტილერიის გენერალი ბონაპარტის ბრძოლებზე. საომარ მემუარებსა და მშვიდობის დამყარების აქტს შორის ხანგრძლივი ინტერვალები შემთხვევითი არ არის. ეს მოწმობს იმაზე, რომ გახსენება გაჭირვებით რეკონსტრუირდება, მას კი თითოეულ ასეთ წიგნში უძლურების, თვით არანამდვილის მომენტიც კი ახასიათებს, სულერთია, თუ რომელი საშინელებისაგან ცდილობენ თავის დაღწევას მთხრობელნი. მეორე ომი კი, უკვე ისევე სრულიად ხელმიუნვდომელია გამოცდილებისათვის, როგორც მანქანის პროცესი – სხეულის იმპულსებისათვის. სხეული ასეთ პროცესს ემსგავსება მხოლოდ ავადმყოფობის მდგომარეობებში. ომი აღარ მოიცავს არც უწყვეტობას, ისტორიას, ‘ეპიკურ’ ელემენტს, არამედ, გარკვეულ წილად, თითოეულ ფაზაში თავიდან იწყება; და ის აღარც გახსენების უცვლელსა და არაცნობიერად შემონახულ ხატს გვიტოვებს. ყოვლისმომცველად, თითოეული აფეთქებით, მან გაარღვია გაღიზიანებებისაგან დაცვა, რომლის ფონზეც ყალიბდება გამოცდილება: ხანგრძლივობა განმკურნავ დავინწყებასა და განმკურნავ გახსენებას შორის. სიცოცხლე გარდაისახა შოკების უდროო თანმიმდევრობად, მათ შორის კი ბზარები, პარალიზებული ცარიელი ადგილები გაჩნდა. თუმცა, შესაძლოა, არაფერია ისე საბედისნერო მომავლისათვის, როგორც ის ვითარება, რომ ძალიან მაღე, პირდაპირი აზრით, ველარავინ შეძლებს მომავლის გააზრებას, რადგან ომიდან დაბრუნებულთა თითოეული ტრავმა, თითოეული დაუძლეველი

შოკი, მომავალი განადგურების ფერმენტია. –

კარლ კრაუსი მართალი იყო, როცა თავის პიესას „კაცობრიობის უკანასკნელი დღეები“ უწოდა. რაც დღეს ხდება, ამას „სამყაროს დასასრულის შემდეგ“ უნდა ერქვას. [...]

ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიაში ეს დროც რომ შესულიყო, ჰიტლერის რობოტად ქცეული ნაღმები ალექსანდრეს ნაადრევი სიკვდილისა და მსგავსი ხატების გვერდით იპოვიდა თავის ადგილს, იმ რჩეულ ემპირიულ ფაქტებს შორის, მსოფლიოს სულის მდგომარეობა უშუალოდ სიმბოლურად რომ გამოიხატება. როგორც თავად ფაშიზმს, ისე რობოტებსაც მიზანმიმართულად ამკვიდრებენ, თუმცა ისინი, ამავე დროს, უსუბიექტონი არიან. როგორც ფაშიზმი, ისინიც უკიდურეს ტექნიკურ დახვეწილობას აერთიანებენ სრულქმნილ სიბეჭესთან. და როგორც ფაშიზმი, ისინიც ყველაზე მომაკვდინებელ ძრნოლას იწვევენ და, ამავე დროს, სრულიად არაფრისმაქნისი არიან. – ‘მსოფლიო სული ვიხილე’, ცხენზე ამხედრებული კი არა, არამედ ფრთხებით და უთავოდ, ეს კი, ამავე დროს, ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიასაც უარყოფს.

ის მოსაზრება, რომ ომის შემდეგ სიცოცხლე ‘ნორმალურად’ შეიძლება გაგრძელდეს, ან სულაც კულტურა ‘ალორძინდეს’ – თითქოს კულტურის ალორძინება არ იყოს უკვე მისი უარყოფა – იდიოტურია. მილიონობით ებრაელი მოკლეს, ეს კი უბრალო ეპიზოდი უნდა იყოს და არა თავად კატასტროფა. და მეტს რაღას ელოდება ეს კულტურა? თვით იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მრავალ ადამიანს ჯერ კიდევ დარჩენია მოსაცდელი დრო, შეიძლება ნარმოვიდგინოთ, რომ ევროპაში მომზდარს შედეგი არ მოჰყება, რომ მსხვერპლთა რაოდენობა მთელი საზოგადოების ახალ თვისობრიობად, ბარბაროსობად, არ გარდაიქმნება? სანამ კატასტროფა, ერთი ნაბიჯის საპასუხო მეორე ნაბიჯით აგრძელებს სვლას, ის მარადიული რჩება. საკმარისია, ვიფიქროთ მოკლულ-თათვის შურისძიებაზე. თუკი ამდენივეს მოკლავენ სხვებიც, ტერორი დაწესებულებად იქცევა და სისხლის აღების კაპი-

ტალიზმამდელი სქემა, უძველესი წარსულის მხოლოდ შორეულ მთიან რეგიონებში რომ ბატონობდა, განვითარებული სახით, კვლავ დამკვიდრდება – ერებით, როგორც მისი უსუბიექტო სუბიექტებით. მაგრამ, თუ მკვდრებზე შურს არ იძიებენ, არამედ მათ შეინყალებენ, მაშინ დაუსჯელი ფაშიზმი, ყველაფრის მიუხედავად, გამარჯვებული რჩება. ხოლო, მას შემდეგ, რაც მან ერთხელ უკვე გვაჩვენა, თუ რა მარტივად არის ის შესაძლებელი, ის გაგრძელდება სხვა ადგილებში. ისტორიის ლოგიკა გამანადგურებელია, ისევე, როგორც მის მიერ წარმოშობილი ადამიანებიც. საითკენაც არ უნდა მიგვაჟანებდეს მისი მიზიდულობის ძალა, ის წარსული უბედურების ეკვივალენტის რეპროდუცირებას ახდენს. ნორმალური არის სიკვდილი.

კითხვაზე, თუ რა უნდა ვუყოთ დამარცხებულ გერმანიას, ორგვარი პასუხის გაცემა შემიძლია. ერთი: არაფრის ფასად, არავითარ შემთხვევაში არ მინდა ვიყო ჯალათი, ან კანონიერი უფლება მივანიჭო ჯალათებს. და მეორე: არავის, მით უმეტეს, კანონის აპარატით, არ მსურს შევუშალო ხელი, ვინც კი მომხდარზე შურს იძიებს. ეს არის სრულიად არადამაკმაყოფილებელი, წინააღმდეგობრივი პასუხი, რომელიც სასაცილოდ იგდებს განზოგადებასაც და პრაქტიკასაც. თუმცა, შესაძლოა, შეცდომა უკვე კითხვაშია და ჩემი არ არის. [...]“

აფორიზმში ადორნო პრაქტიკული გონებისათვის აყალიბებს იმ ანტინომიას, რომელიც საფუძვლად უდევს „განმანათლებლობის დიალექტიკას“. შურისძიება მომხდარი საშინელებისათვის ზნეობის შენარჩუნების მიზნით ნიშნავს სწორედ არქაული პრინციპის „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ“ კვლავ დამკვიდრებას, რომლის ისტორიულად მოდიფიცირებული ნაირსახეობაც არის თანამედროვე საზოგადოებაში გაბატონებული ეკვივალენტური ღირებულებების გაცვლა.⁶⁷ სამართლით ამ საზოგადოებაში უსამართლობა დგინდება. მეორე მხრივ, შურისძიების არგანხორციელება

67 იხ. ამის შესახებ „ოდისევსი, ანუ მითოსი და განმანათლებლობა“, წინამდ. გამ., გვ. 75 დ.შ.

ნიშნავს, რომ ფაშიზმი – რომელმაც ეკვივალენტების გაცვლის წინააღმდეგობრივი კანონი თავისი რეალიზაციის მეშვეობით გააუქმა – გამარჯვებული რჩება. ასე შეწყალება საზოგადოებრივ უმოწყალობას ამკვიდრებს. ბარბაროსობით იგულისხმება ახალი სახის წარმოების წესი. წაციონალსოციალიზმი მან ლიბერალური კაპიტალისტური, კლასობრივ ანტიგონიზმსა და ექსპლოატაციაზე დამყარებული ეკონომიკა, ჩაანაცვლა და, როგორც ადორნო ამბობს, შესაძლებლობას ინარჩუნებს, „სხვა ადგილებში“ იქცეს სინამდვილედ.

ადორნოსა და პორკპაიმერს ამონდრავებთ სწორედ პოსტფაშისტური საზოგადოების, როგორც „სხვა ადგილის“ კრიტიკა. ეს კრიტიკა აქტუალური რჩება დღეს, რადგან პოსტფაშისტური საზოგადოების ხსენებული ანტინომია ცოცხალია. ადორნოსა და პორკპაიმერის მიერ აღნერილი განმანათლებლობის დიალექტიკა ამ ანტინომიის თეორიული გაშლაა. რაციონალური გაცვლისა და მასზე დაქვემდებარებული მეცნიერების სოციალური დაწესებულების რეალიზაციის მეშვეობით ხორციელდება ცივილიზაციისა და განმანათლებლობის თვითგანადგურება.⁶⁸ განმანათლებლობის უკუგდებით კი სინამდვილედ იქცევა სწორედ ის ფაშიზმი, რომელიც, ამავე დროს, განმანათლებლობას ეყრდნობა, მისი ბოლომდე მიყვანა და მისი ეკონომიკური პრინციპების უშუალოდ შესრულების მცდელობაა. არსად არ ჩანს ეს ისე ნათლად, როგორც განმანათლებლობის მიერ შოას კატასტროფის გაგების მცდელობებში.

მართლაც, ებრაელების განადგურების კატასტროფა ორგვარად შეიძლება იქნეს განხილული, ან ისტორიული პროცესის უწყვეტობის, ან მისი წყვეტადობის ელემენტად. ამ დროს, ისტორიის ორივე გაგება ერთმანეთის საპირისპიროში გადადის და აბათილებს საჟუთარ თავს. პირველისათვის, არსებობს ისტორიული პროცესისათვის დამახასიათებელი შინაგანი დინამიკა. ის ემორჩილება გარკვეულ ლოგიკას, რასაც იზიარებენ როგორც დამკვიდრებული კლასიკუ-

68 იქვე, გვ. 12.

რი ბურჟუაზიული, ისე ტრადიციული მარქსისტული ისტო-
რიის კონცეფციები. კლასიკურ ეკონომიკურ თეორიაში ეს
არის ერთა სიმდიდრის ადამ სმიტისეული „უხილავი ხელი“⁶⁹,
რომლის ქმედებითაც, ცალკეული მენარმეების საკუთარ
კერძო ინტერესზე მიმართული საქმიანობიდან, საბოლოო
ჯამში, საერთო საზოგადოებრივი კეთილდღეობა უნდა მი-
იღწეოდეს – ტექნიკური და სამენარმეო წინსვლა. დღევან-
დელ სოციოლოგიაში კი, მაგალითად, საბაზროდან საერთოდ
სოციალური სისტემებზე გადატანილი თვითრეგულაციისა
და თვითწარმოების, ავტოპოეზისის იდეა, ნიკლას ლუმა-
ნის სისტემების თეორიას უდევს საფუძვლად.⁷⁰ ამ ინფორ-
მაციონისტულ-ბიოლოგისტური კონცეფციისთვის საზოგა-
დოებრივი სისტემების რეპროდუქციისას განადგურება ამ
სისტემების თვითწარმოების გვერდითი შედეგია, რითიც ეს
თეორია კაპიტალის საზოგადოების ზედაპირზე არსებულ
ურთიერთობებში ბრმად იმეორებს. შემთხვევითი არ არის,
რომ გერმანიაში შემუშავებულ ამ თეორიაში შოა, როგორც
სინგულარული მოვლენა, საერთოდ არ კი ფიგურირებს.

მარქსიზმი კი სანარმოო ურთიერთობისა და სანარმოო
ძალების წინააღმდეგობას ვარაუდობდა კლასობრივი ბრძო-
ლის გარდაუვალ წინაპირობად. მარქსიზმის თანახმად, კლა-
სობრივი ბრძოლის დინამიკა იძლეოდა დრომოქმული კაპი-
ტალისტური ურთიერთობების ავტომატურ გადალახვას.
მიიჩნეოდა, რომ სანარმოო ურთიერთობები, კაპიტალიზმის
დამკვიდრებასთან ერთად, შეუსაბამო ხდება მატერიალური
სანარმოო ძალების განვითარების დონისათვის. კაპიტალიზ-
მიდან სოციალიზმამდე გადასვლა ისტორიულად აუცილებე-
ლი ნაბიჯი იყო, ნებისმიერი რევოლუცია კი – პირველ რიგში,
საბჭოთა კავშირის – მხოლოდ ბებიაქალის დახმარებას აღ-
მოუჩენდა ისტორიულ პროცესს, რათა ეშვა ის, რაც მის კალ-

69 იბ. Adam Smith, *An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of the Nations* [1776], London 1905, ნიგნიV, თავი 2, აბზ. 9.

70 ავტოპოეზისის ცნების შესახებ იბ. თავი „Komplexität“, Niklas Luhmann, *Die Gesellschaft der Gesellschaft, Erster Teilband*, Frankfurt a. M. 1998, გვ. 134-144.

თაში უკვე ისედაც იბადებოდა.⁷¹ პროგრესის ასეთი რწმენით ამართლებდა 1930-იან წლებში სტალინიზმი პოლიტიკურ ზომებს საბჭოთა კავშირში, იქნებოდა ეს ძალდატანებითი კოლექტივიზაცია, დაჩქარებული ინდუსტრიალიზაცია თუ ხალხის მტრების, კომუნისტი ანტიკომუნისტების ჩათვლით, განადგურება. გამაერთიანებელი კი ტრადიციული მარქსისტული და ბურუუაზიული ისტორიის გაგებისათვის არის დარწმუნებულობა, რომ ისტორიას ინტელიგიბელური საწყისი აქვს, სულერთია, თუ როგორ განისაზღვრება ეს საწყისი კონკრეტულ შემთხვევაში: კერძო უტილიტარიზმის ან სოციალური სისტემების თვითრეგულაციად, თუ საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობების წინააღმდეგობის ლოგიკად.

ისტორიისათვის ცნებობრივად წინასწარ მინიჭებული ასეთი ლოგიკისათვის ებრაელების განადგურება არ ჯდებოდა არავთარ ჩარჩოში. ისტორიული წყაროების საფუძველზე, დღეს მხოლოდ რთული კონსტრუქციებით თუ უარიყოფა, რომ ექვსი მილიონი ებრაელი არ მოკლეს არც ეკონომიკური მოგების, არც ომის იმპერიალისტური მიზნებიდან გამომდინარე, არც მათ მიმართ ევროპაში, სავარაუდოდ, თანდაყოლილი სიძულვილის, თუ შურის გამო, მიუხედავად იმისა, რომ ეს ფენომენები ამ პროცესის თანმხლები შესაძლებლობის პირობები იყო. ამიტომ, ებრაელების განადგურება მეორე მსოფლიო ომის ზოგადი ფონიდან გამოიკვეთება ისეთი მოვლენის სახით, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიაში

71 ქართულ ისტორიოგრაფიაში ასეთი პროგრესის რწმენა ასე ჟღერს: „XX საუკუნის დასაწყისისათვის რუსეთის კაპიტალისტური ურთიერთობა ლპიაბად სტადიაში შევიდა. იმპერიალიზმის ყველა ნიშანი მეტ-ზაკლებად ჩანდა მის სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარებაში. რუსეთში არათუ მოქმედებდნენ კაპიტალიზმის რღვევის კანონები, არამედ სწორედ აქ იქმნებოდა კვანძი იმპერიალიზმის ყველა ძირითადი წინააღმდეგობისა [...] იმპერიალიზმისა და სამხედრო-ფეოდალური რეჟიმის ეს თავისებური გადახლართვა აჩქარებდა დრომოქმულ ნარმოებით ურთიერთობებსა და მზარდ საწარმოო ძალებს შორის სამკუდრო-სასიცოცხლო კონფლიქტის გადაწყვეტას.“ ა.ე. სურგულაძე, ნ.გ. მარგარიტ და სხვ., საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი 6. საქართველო 1900-1921 წლებში, თბილისი 1972, გვ. 2. (nplg.gov.ge/dlibrary/coll/0001/000058/, 19.8.2011).

არ ყოფილა. სიძულვილი ებრაელების მიმართ კი, მისი წინაპირობა – ნაიცონალსოციალიზმში მან ელიმინატორული ფორმა მიიღო – სწორედ თავად არის ასახსნელი. თუ ის არ არის ბუნებრივი მოვლენა, რომელიც დაახასიათებდა კაცობრიობას, როგორც ასეთს, ის არ არის არც ‘ჩვეულებრივი’ რასიზმი. ანტისემიტური რესენტიმენტი უფრო მეტია, ვიდრე ცრურწმენაზე დაფუძნებული ანტიპათია ეთნიკური ჯგუფის მიმართ. ამდენადაც, ის ისტორიულად განსაკუთრებული ფენომენია.

5. ანტისემიტური შეშლილობა – რასისტული სიძულვილი

დღევანდელ საქართველოში ანტისემიტიზმის მნიშვნელობას ამცირებენ. ასე, მაგალითად, გიორგი ბასილაა ანტისემიტიზმს „ყოველივე ებრაულისადმი (უკიდურეს) ნეგატიურ დამოკიდებულებას“ უწოდებს და ამატებს: „მათ მიმართ ანტიპათიური დამოკიდებულების ერთ-ერთი მიზეზი მათი წარმატებაა“.⁷² ბასილაა მეტწილად ამერიკელი ავტორის, ჯორჯ გილდერის, ანტისემიტიზმის სპეციფიკურობის მანიველირებელი თეზისების რეფერატს იძლევა, თვით ებრაელებისადმი სავარაუდო საყოველთაო შურის მიზეზის ისეთი სტატისტიკური მტკიცებულებების ჩათვლით, რომ მსოფლიოს 0.2 პროცენტი ებრაულ მოსახლეობას ნობელის პრემიების ლაურეატთა 22 პროცენტი შეესაბამება.⁷³ ბასილაისა მიერ გაზიარებული გილდერის არაისტორიული ხედვის სახასიათო გამოხატულება ასეთი მთავარი დებულებაა: „რადგან ებრაელები, როგორც წესი, ჩვეულებრივზე უფრო მეტად არიან წარმოდგენილნი ოსტატობის მწვერვალებზე, დოგმატური რწმენა, რომლის თანახმადაც ბუნება უპირა-

72 იხ. გიორგი ბასილაა, „დაუსრულებელი შური და სიძულვილი“, ტაბულა, 84, 8.1.2012 (tabula.ge/article-19053.html, 14.1.2012).

73 იხ. George Gilder, „Capitalism, Jewish Achievement, and the Israel Test“, *The American*, 27.7.2009, (american.com/archive/2009/july/capitalism-jewish-achievement-and-the-israel-test, 14.1.2012).

ტესობას ანიჭებს თანასწორ შედეგებს, კაპიტალიზმის მი-
მართ მტრულ განწყობას იწვევს და ულმობლად ანტისემი-
ტიზმს ბადებს.⁷⁴ თუკი ამ დიაგნოსტიკურ განსაზღვრებას
მეორე მსოფლიო ომის პერიოდზე გადავიტანთ, აღმოჩნდე-
ბა, რომ ანტისემიტური ბრძანება ხატი, რომლის თანახმადაც
ებრაელები ერთდროულად გერმანელებზე აღმატებულე-
ბი და ძალმოსილნიც არიან და მდაბიონიც და ბინძურნიც,
მისი 'დადებითი' ნაწილით თავად ხსენებულ ავტორებთან
გვხვდება. ასეთი მარტივი კონსტრუქცია ვერ ხსნის ისტო-
რიულ სინამდვილეს. ნაციონალსოციალისტების გაბატო-
ნების მომენტისთვის, დასავლეთ ევროპის ებრაელები,
მიუხედავად მათგან ასიმილირების მოთხოვნისა, ნაწი-
ლობრივ აღნევდნენ არაორდინარულ ნამყვან პოზიციებს
გერმანიის მოხელეთა შორის, ეკონომიკაში, მეცნიერებასა
და ხელოვნებაში.⁷⁵ მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით ძირითა-
დად გადარიბებულ აღმოსავლეთ ევროპის ებრაელებზე.
ამ ხელოსნებსა და წვრილ ვაჭრებს – პოლონეთიდან რუ-
სეთის დაკვიდრებულ „დასახლების ზონამდე“, ცერთა
осედლოსტი – იშვიათად თუ პქონდათ შესაშური არსებობა.⁷⁶
მეტიც, ორივე ავტორის მსჯელობა იმპლიციტურად მია-
ნერს ნაციონალსოციალისტურ გამანადგურებლურ ანტი-
სემიტიზმს რაციონალურ მარცვალს. თუკი ებრაელები,
როგორც ხალხი, მართლაც იყვნენ გერმანელებზე უფრო
ნარჩინებულნი, მაშინ გერმანელების შიში, არ დამარცხე-
ბულიყვნენ იმ საერთაშორისო კონფრონტაციაში, რადაც
ნაციონალსოციალისტების თამადობით ისინი სახავდნენ
არიული და ებრაული რასების საბოლოო ბრძოლას, არ ყო-
ფილა პათოლოგიური ილუზია, არამედ სინამდვილეში საყრ-

74 იქვე.

75 იხ. თავი „Consenting Elites, Threatened Elites“, Friedländer, *Nazi Germany and the Jews. Volume I*, გვ. 41-72. თვით ნოიმანიც საკუთარ ანალიზში 1942 წელს
გერმანულ ანტისემიტიზმს, ევროპულის ფონზე, რაიმე განსაკუთრებუ-
ლად არ მიიჩნევდა, იხ. Neumann, *Behemoth*, გვ. 140-163, განს. 154.

76 იხ. Dan Diner, „Rationalisierung und Methode. Zu einem neuen Erklärungsversuch der 'Endlösung'“, *Vierteljahrshefte für Zeitgeschichte*, 40, 3, 1992, გვ. 360 დ.შ.

დენსაც ფლობდა. მაშინ ეკონომიკურ კრიზისში მყოფი გერ-მანელების რეაქციაც, გროტესკულად, უნდა განიმარტოს, მართალია, უზომოდ გადაჭაბბულ, მაგრამ რაციონალური საფუძვლის მქონე თავდაცვით ქმედებად.

ებრაელებს მართლაც აიგივებდნენ კაპიტალიზმთან, მაგრამ არ არის აუცილებელი, ეს ბუნებრივი ეგალიტარიზმის რწმენას ეყრდნობოდეს, როგორც ამას გილდერი ამტკიცებს. არამედ ეს გაიგივება კაპიტალის რეალურ თვისებას უკავშირდება, გადათელოს ყველა ტრადიციული ურთიერთობა მისი აკუმულაციის პრინციპით გამოწვეული დაუღალავი მობილურობით. ნაციონალსოციალიზმში ამ მობილურობასთან ასოცირდებოდა, უპირველეს ყოვლისა, ‘ნამგლეჯი’ (*raffendes*) ფინანსური კაპიტალი, ‘პატიოსანი’ ‘შემოქმედი’ (*schaffendes*) კაპიტალის საპირისპიროდ, პირველთან, თავის მხრივ, ებრაელები, მეორესთან კი – პატიოსანი გერმანელი მშრომელი ხალხი იყო გაიგივებული. მაგრამ ფინანსური კაპიტალი მხოლოდ მნარმოებლური კაპიტალის მეტამორფოზია. სწორედ კაპიტალის, როგორც ასეთის, სტრუქტურულად კრიზისული მოძრაობა იწვევს, უპირველეს ყოვლისა, მოქალაქეთა ეგალიტარიზმს, როგორც კონკრეტულ ერებს. ერების ბირთვი ყოველთვის რასისტულია, რაც არ უნდა სამოქალაქო-სამართლებრივი ფორმა ჰქონდეთ ეროვნულ სახელმწიფოებს. ერი ეფუძნება კერძო სახელმწიფო სუვერენის მიერ საკუთარი მოქალაქეების სხვა ხალხებისგან გამიჯვნას. ამის კრიტერიუმი კი ვერ იქნება ადამიანების უნივერსალური თანასწორობა, არამედ ერი ყოველთვის პარტიკულარულ ბუნებრივი ნიშნებით კონსტიტუირებულ ერთობას ნარმოშობს.⁷⁷ ამდენად, ნებისმიერ თანამედროვე ნაციონალიზმში უკვე მოცემულია ანტისემიტიზმი მიდრეკილების სახით, რადგან ერი არის საკუთარი ‘პატიოსანი’ კაპიტალის დაცვის მექანიზმი უცხო, ‘გამყვლეფი’, ან ‘იმპერიალისტური’ კაპიტალისგან, მის უკან კი, როგორც ჭორი ამბობს, ყოველთვის, ბოლოს, დგას ებრაელი. მაგრამ ბასილაია და გილდერი ვერ

77 იხ. ნინამდ. გამ., გვ. 246.

სსნიან, თუ რატომ გამოიწვია ებრაელებისადმი შურმა, მაშა-
სადამე, სიძულვილმა ნაციონალსოციალისტების უმაგალი-
თო გადაწყვეტილება, გაენადგურებინათ ევროპის მთელი
ებრაელობა. რატომ არ დაყაბულდნენ ისინი, თუნდაც მხო-
ლოდ მართლაც ნარმატებულთა მოსპობით და უარი თქვეს
დანარჩენ უბედურ რჩეულთა⁷⁸ საკუთარი ეკონომიკური სარ-
გებლისათვის გამოყენებაზე? თუკი დღეს ეს სიძულვილი,
პირველ რიგში, ეკონომიკურად დაწინაურებული ისრაელის,
ამ ერთა შორის ებრაელის წინააღმდეგ არის მიმართული,⁷⁹
ავტორები ვერც იმას სსნიან, თუ რატომ აქვს, მაგალითად,
ისეთ ისლამურ ორგანიზაციას, როგორც „ჰამასი“, ამ სა-
ხელმწიფოს, როგორც ასეთის, მოსპობის და არა უბრალოდ
მისთვის ეკონომიკურად, მეცნიერულად, კულტურულად
‘გადასწრების’ სურვილი.⁸⁰

ანტისემიტიზმის მერკანტილისტურ შურზე დაყვანით
მისი ტრივიალიზაცია ხდება. ავტორების ნატურალიზმი,
რომლითაც ისინი ებრაელებისთვის ფილოსემიტურად აბ-
სოლუტური ნარჩინებულობის მიწერით *ex negativo* ზოგიერ-
თი ხალხისთვის ოსტატობის უნარსაც უარყოფენ, იმავე
ყაიდისაა, რომლითაც ანტისემიტებიც ებრაელებს ფულისა
და კაპიტალის პერსონიფიკაციებზე დაიყვანენ. ასევე და-
ბრმავებულ, უკვე სინამდვილის გაყალბებად იქცევა ანტისე-
მიტური ანტიკაპიტალიზმის მხოლოდ მემარცხენებისთვის
ატრიბუცია⁸¹ – როგორც დღევანდელ, მსოფლიო მასშტაბით,
ისე ისტორიულ, მე-19 საუკუნის ევროპაში პოლიტიკურ მოძ-
რაობად ჩამოყალიბებულ ანტისემიტიზმთან მიმართებით.
მემარჯვენე ანტისემიტიზმი, რომელსაც ბასილაია საერთოდ
არც ასახელებს, მხოლოდ ქრისტიანულ ანტისემიტიზმად
ვიწროვდება.⁸²

78 იქვე, გვ. 244.

79 ბასილაა, „დაუსრულებელი შური და სიძულვილი“, იქვე.

80 იხ. Yaakov Lozowick, *The Right to Exist. A Moral Defense of Israel's Wars*, New York 2003, გვ. 176-179.

81 იხ. ბასილაია, „დაუსრულებელი შური და სიძულვილი“, იქვე.

82 იქვე.

ანტისემიტიზმი ანტიებრაული სტერეოტიპი კი არ არის, არამედ ამომწურავი მსოფლებელთა რომელიც სამყაროს ხატს იძლევა. ამიტომ არის მცდარი ისეთი თეზისიც, მას სხვა სახის რასიზმებთან რომ აიგივებს, როგორც, მაგალითად, საქართველოში „არმენფონბიასთან“, რომელსაც „ანტისემიტიზმის ქართულ ვარიანტს“ უწოდებენ.⁸³ რამდენად ზუსტიც არ იყოს, რომ საქართველოში მე-19 საუკუნეში დაწყებული კაპიტალიზაციის და ინდუსტრიალიზაციის პროცესში საშუალო და მსხვილი ბურჟუაზიის დიდი ნაწილი ქალაქებში ეთნოკური სომხები და არა ქართველები იყვნენ,⁸⁴ იმდენად უზუსტოა დებულება, რომ „ასეთ პირობებში მდიდარი სომეხი გაღატაკებული და დავალიანებული ქართველისათვის ისეთივე მტრისა და სისხლისმსმელის ხატებად იქცევა, როგორიც მდიდარი ებრაელია გერმანელი ან რუსი ნაციონალისტებისათვის“⁸⁵. გერმანიაშიც და რუსეთშიც, ებრაელები სძულდათ იმისგან დამოუკიდებლად, მდიდრები იყვნენ ისინი თუ ღარიბები – მდიდრებსაც და ღარიბებსაც. ანტისემიტიზმი, როგორც უკვე აღორნომ და პორკპაიმერმა იცოდნენ, ნამდვილ ებრაელებთან ნამდვილი ურთიერთობისაგან დამოუკიდებელია.⁸⁶ ხოლო, მართალია, საქართველოში სიძულვილი სომხების მიმართ, სხვადასხვა პერიოდებში განსხვავებული ინტენსივობით, სავარაუდოდ, შეიძლება დასაბუთდეს – ისევე როგორც, კონკრეტული პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე, სხვა ხალხების მიმართაც – სომხებს, ისევე, როგორც არც ერთ სხვა ეთნოკურ ჯგუფს, არც საქართველოში და არც სხვა ხრისტიანული განსაკუთრებული განვითარების მიმართ სიძულვილი შეიძლება ღვივდებოდეს, არასოდეს არ მიაწერენ მსოფლიო ეკონომიკური პროცესების უკან მყოფი იდუმალი ძალის სტატუსს, რომელიც მთელი დედამინის მასშტაბით, ყველა

83 იხ. გიორგი მაისურაძე, „არმენფონბია“, 24.6.2011 (radiotavisupleba.ge/content/blog/24244905.html, 27.6.2011).

84 იხ. Ronald Suny, *The Making of the Georgian Nation*, Bloomington 1994, გვ. 77, 89.

85 მაისურაძე, „არმენფონბია“, იქვე.

86 იხ. ნინამდ. გამ., გვ. 291.

გადამწყვეტ ადგილზე, ამ პლანეტის ბედისწერას მართავს. თუ პრემოდერნულ ანტისემიტიზმში ებრაელი, უპირველეს ყოვლისა, იყო ადგილობრივი მევახშე და ვაჭრუკანა, ახალი დროის კაპიტალისტური ურთიერთობების გავრცელებასთან ერთად, ებრაელი უკვე იქცა იმ ყოველივეს განსახიერებად, რაც დამკვიდრებული, ტრადიციული, ბუნებრივი სოციალური ურთიერთობების გამხრწელად აღიქმებოდა: კაპიტალიზმისა.⁸⁷ ნაცისტურ გერმანიაშიც, მათ მიენერებოდათ როგორც ლიბერალიზმის, ისე ბოლშევიზმის ჩრდილოვანი დაფინანსება, ებრაელთა მსოფლიო შეთქმულებას კი, საბოლოოდ, ხელი ერია ყველა და ყველაფერში, რაც პატიოსანი მშრომელი ადამიანისა და საყვარელი ერის ცხოვრებას მარწეხად აწვებოდა. რასიზმი არის სიძულვილი მთელი ეთნოსისადმი, რომელიც კონკრეტული ემპირიული ურთიერთობებით არის განპირობებული. ანტისემიტიზმი არ არის ასეთი რასიზმი. ის, პირიქით, ერთგვარი აპრიორი სქემის ნაწილია, რომლითაც ხდება დღევანდელ საზოგადოებაში სამყაროს იდეოლოგიური განმარტება. ერთი რასიზმი მეორეს არ გამორიცხავს, არამედ სიძულვილი უცხოსადმი იმავე ძირეული სოციალურ-ფსიქოლოგიური დისპოზიციის ნაწილია, რომლის პირველი გამოხატულებაც არის დღეს ანტისემიტიზმი. თუმცა, დღეს ანტისემიტიზმს მეტნილად ნაცისტური ელიმინატორული და საერთოდ ექსპლიციტური ანტისემიტიზმისაგან განსხვავებული, ეგრეთ წოდებული „სტრუქტურული“⁸⁸ სახე აქვს, თუნდაც სტრუქტურის არსს გაურკვევლად ტოვებდნენ. ასევე, საქართველოშიც არ არის საჭირო და არც შესაძლებელი, ‘არმენოფობით’ ჩანაცვლებულად ვიგულოთ ანტისემიტიზმი.⁸⁹ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, დემოკრა-

87 იხ. Gerhard Scheit, *Verbogener Staat, lebendiges Geld. Zur Dramaturgie des Antisemitismus*, Freiburg 1999.

88 Micha Brumlik et al., *Der Antisemitismus und die Linke*, Frankfurt 1991, გვ. 7 დ.ქ.

89 უკანასკნელ ათწლეულში ანტისემიტიზმი საგანგებოდ აისახა, მაგალითად, ‘მასონური’ ‘სოროსის ფონდის’ ‘ფარული მაქინაციების’ წინააღმდეგ პროტესტები ან 2011 წლს ებრაელი ბიზნესმენები რონი ფუქსისა და ზევე ფრენკელის დაპატიმრებასთან დაკავშირებულ მედიაკამპანია-

ტიულ სახელმწიფოებში ღია ანტისემიტიზმი, როგორც წესი, ზნეობრივად იკიცხება და სამართლებრივად ისჯება. მაგრამ ის, რასაც ჰორკჰამერი და ადორნო ავტორიტარულ „სიის მენტალობას“⁹⁰ უწოდებენ და ამ საზოგადოებების იდეოლოგიური საყრდენია, სახელდობრ, განრისება ყოველივეთი, რაც თვითგადარჩენის ლოგიკისაგან განსხვავებულია, იმთავითვე ანტისემიტურია. ისტორიულად სწორედ ებრაელები, ისევე როგორც ქალები, ცხოველები, საერთოდ სუსტები არიან ის ჯგუფები, რომლებიც, როგორც თვითგადამრჩენი ბატონობისაგან ყოველთვის დაშორებულები, მის ობიექტს წარმოადგენდნენ.⁹¹

6. ცივილიზაციის გაუჩინარება – ისტორიკოსთა დავა

ნაციონალსოციალისტურ გერმანიაში ანტისემიტურ-მა მსოფლხედვამ საზოგადოებრივი რეალობის საკუთარი ხატის მსგავსად გარდაქმნა მოახერხა. ებრაელების განადგურება ნაციონალსოციალისტურ გერმანიაში თვითმიზანი იყო.⁹² მისი საზოგადოებრივი წყობილების სიახლე იმაში მდგომარეობდა, რომ სხვა ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი ზომები მის შეშლილობაში წარმოადგენდნენ ამ თვითმიზანის მიღწევის საშუალებას. გერმანული *Volksgemeinschaft*-ისათვის ის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად აღიქმებოდა. ეს კი ეჭვქვეშ აყენებს თავად ხსენებული უზივერსალურად მიჩნეული, უწყვეტი ისტორიული ლოგიკის რეალობას, რომელიც, ახალი დროიდან მოყოლებული,

ში. ანტისემიტური ხატის შესაბამისად, მათ 1990-იან წლებში საქართველოს სახელმწიფოს მთავრობის „კაბალური“, „სქემის“ მსხვერპლად ქცევა ბრალდებოდათ. ცოტატები იხ. დევი დუმბაძე, „'ჩვეულებრივი' ანტისემიტიზმი, ანუ თავისუფლება რონი ფუქსს“, (*netgazeti.ge*, 6.4.2011).

90 *Ticketmentalität*, იხ. წინამდ. გამ., გვ. 300.

91 იხ. წინამდ. გამ., გვ. 165 დ.პ.

92 იხ. Dan Diner, „Aporie oder Apologie. Über Grenzen der Historisierung des Nationalsozialismus“, *GMH*, 3, 1987, გვ. 158.

ლიბერალისტურ-კაპიტალისტური საზოგადოების საწყისების ჩამოყალიბების შემდეგ, საკუთარი თავის მსოფლიოში რაციონალური წესრიგის სახით დამკვიდრებას ცდილობდა.

ამდენად, გამართლებული ჩანს ისტორიული უწყვეტობის საპირისპირო ინტერპრეტაცია, რამდენადაც ის ხაზს უსვამს ებრაელების განადგურების სინგულარულობას. საულ ფრიდლენდერი თავის ისტორიულ კვლევებში სწორედ ნაციონალსოციალისტური ანტისემიტიზმით გამოწვეული კატასტროფის არაშედარებითობას ნარმოაჩენს. ამ ანტისემიტიზმის იგი „დამხსნელს“⁹³ უწოდებს: „დამხსნელი ანტისემიტიზმი დაიბადა რასობრივი დეგენერაციის შიშისა და რელიგიური დახსნის რწმენიდან.“⁹⁴ გერმანული სახალხო ერთობა თვითგადარჩენის აპოკალიპტურ ბრძოლაში იმყოფებოდა, ებრაელები კი, მისი უბედურების მომტანები, უნდა განადგურებულიყვნენ. ასეთი დაშვებით განმანადგურებლური ანტისემიტიზმი, საბოლოოდ, რელიგიურ, მაშასადამე, რაციონალურად აუხსნად მოვლენაზე დაიყვანება. ფრიდლენდერი აღნერს გერმანული ნაციის სპეციფიკურ სტრუქტურულ განსხვავებას სხვა ევროპული ქვეყნებისაგან, სადაც ეროვნული სახელმწიფოს ფორმირებაში, მაგალითად, საფრანგეთთან კონტრასტში, არა ცენტრალიზებული სახელმწიფოს უნივერსალური განმანათლებლური პრინციპი, არამედ პარტიკულარული ეთნოკულტურული თემის იდეა თამაშობდა გადამწყვეტ როლს, რომელიც გერმანული რომანტიკული მოძრაობიდან აღმოცენდა.⁹⁵ ფრიდლენდერი განმარტავს გერმანიაში, სხვა ევროპულ სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, *völkisch* იდეოლოგიის მწყობრი სისტემის სახით ჩამოყალიბებასაც, რაც, ამ დროს, გერმანული ანტისემიტიზის შედეგად უნდა იქნეს განხილული და არა მიზეზად, რადგან საკითხავია, თუ რატომ მოხდა რიხარდ ვაგნერის ბაიროთის

93 იბ. Friedländer, *Nazi Germany and the Jews. Volume I, „Redemptive anti-Semitism“*, გვ. 73-112.

94 იქვე, გვ. 87.

95 იქვე, გვ. 85.

წრის, ალფრედ როზენბერგის, ჰიუსტონ სტუარტ ჩემპერ-ლენის, ადოლფ ჰიტლერისა და სხვების მიერ ფორსირებული ანტისემიტური იდეოლოგიის სწორედ გერმანიაში ერთ მთლიანობად შეკვრა. ფრიდლენდერის ნაშრომში, საბოლოოდ, უპასუხოდ რჩება კითხვა, თუ რატომ იყო არიულ რა-სიზმში რასობრივი დეგენერაციის პირველ საფრთხედ მიჩნეული სწორედ ებრაელები. რატომ ითვლებოდა, რომ თუკი არიული სისხლი არ განიწმინდებოდა, უპირველეს ყოვლისა, ებრაელებისაგან, მათი ან გასახლების, ან განადგურების გზით, გერმანიის *Volksgemeinschaft*-ი ვერ მიაღწევდა ბედნიერებას? მაგალითად, გერმანიის მესამე რაიხში, „გენერალური გეგმა აღმოსავლეთი“-ს მიხედვით, სხვა ხალხების განადგურების გეგმებიც არსებობდა, მათ შორის, პოლონელების. თუკი ის შესრულდებოდა, ისტორიკოსები სუზანე ჰაიმის და გიოტც ალის ზედმინევნითი გამოთვლით, ხუთიდან ერთი პოლონელი განადგურდებოდა.⁹⁶ მაგრამ ეს გეგმები რეალობისაგან ისევე დაშორებული დარჩა პოლონელების შემთხვევაში, როგორც სწორედ პოლონეთში აგებული საკონცენტრაციო ბანაკები, არა მარტო პოლონელი ებრაელების თითქმის სრული განადგურების შემდეგ, გერმანელებმა ადრევე დახურვისათვის გაამზადეს. ასევე, წყაროები ცხადყოფენ, რომ არც ყველა პოლონელის განადგურება არ იგეგმებოდა, ებრაელებისაგან განსხვავებით.⁹⁷

„დამხსნელი“ ანტისემიტიზმის რელიგიურ განზომილებაში არ იგულისხმება ის, რომ ის ქრისტიანული ანტისემიტიზმით იყო განპირობებული. ქრისტიანული ანტისემიტიზმის საწყისი არის იუდაიზმის მიერ თავად ქრისტიანობის მიუღებლობა, რაც ებრაელების მიერ ქრისტეს, როგორც ღმერთკაცის, უარყოფისა და მკვლელობის ბრალდებაში იჩენს თავს. ქრისტიანულ ანტისემიტიზმს, დასავლურსა და აღმოსავლურ ქრისტიანობაშიც, სასიკვდილო პოგრომების,

⁹⁶ იბ. Susanne Heym und Götz Aly (გამ.), *Bevölkerungsstruktur und Massenmord. Beiträge zur nationalsozialistischen Gesundheits- und Sozialpolitik*, ტ. 9, Berlin 1991, გვ. 139.

⁹⁷ იბ. Diner, „Rationalisierung und Methode“, გვ. 376.

განდევნისა და შევიწროვების ხანგრძლივი ისტორია აქვს, მაგრამ ის არ მისულა იმ ელიმინატორულ ფორმამდე, რაც ანტისემიტიზმა მიიღო გერმანულ რაიხში, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ქრისტიანული ანტისემიტიზმის წინაისტორიიდან ამოიზარდა.⁹⁸ „დამხსნელი ანტისემიტიზმის“ რელიგიურობა იმას გულისხმობს, რომ ებრაელების არჩევანი შემთხვევითი, ცარიელი ირაციონალური მრნამსის აქტი იყო. ფრიდლენდერი ასევე მიუთითებს მის სხვა წინაპირობებზე: მე-19 საუკუნეში გერმანიის სწრაფი მოდერნიზაციით გამოწვეულ ტრადიციული ურთიერთობების ტრანსფორმაციაზე, რამაც გააღმავა გერმანიაში ისედაც დამკვიდრებული რეაქცია მოდერნული ურთიერთობების მიმართ. მაგრამ იგი გენეტიკურად არ უკავშირებს ერთმანეთს ანტიმოდერნულ რესენტიმენტსა და სპეციფიკურად ებრაელების, როგორც ამ მოდერნული ურთიერთობების მცდარი პერსონიფიკაციის, სიძულვილს. ფრიდლენდერის-თვის, ისევე, როგორც ისტორიკოსი დან დინერისთვის, საბოლოოდ, როგორც ებრაელების მსხვერპლად არჩევანი, ისე აუშვიცი „გაგების შავ კოლოფად“⁹⁹, აუხსნად „მარადიულ საიდუმლოდ“¹⁰⁰ რჩება.

შოას ისტორიული უწყვეტობის ლოგიკაში ჩართვა დამნაშავებს ბრალს ხსნის, რამდენადაც არა კონკრეტული მოქმედი პირები, არამედ ზოგადი სტრუქტურები, ისტორიული იქნება თუ ზედროული, ცხადდებიან კატასტროფაზე პასუხისმგებლად. ამის საპირისპიროდ, მისი სინგულარობის ხაზგამსემნი სპეციფიკურ გერმანულ დანაშაულს წარმოაჩენენ. ამდენად, მათი ხაზგამსა სწორია. ამავე დროს, სწორედ ამით ისინი პარადოქსულად თავად ახდენენ შოას უნებლიერელატივიზებას. თუკი ის დასავლური და საერთოდ ცივილიზაციის ლოგიკიდან ამოვარდნაა, რომლის განსჯაც სა-

98 იხ. წინამდ. გამ. 254-260.

99 იხ. Diner „Aporie oder Apologie“, გვ. 159.

100 იხ. Uli Krug, „Ewiges Rätsel Auschwitz. Über die Unfähigkeit den säkulären Zivilisationsschwund auf den Begriff zu bringen“, *Bahamas* 25, 1998, გვ. 30-36.

ბოლოოდ შეუძლებელია, მაშინ ყოველთვის, როცა ისეთი ისტორიული პირობები დადგინდება, რომლებშიც ამ ცივი-ლიზაციის ინტეგრალური ელემენტები გადაგდებულია, როგორც, მაგალითად, საბჭოთა კავშირში, სავარაუდოდ, მუდმივი კერძო საკუთრების მოხსნის რეალური მცდელობისას, დაუყოვნებლივ საქმე გვაქვს ისეთივე „ცივილიზაციის წყვეტასთან“¹⁰¹, რაც დინერმა უწოდა ებრაელების განადგურების კატასტროფას. დინერი ნეგატიურად აღიარებს ცივილიზაციის ლოგიკის არსებობას, რომელთანაც აღარაფერი აქვს საერთო შოას. ამის შედეგად კი, იმთავითვე დანაშაული ეხსნებათ მემკვიდრებსაც, როგორც გერმანელებს, ისე მთლიან დღევანდელ საზოგადოებას. სტრუქტურული კავშირი თანამედროვე გერმანიასთანაც და თანამედროვე საზოგადოებასთანაც მთლიანობაში თავიდანვე გაწყვეტილია.¹⁰² წინასწარ უკუიგდება იმის შესაძლებლობაც, რომ თანამედროვე დემოკრატიულმა პოსტნაციისტურმა სახელმწიფოებმა სულაც არ ჩამოიშორეს ის არსებითი ელემენტები, რომლებმაც ისტორიულ პროცესში გამოიწვიეს ებრაელების განადგურება. დინერის და ფრიდლენდერის პოზიცია, საბოლოოდ, ამ თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოების ლეგიტიმაციას იძლევა. ცხადია, რომ როგორც დინერი მიუთითებს ჰაიმისა და ალის კრიტიკისას, მათში არ ხდება მასობრივი მკვლელობები, როგორც ნაციონალსოციალისტურ გერმანიაში.¹⁰³ თუმცა ის ისტორიული წინაპირობები, რომლებიც ადორნომ და ჰორკჰაიმერმა ბარბაროსობის რეალიზაციისათვის ნაციონალსოციალიზმის შემთხვევაში აღნერეს, თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებშიც შენარჩუნებული რჩება. „ცივილიზაციის წყვეტის“ თეზისში იმპლიცირებული ცივილიზაციის დაბრუნება დღევანდელ ევროპასა და დასავლეთში წაიმდლვარებს ნახტომს ისტორიულ მსვლელობაში,

101 იბ. Dan Diner (გამ.), *Zivilisationsbruch. Denken nach Auschwitz*, Frankfurt a. M. 1988.

102 იბ. Diner, „Rationalisierung und Methode“, გვ. 369.

103 იქვე.

რომელიც ნაციონალსოციალისტურ წარსულსა და დღევანდელ სინამდვილეს შორის გადაულახავ უფსკრულს გადახსნის. ასეთი ანალიზის ხიდათი კი აშკარაა. თუ დაუშვებთ შესაძლებლობას, რომ ის პირობები, რამაც, ისტორიულად კონკრეტულ ვითარებაში, გაუგონარი მოახდინა, დღესაც არის შენარჩუნებული, ვეღარ გამოირიცხება იმის შესაძლებლობაც, რომ საშინელება, რაც ერთხელ უკვე ისტორიულად ნამდვილი გახდა, კვლავაც გამეორდეს. ის უკიდურესი, რაც ერთხელ უკვე განხორციელდა, გვაიძულებს სწორედ დღეს ჩვენ, ვინც კაცობრიობის ამ გამოცდილების შემდეგ ცხოვრობს, და იცის, რომ ის არათუ შესაძლებელი, არამედ ნადვილი გახდა, ყველა ძალა იღონოს იმისათვის, რომ რაც მოხდა, არაფერი მსგავსი, ალარასოდეს არ გამეორდეს. „ცივილიზაციის წყვეტის“ დაშვება კი იმთავითვე გამორიცხავს კავშირს წარსულსა და დღევანდელობას შორის. პარადოქსულად, საკუთარი გამართლებული მცდელობით, წარმოაჩინოს შოას განუმეორებლობა, რათა არ იქნეს დაშვებული მისი დამნაშავეების ექსკულპაცია, ის თავის საპირისპირომდე მიდის. ისინი კი, ვინც დანაშაული ჩაიდინა, როგორც ამბობს ადორნო ხსენებულ აფორიზმში, გამარჯვებულნი რჩებიან მანამ, სანამ კაცობრიობა ინარჩუნებს იმ არსებობის ზოგად პირობებს, რომლებმაც დამნაშავეთ მისცათ საშუალება, მოეხდინათ კატასტროფა.

ფრიდლენდერის, დინერის, დენიელ ჯონა გოლდჰეიგენის კვლევები მიმართულია შოას ეგრეთ წოდებული ეკონომისტური ინტერპრეტაციის წინააღმდეგ – ამ ინტერპრეტაციის პროცესის ავტომატიზმზე დაფუძნებული ისტორიის ფილოსოფიის გამო. ისტორიის წყვეტადობაზე დაფუძნებული ახსნის საპირისპიროდ, ის არა მარტო პანს მომსენისეულ ფუნქციონალიზმში გვხვდება, სადაც დანაშაულში მონაწილეთა ანტისემიტური ინტენცია მეორეხარისხოვნად ითვლება, ‘საბოლოო გადაჭრა’ კი სახელმწიფოს შიდაინსტიტუციური წინააღმდეგობებით და შეტაკებებით გამოწვეულ ‘კუმულაციური რადიკალიზაციის’ თავისთავად პროცესად

აღინერება. ამას გარდა, მას თვალნათლივ ტრადიციულ მარქსისტულ ისტორიოგრაფიულ კონცეფციაშიც აქვს ადგილი.¹⁰⁴ მისთვის ისევეა დამახასიათებელი ისტორიული სვლის ობიექტური ეკონომიკური კანონზომიერებებიდან ინტერპრეტაცია, როგორც ფუნქციონალიზმი ვარაუდობს ნაცისტურ გერმანიაში თვითმქმედ პოლიტიკურ პროცესს.

ტრადიციული მარქსიზმი ამ სვლაში არსებით მნიშვნელობას კაპიტალიზმს ანიჭებს. იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი ფაზის განსაზღვრის შემდეგ, კაპიტალიზმი შინაგანი კრიზისული დინამიკით ხასიათდება. პროდუქტების საცვალ ღირებულებაზე დაფუძნებული ეკონომიკის ნიშანი არის არა საკუთარი სუბსისტენციისათვის წარმოება, არამედ საქონლის საცვალი ღირებულების რეალიზაციით ზედმეტი ღირებულებისა და, მაშასადამე, კაპიტალის რეალიზაციაზე ორიენტაცია. კაპიტალიზმის დამკვიდრება ნაბიჯ-ნაბიჯ გარდასახავს ეკონომიკურ ურთიერთობებს ჯერ დასავლეთ ევროპაში და შემდეგ ტენდენციურად მთელ მსოფლიოში. ეს გამოხატულებას პოულობს იმაში, რომ კერძო ნაციონალური სახელმწიფოები, რომლებიც ტრადიციული მარქსიზმის მიერ გაგებულია „იდეალურ ზოგად კაპიტალისტებად“¹⁰⁵, ერთმანეთს უპირისპირდებიან საკუთარი ქვეყნების საერთო ბაზრის ინტერესების შეუპოვარი დამცველების სახით, ომი კი მათვის არის უბრალოდ პოლიტიკის კიდევ ერთი საშუალება ამ ინტერესების დასამკვიდრებლად.¹⁰⁶ ამ თვალსაზრისით, ნაციონალსოციალი-

104 ეპრაელების განადგურების განმარტებისას „ინტენციონალისტებისა“ და „ფუნქციონალისტების“ დაირისპირების შესახებ იბ. Friedländer, *Nazi Germany and the Jews. Volume I*, გვ. 358, 111-ე სქოლით.

105 იბ. Engels, *Die Entwicklung des Sozialismus von der Utopie zur Wissenschaft*, გვ. 225.

106 იბ. „მეორე მსოფლიო ომი იმპერიალისტურ სახელმწიფოთა პოლიტიკის გაგრძელება იყო. ვ. ი. ლენინი არაერთგზის მიუთითებდა, რომ ‘ომი არის მხოლოდ განვრძობა პოლიტიკისა სხვა’ (სახელდობრ ძალდატანებითი) ‘საშუალებებთა’ სწორედ ასეთი იყო ყოველთვის თვალსაზრისი მარქსისა და ენგელსისა, რომებიც ყოველ ომს უყურებდნენ როგორც მოცემულ, დანწერესებულ სახელმწიფოთა – და მათ შეგნით სხვადასხვა კლასთა – პოლიტიკის განვრძობას მოცემულ დროს“. ნ. სტურუა, მ. ნაომელაძე, საქართვე-

სტური გერმანია არსებითად არაფრით არ განსხვავდება ნებისმიერი სხვა იმპერიალისტური ძალისაგან. ეკონომიკური მიზნებიდან გამომდინარე, პირველი მსოფლიო ომის კრახის შემდეგ, აღზევებული გერმანული ნაციონალიზმი ცდილობს საკუთარი პოზიციების კვლავ გამყარებას, ნაციონალსოციალიზმი კი სხვა არაფერი აღმოჩნდება, თუ არა ამ ნაციონალიზმის რადიკალური გამოხატულება. მეორე მსოფლიო ომის ნამონება ნარმოისახება ასეთი იმპერიალისტური ლოგიკის კონკრეტულ გერმანულ რეალიზაციად, მაშინაც კი, როცა გერმანიას, მაგალითად, ჰანს მომსენივით, „განსაკუთრებულ გზას“¹⁰⁷ მიაწერენ. თავის მხრივ, ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფოების ალიანსი განიმარტება იმავე იმპერიალისტური ინტერესების, შესაძლოა, სხვაგვარი ეფექტურობის მქონე – რადგან ის სამართლებრივი სახელმწიფოთა გამყარებული – საპირისპირო ძალად. იმპლიციტურად, ნარსულ ისტორიაში მხოლოდ საბჭოთა კავშირს უდასტურდება ამ იმპერიალისტური ლოგიკის გარღვევის განზრახვა.

ტრადიციული მარქსიზმის ასეთი ინტერპრეტაციის ხაზში განთავსდება სუზანე ჰაიმისა და გიორგი ალის „საბოლოო გადაჭრის ეკონომიკის“ ანალიზი, რომელთა მიხედვითაც მას ორი ძირითადი მიზეზი ჰქონდა. ერთი მხრივ, ებრაელების განადგურების პოლიტიკა გამოწვეული იყო რაციონალიზაციის ზომებით მესამე რაიხის მიერ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში დაპყრობილ ტერიტორიებზე. „მოსახლეობის სიმჭიდროვის შემცირება“¹⁰⁸, რასაც „რაიხის ეკონომიკურობის კურატორიუმის“ სახელმწიფო ეკონომიკის ცენტრალური

ლოს ისტორიის ნარკვევები ტომი 8. [...] 1941-1975 წწ., თბილისი 1980, გვ. 1 (nplg.gov.ge/dlibrary/coll/0001/000060/, 19.08.2011) ამ მეორე მსოფლიო ომის პერიოდის აღმნერ ნაშრომში, ტიპიურად საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიჩქმალვისთვის, ებრაელების განადგურება საერთოდ არ მოიხსენიება.

107 იბ. გერმანული „განსაკუთრებული გზის“ თეორიის კრიტიკისათვის Uli Krug, „Der Fall Deutschland. Sonderweg oder Exempel?“, *Bahamas* 18, 1995.

108 იბ. Susanne Heim / Götz Aly, „Menschenvernichtung und wirtschaftliche Neuordnung“, მათივე გამ.: *Sozialpolitik und Judenvernichtung. Gibt es eine Ökonomie der Endlösung?*, Berlin 1987, გვ. 11-90, გვ. 35.

მგეგმავები „გენერალურ გუბერნიაში“ და სხვა „შემოერთებულ“ ან ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოითხოვდნენ, გულისხმობდა ინდუსტრიულად განუვითარებელ სექტორებსა და ტერიტორიებზე წარმოებადობის რაციონალიზაციას, რისი საშუალებაც იყო ზედმეტი მოსახლეობის განადგურება. ის, ჰაიმისა და ალის მიხედვით, პარალელურ ზომად განიხილებოდა არარენტაბელური მცირე საწარმოების დახურვის, ებრაელების საკუთრებაში მყოფი საწარმოების „ებრაელებისაგან განმენდის“, „Entjudung“-ის და მათი „არიელი კანდიდატების“ ფლობაში გადაცემის გვერდით. მეორე მხრივ, აგრარული ეკონომიკის ასეთი რესტრუქტურიზაცია, მაშასადამე, იქ დასაქმებულთა არარაციონალიზირებადი ნაწილების, „ჭარბი მოსახლეობის“, განადგურების მეშვეობით, იყო „სოციალური საკითხის“¹⁰⁹ გადაწყვეტის საშუალება. ეშინოდათ სიღარიბეში დარჩენილთა მხრიდან ისეთივე სოციალური აჯანყებისა, როგორიც ორიოდე ათწლეულის წინ მოხდა რუსეთში.¹¹⁰ განადგურებული ებრაელების გამოთავისუფლებულ სამუშაო ადგილზე უმუშევარი და გაღატაკებული რუმინელი, უნგრელი, უკრაინელი, სლოვაკი და პოლონელი მუშაკები უნდა დაესაქმებინათ და ამით თავიდან აეცილებინათ მათი უკმაყოფილო ჯანყი, რაც „მთელ ევროპას“¹¹¹ ემუქრებოდა.

ამით ჰაიმი და ალი ‘საბოლოო გადაჭრის’ რაციონალურ ახსნას პოულობენ. მათ თანახმად, ეს რაციონ არის ნაციონალსოციალისტური მოსახლეობის პოლიტიკა, რომელიც ეროვნულ სახელმწიფოთა ზოგად იმპერიალისტურ ლოგიკაში ეწერება, რაგინდ სასტიკიც არ ყოფილიყო მისი კერძო ნაციისტური საშუალებები. „ებრაელების როგორც ‘არაპროდუქტიული ჭარბი მოსახლეობის’ განადგურებით საკვები პროდუქტები იზოგებოდა, რათა, თეორიულად მაინც, შეიარაღების ინდუსტრიაში მომუშავე პოლონელი მუშების

¹⁰⁹ იქვე, გვ. 16.

¹¹⁰ იქვე, გვ. 41.

¹¹¹ იქვე, გვ. 42.

უკეთ გამოკვება შეძლებოდათ. თუ ეს მოხერხდებოდა, თავ-დაცვის ეკონომიკის გერმანელი გენერლების რეალისტური ვარაუდით, შრომის პროდუქტიულობა უფრო გაიზრდებოდა ვიდრე მაშინ, როცა ორი ნახევრად შიმშილით მკვდარი გაინანილებდა ამ სამუშაო ადგილს. გახმაურებულ კითხვაზე, თუ რატომ არ ამუშავებდნენ გერმანელები ებრაელებს – რომლებსაც ჩამოართვეს ყველა უფლება და საკუთრება – უბრალოდ არხების გათხრებზე, არამედ მათ, ხაჯავდნენ რა ამისთვის ტრანსპორტის შესაძლებლობებს, შრომასა და მასალას, კლავდინენ, პასუხი გაიცემა ამ ეკონომიკური და მოსახლეობის პოლიტიკის გათვლით.“¹¹²

ჰაიმისა და ალის, ერთი მხრივ, და დინერის და ფრიდლენ-დერის პოზიციები, მეორე მხრივ, ებრაელების განადგურების მნიშვნელობაზე გერმანიაში 1980-იან წლებში გამართული საჯარო დისკუსიის გაგრძელებაა. ეს „ისტორიკოსების კამათის“ სახელით ცნობილი დავა დღეს არსებითა პოლოკოსტის „გახსენების პოლიტიკისათვის“ მთელს ევროპაში. ის ორგანიზებული რჩებოდა ისტორიის კონცეფტუალიზაციის ორი ხსენებული საპირისპირო პოლუსის ირგვლივ: „წყვეტა-დობისა და უწყვეტობისა. დავა, მაშასადამე, უტრიალებდა საკითხს, იყო თუ არა შოა ნორმალური ცივილიზაციის უბრალო რადიკალიზაცია, თუ სწორედ ხსენებული „ცივილიზა-ციის წყვეტა“ – და არავის მოსდიოდა თავში, ხომ არ იყო ის, საპირისპიროდ, „ცივილიზაციის გაუჩინარების“¹¹³ მონმობა.

ერნსტ ნოლტეს ხელმძღვანელობით, დისკუსიის ერთი მხარე „აუშვიცის“ მეტაფორით აღწერილი მოვლენის ისტორიზებას ცდილობდა. ებრაელების განადგურებას ნოლტე აქცევდა ფართო ისტორიულ კონტექსტში და მისი მნიშვნელობის რელატივიზებას იმაზე მითითებით ახდენდა, თუ როგორ განაპირობა, თითქოს, გერმანიის მიერ გენოციდური პოლიტიკის განხორციელება ოკუპირებულ ტერიტორიებზე „აზია-

112 იქვე, გვ. 81.

113 იხ. Krug, „Ewiges Rätsel Auschwitz“, გვ. 30-36.

ტური ქვეყნების¹¹⁴ მიერ შექმნილმა საფრთხემ, სახელდობრ, საბჭოთა კავშირის ბოლშევიკურმა რევოლუციამ. რადგან საბჭოთა კავშირი გერმანიისათვის საფრთხეს წარმოადგენდა, გერმანიამ, ამ რევიზიონისტული წარმოდგენის თანახმად, პრევენციულად შეუტია მას. ამით, ნოლტეს თანახმად, ნაციონალსოციალისტურმა გერმანიამ შეინარჩუნა – მთელი მისი „არსისათვის უცხო“¹¹⁵ ტოტალიტარული ხასიათის მიუხედავად – კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული წესრიგი აულაგმავი საბჭოთა ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ. ხოლო ომში დამარცხების შედეგად ეს მემკვიდრეობა საერთოდ გაუქმდა, რამაც შესაძლებელი გახადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დასავლური დემოკრატიების რიგში ინტეგრაცია. დამნაშავეთა ექსკულპაცია ამ ახსნის მცდელობაში უკვე იმაში გამოიხატება, რომ ომის დამწყები დამნაშავე და მისი მსხვერპლი ერთმანეთს ენაცვლება.

თუმცა, საპირისპირო მხარე, რომლის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი იყო იურგენ ჰაბერმასი, წინააღმდეგობრივად, იმავე შედეგამდე მიდიოდა ებრაელების განადგურების ისტორიული მნიშვნელობის განსაზღვრისას. ეწინააღმდეგებოდა რა ნოლტეს მიერ შოას გარელატიურებასა და გაისტორიულებას, ის ხსენებული სახით ხაზს უსვამდა მოვლენის ერთჯერადობას, რომელიც არ ჯდებოდა ნორმალური დასავლური ქვეყნების განვითარების ჩარჩოებში. არანორმალობა კი, ამ პოზიციის მომხრეთა თანახმად, გამოიხატებოდა ნაციონალსოციალიზმის დროს ებრაელების განადგურების პროცესში რაციონალური ლოგიკის – ჰორქჰაიმერისა და ადორნოს მიერ დახასიათებული თვითგადარჩენის – პრინციპების უკუგდებაში. ეს ლოგიკა გაიგება სამენარმეო განსჯისათვის დამახასიათებელ სარგებლის მაქსიმალიზაციის უტილიტარისტულ ქმედებად. ამის ისტორიული მაგალითები, რომლებიც ჰაიმისა და ალის მიერ ეკონომიკური რაციონალობის პრიმატს ეწინააღმდე-

114 იქვე, გვ. 31.

115 იქვე.

გებიან, არის ისეთი ფაქტები, რომ ებრაელებს, საბოლოოდ, არ იყენებდნენ სამუშაო ძალად, არამედ ანადგურებდნენ, ხოლო იქ, სადაც მათ სამუშაო ძალად იყენებდნენ, ამას, ძირითადად, აკეთებდნენ მათი შრომით განადგურების მიზნით.¹¹⁶ ომის პერიოდში რესურსების დიდი ნაწილი, რომელიც ამ სავარაუდო რაციონალური ლოგიკით უფრო გამოსადევი იქნებოდა ფრონტის ხაზზე, მართლაც იხარჯებოდა ქარხნების სახით ორგანიზებული მასობრივი განადგურების საკონცენტრაციო ბანაკების ორგანიზაციასა და დღეში ათასობით ებრაელების იქ გაზის კამერებში დახოცვაზე. ომის ბოლო პერიოდშიც კი, როცა გერმანია უკვე კაპიტულაციის წინ იდგა, არსებობს ფაქტები, როგორც, მაგალითად, 1944 წლის ივნისში კუნძულ როდოსზე მომხდარი, როცა გერმანელი ნაციონალსოციალისტები ყველაფერს აკეთებდნენ არა იმდენად თვითგადარჩენისთვის, რამდენადაც რაც შეიძლება მეტი ებრაელის გასანადგურებლად. ამისთვის როდოსის კუნძულიდან დიდძალი სამხედრო ტექნიკის ევაკუაციის ნაცვლად, მათ სწორედ იქ მყოფი 2200 ებრაელი წაიყოლეს თან 2000 კილომეტრით დაშორებულ აუშვიცში ამოსახოცად. უტილიტარული გათვლის გაუქმებისათვის საერთოდ სანიმუშოა, რომ 1944 წელს ნაცისტებმა „ბოლო წამს“¹¹⁷ ბრძანეს 440 000 უნგრელი ებრაელის დეპორტაცია და საკონცენტრაციო ბანაკებში განადგურება, თანაც, ამ მომენტამდე მათი მოკავშირე ქვეყნიდან.

ისტორიკოსების კამათი ერთგვარად გადაწყვეტილი იქნა უშუალოდ ბუნდესკანცლერის ჩარევით, რომელმაც პილოკოსტი „განუმეორებელ“¹¹⁸ მოვლენად გამოაცხადა. ის იძლეოდა როგორც ნეოკონსერვატორებისთვის, ისე ლიბერალებისთვის მისაღებ შედეგს, რომელიც წყვეტდა კავშირს დანაშაულის ჩამდენ ნაციონალსოციალისტურ გერმანიასა

116 იხ. Daniel Jonah Goldhagen, *Hitlers willige Vollstrecker: Ganz gewöhnliche Deutsche und der Holocaust* [ინგ. 1996], München 2000, თავი მე-4, „ებრაული შრომა“ ნიშავს განადგურებას“, გვ. 335-438.

117 იხ. Diner, „Rationalisierung und Methode“, გვ. 375, ასევე 371.

118 იხ. Krug, „Ewiges Rätsel Auschwitz“, გვ. 30.

და თანამედროვე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის. ხოლო, მაშინ ჯერ კიდევ არსებულ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მსჯელობა, პირიქით, ისტორიის უწყვეტობას, კაპიტალისტური ლოგიკის უცვლელობას უსვამდა ხაზს და ამით ახდენდა საკუთარი ანტიფაშისტური ხასიათის ლეგიტიმაციას. დღევანდელი გაერთიანებული გერმანიისთვის, თუკი ებრაელების განადგურება ერთჯერადი და, საბოლოოდ, გაუგებარი მოვლენა იყო, მაშინ არც პოსტფაშისტურ სახელმწიფოს აქვს მასთან რაიმე არსებითი საერთო. იდეოლოგიურად ასეთი ინტერპრეტაციიდან კაპიტალიც მოიგებოდა. გერმანიას, ახლა უკვე კაპიტალისტურ-დემოკრატიულს, რომელსაც, არავითარი კავშირი აღარ ჰქონდა ნაიცონალსოციალისტურ წარსულთან, სწორედ აუშვიცის დანაშაულის გამო, ახალი *raison d'être* ეძლეოდა. ისტორიის ამ უპრეცედენტო გაკვეთილის შედეგად, ის წარმოაჩენდა თავს განსაკუთრებულად პასუხისმგებლად ევროპასა და მთელ სამყაროშიც დემოკრატიულ-სამართლებრივი სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარებაზე. ამ პასუხისმგებლობით კი, პირიქით, გერმანიის ევროპაში წამყვან სახელმწიფო ძალად დამკვიდრება მართლდებოდა. „ცივილიზაციის წყვეტა“, რომელიც ტყუილად არ ენათესავება წესრიგისას და აუშვიცის კატასტროფის აღსანიშნავად ისტორიის მეცნიერებასა და ყოველდღიურ მეტყველებაში მას შემდეგ მოარულ ფრაზად გამოიყენება, სწორედ ამ გერმანული იდეოლოგიის მთავარ შემადგენელ ელემენტად იქცა თანამედროვე მსჯელობაში ჰოლოკოსტზე არა მარტო გერმანიაში, არამედ ევროპასა და მის ფარგლებს გარეთაც.

შოას რელატივიზმა კი „ცივილიზაციის წყვეტის“ ცნებამ – სავარაუდოდ, დან დინერის განზარხვისგან დამოუკიდებლად – შესაძლებელი გახადა იმიტომ, რომ, უნივერსალური ცივილიზაციური ლოგიკის აღიარების ფონზე, ამ ლოგიკის ნებისმიერი დარღვევიდან – მაგალითად, იძულებითი კოლექტივიზაციით და გულაგებით საბჭოთა კავშირში – გარდაუვალ შედეგად გამომდინარეობს, რომ არაფერი

განსაკუთრებული შოას არ ახასიათებდა. თუმცა, დენიელ ჯონა გოლდჰეიგენმა და სხვათა კვლევებმა წარმოაჩინეს ის მომენტები, რომლებიც სპეციფიკურად და მხოლოდ გერმანიაში არსებულ ანტისემიტიზმს ახასიათებდა. გოლდჰეიგენის გამოკვლევაში ირიბად უკუგდებული იყო ჰაიმისა და ალის მიერ წამოყენებული თეზისიც, რომ გენოციდი იყო პარტიის კარიერისტების მიერ ჩაფიქრებული, ბიუროკრატიულად ორგანიზებული და გულცივად მხოლოდ SS-თან და NSDAP-სთან დაკავშირებული ტექნოკრატების მცირე წრის მიერ განხორციელებული მოსახლეობის პოლიტიკის აქცია. გოლდჰეიგენმა აჩვენა, რომ მკვლელობებში მონაწილეობ-დნენ გერმანელი მოსახლეობის ფართო ფენების წარმომად-გენლები, ხშირად ისე, რომ მათ ბრძანებას არც კი აძლევდნენ. მკვლელობების მასობრივი ხასიათი მხოლოდ იმას კი არ ნიშნავდა, რომ მსხვერპლი მასობრივად იხოცებოდნენ, არამედ მათ მასობრივად კლავდნენ: გოლდჰეიგენის ვარაუ-დით, ებრაელების უშუალოდ მკვლელობებში ნაციონალსო-ციალისტური გერმანიის ხელმწილვანელობით ხუთას ათას-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა.¹¹⁹ ისეთ შემთხვევებშიც კი, როცა გერმანული მესამე რაიხის კანონმდებლობა არავითარ დასჯას არ ითვალისწინებდა ჩვეულებრივი პოლიციელების, ჯარისკაცების, მოქალაქეების მიერ ებრაელების დამცირებაში, დევნასა და მკვლელობებში ჩართვაზე უარის თქმის შემთხვევაში, ხშირად, ისინი ამას მაინც საკუთარი ნებით მონადინებულად აკეთებდნენ.¹²⁰ გოლდჰეიგენმა დაამტკიცა, რომ გერმანელებისთვის ნაციონალსოციალიზმში უფრო მნიშვნელოვანი იყო ებრაელების განადგურების საქმის ბოლომდე მიყვანა, ვიდრე თვით ომის მოგებაც კი. 1944-1945 წლების ჰელმბრეხტის „სასიკვდილო მარშის“ მაგალითზე იგი ამტკიცებს, რომ „გერმანელებს, სანამ ნაცისტური საზოგადოება ფუნქციონირებდა, ებრაელების მრავალწლიანი დევნისა და განადგურების შემდეგაც კი, არ შეეძლოთ მათ

119 იხ. Goldhagen, *Hitlers willige Vollstrekker*, გვ. 204.

120 იხ. იქვე, გვ. 462.

გამანადგურებელ ანტისემიტიზმზე უარის თქმა, ისეთ შემთხვევებშიც კი, როცა მათ ამას უპრადანებდნენ“.¹²¹ მრავალი ასეთი ქმედება ეწინააღმდეგებოდა წინასწარ დაშვებულ თვითგადარჩენის პრინციპს, რამდენადაც აღმაშფოთებელი არ უნდა იყოს ომის გამოცხადება თვითგადარჩენის საშუალებად. გოლდჰეიგენი აჩვენებს, რომ პოლოკოსტის თავისებურებები გერმანელების რასობრივმა ანტისემიტიზმმა განაპირობა. მან გამოიწვია ყველა ქვეყნის ებრაელების სრული განადგურების ნება, მიუხედავად იმისა, რომ მათთან არ არსებობდა ობიექტური კონფლიქტი და, საკუთარი შეშლილი კონსტრუქციის გამო, მათ ტოტალურ ამონტუვეტას მოითხოვდა.¹²² მაშასადამე, ებრაელების განადგურება სპეციფიკურად გერმანული შეშლილობის შედეგი იყო. ის იმ კონკრეტული სოციალურ-ფსიქოლოგიური დისპოზიციის გამოხატვაა, რომელსაც გულისხმობენ პორკპაიმერი და ადორნოც. მაგრამ გოლდჰეიგენი არ უკავშირებს ამ შეშლილობას საზოგადოებრივ პირობებს. ამის შედეგად, ისიც ხსენებულ აპორიაში ექცევა, რადგან ებრაელების განადგურება კულტურალისტურად იქცევა ისტორიული თვალსაზრისით სპეციფიკურ ‘წმინდა გერმანულ’ მოვლენად.

თუ პირველი, წყვეტადობაზე ორიენტირებული განმარტებისთვის შოა არის აუხსნელი მოვლენა, რომლისთვისაც ისტორიული ურთიერთობების თავისებურებას, საბოლოოდ, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, მეორისათვის არსებითია სწორედ უნივერსალური ლოგიკა კაპიტალის რეალიზაციისა, რომელიც საერთოა ნებისმიერი ეროვნული სახელმწიფოსთვის ახალ დროში, ხოლო ის თავისებურება, რაც ახასიათებდა ებრაელების განადგურებას, უბრალოდ, გადაელოცება ისტორიულ შემთხვევითობას; ისტორიული პროცესის ლოგიკის თავისთავად რეალობაში ის არაფერს ცვლის. სწორედ ამგვარი ისტორიის ფილოსოფიის საპირისპიროდ, რომლის მოდელიცაა ჰეგელის მოძღვრება

121 იხ. იქვე, გვ. 427.

122 იხ. იქვე, გვ. 484.

მსოფლიო სულზე, წერს ადორნო „მინიმა მორალიაში“, რომ ასეთი ისტორიის ფილოსოფია საპოლონოდ უარყოფილი იქნა მეორე მსოფლიო ომის დროს მომხდარი ამ მოვლენით.¹²³ შოა მოწმობს ბარბაროსობის სინამდვილეს, იმას, რომ თვითგა-დარჩენისა და თვითგანადგურების, შესაბამისად, წარმოებისა და მოსპობის ლოგიკა თანამედროვე ცივილიზაციაში – ერთი და იგივეა.

სწორედ ამის ახსნის მცდელობას ვხვდებით „განმანათლებლობის დიალექტიკაში“ პირველად. სპეციფიკურად ებრაელებზე თავდასხმა აქ განიმარტება, ერთი მხრივ, ევროპაში მათი ისტორიულად ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი პოზიციით, ამავე დროს, თავად საზოგადოების პოლიტიკურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციებით, რომლებიც განიცადა კაპიტალიზმის მისი ლიბერალური მდგომარეობიდან მონოპოლისტური კაპიტალიზმის ფაზაში გადასვლით.

7. კაპიტალის სახელმწიფო – ცირკულაციის გაუქმება

საუკუნეების მანძილზე, ქრისტიანულ ევროპაში, ებრაელები, ერთი მხრივ, გამოირიცხებოდნენ წარმოების სფეროდან.¹²⁴ მეორე მხრივ, შუა საუკუნეებში მათ ვაჭრობის სფეროს უთმობდნენ და მხოლოდ როგორც ასეთებს იწყნარებდნენ „დაცვის ქვეშ მყოფი ებრაელების“¹²⁵ სტატუსით. ისინი სულ უფრო მეტად, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპაში, იზღუდებოდნენ ვაჭრობისა და, ზოგადად, კაპიტალის ცირკულაციის სფეროთი. ასე შეიძინეს მათ გამსესხებელთა და მევახშეთა სახელი, რომელიც რეალობასაც ასახავდა იმდენად, რამდენადაც ებრალებს სხვა ტიპის ეკონომიკური საქმიანობა მეტწილად ეკრძალებოდათ. თუ ლიბერალურ კა-

123 იხ. ასევე „ისტორიის ფილოსოფიის კრიტიკისათვის“, წინამდ. გამ., გვ. 319-324.

124 იხ. Max Horkheimer, „Die Juden und Europa“ [1939], HGS 4, გვ. 325; იხ. წინამდ. გამ., გვ. 251-255.

125 იქვე, გვ. 254.

პიტალიზმში თავისუფალი მენარმეობა კიდევ არსებობდა,¹²⁶ მონოპოლურ კაპიტალიზმზე გადასვლის შემდეგ ევროპაში ინდუსტრიალიზაციის შედეგად აკუმულირებული კაპიტალის – წამყვანი ეროვნული სახელმწიფოების ფარგლებში – კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია მოხდა. სახელმწიფო უკვე არც მხოლოდ სავარაუდო ნეიტრალური გამაშუალებელი ორგანოს როლს თამაშობდა და არც კაპიტალისტების კლასის მიერ მუშათა კლასის მხოლოდ შევიწროების უბრალო საშუალება იყო. არამედ, იდეური საერთო კაპიტალის – და არა კაპიტალისტის – სახით, სახელმწიფო შეერწყა კერძო ქვეყნების მსხვილი კაპიტალის ინტერესებს.¹²⁷ თუ სამართლის ურთიერთობებს სუვერენი ახორციელებდა კაპიტალის კონკურენციაში მყოფ ფრაქციებსა და დაქირავებული სამუშაო ძალის შორის თანასწორი გაცვლის დამკვიდრების ფორმად, პოსტლიბერალურ, როგორც პოლოკიც უნიდებს მას, „სახელმწიფო კაპიტალიზმში“, იქნება ეს მისი ტოტალიზარული ფორმა – ნაციონალსოციალიზმი და მისგან სტრუქტურულად საგრძნობლად განსხვავებული საბჭოთა კავშირი –, თუ დემოკრატიული, რომლისკენაც მიიღებული „ინსტიტუტის“ ამ წამყვანი ეკონომისტის შეხედულებით, აშშ და სხვა დასავლური ინდუსტრიული ქვეყნები, სახელმწიფო ორგანოები თავად იღებენ თავის თავზე ეკონომიკის დაგეგმვის ფუნქციას.¹²⁸ გერმანულ ნაციონალსოციალისტურ სახელმწიფოში ეს მიიღებოდა ზოგადი გეგმის საშუალებით წარმოების, მოხმარებისა და ინვესტიციების წარმართვით, ფასების მექანიზმის მნიშვნელობის შეზღუდვით, ინდივიდებისა და ჯგუფების მოგების ინტერესის საერთო სახელმწიფო გეგმაზე დაქვემდებარებით, ცენტრალიზებული სამეცნიერო მენეჯმენტის დამკვიდრებით და ნებისმიერი ეკონომიკური კანონზომიერების პოლიტიკური მართვის პრიმატით

126 იხ. იქვე, გვ. 159.

127 იხ. იქვე, გვ. 251.

128 იხ. Friedrich Pollock, „State Capitalism: Its Possibilities and Limitations“, *Studies in Philosophy and Social Science* IX, 1941, გვ. 200-225.

ჩანაცვლებით.¹²⁹

ასეთი ტრანსფორმაციის შედეგად, როგორც ჰორკჰაიმერი და ადორნო აღნიშნავენ – „განმანათლებლობის დიალექტიკაში“ მათი პოლიტიკური ეკონომიკის შეხედულებები ეყრდნობა პოლოვისას –, ებრაელები, ეკონომიკური ფუნქციით ვაჭრობის სფეროთი შეზღუდულნი, ეკონომიკურადვე ზედმეტნი ხდებიან, რადგან თავად არარეგულირებული ვაჭრობის სფერო უჩინარდება. თუ ებრაელები არ იყვნენ ერთადერთი ვაჭრები გერმანიაშიც და სხვა ევროპულ ქვეყნებში, მათ მხოლოდ ვაჭრობის საშუალება ეძლეოდათ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ისინი დათანხმდებოდნენ ასიმილაციას იუდაური რელიგიის უარყოფით, მათ რთავდნენ უფლებას, მონაწილეობა მიეღოთ ბურჟუაზიული ცხოვრების სხვა სფეროებშიც – ღიად მეცნიერებასა, სამხედრო სამსახურში, სამოხელეო სფეროებში. გერმანიის ვაიმარის რესპუბლიკაში ამის საშუალება არსებობდა ასიმილაციის გარეშეც. თუმცა, ასეთ შემთხვევებშიც, ისტორიულად, ყოველთვის ებრაელებს მეტი შეზღუდვა ეკისრებოდათ, ვიდრე თავად ტიტულარული ნაციის ნარმომადგენლებს. მას შემდეგ, რაც ცირკულაციის სფეროს ეკონომიკური მნიშვნელობა დაკინდა, მიუხედავად მისი ფორმალურად შენარჩუნებისა, ხოლო გაცვლისა და მასზე დაქვემდებარებული ნარმოების პროცესის ორგანიზაცია გადავიდა მონოპოლიზირებული კაპიტალის ხელში, ის, თავის მხრივ, მჭიდროდ დაქვემდებარა სახელმწიფო სტრუქტურებს – გერმანიაში ნაციონალსოციალისტურ პარტიას, სამრეწველო კარტელებს, ვერმახტსა და სამინისტროების ბიუროკრატიას.¹³⁰ ამის შედეგად შეიქმნა, პირველ ყოვლისა, ებრაელების ‘თავიდან მოშორების’ ეკონომიკური საფუძველი. თუმცა – და ამით განსხვავდება კრიტიკული თეორია ეგრეთ წოდებული ეკონომიზმისგან – ეს არ იყო საკმარისი საფუძველი.

129 იქვე, გვ. 204-207.

130 იხ. Neumann, *Behemoth*, გვ. 460 დ.შ.

8. ცნობიერი რეფლექსია – პათიური პროექცია

პოლოკი უარყოფს ტოტალიტარული სახელმწიფო კაპიტალიზმის ეკონომიკურ არაეფექტურობას ლიბერალურთან შედარებით, სწორედ ნაციონალსოციალისტური გერმანიის მაგალითზე. პოლოკიც ასეთი სახელმწიფოს ქმედუნარიანობის საზღვრებს ხედავს არა მარტო ინდუსტრიულად საჭირო ნედლეულის მოპოვების ბუნებრივ შეზღუდვებში, არამედ ცხადყოფს, რომ მისი დამგეგმავი ორგანო მხოლოდ ტექნიკური თვალსაზრისით იყო რაციონალური აგენტი. სინამდვილეში კი ის თავად ექვემდებარებოდა შიდაპოლიტიკურ ძალებს შორის ბრძოლას, რომელსაც ვერ აკონტროლებდა.¹³¹ ასევე ფრანც ნოიმანი ნაციონალსოციალისტურ სახელმწიფოს, როგორც ასეთს, ეჭვქვეშ აყენებს და მის სუვერენის უწოდებს „ბანდას“¹³², რომლის განსხვავებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ფრაქციების ნარმომადგენელი მეთაურებიც განუწყვეტელი კონფლიქტების შემდეგ იძულებით ურიგდებოდნენ ერთმანეთს. მათი ერთადერთი გამართიანებელი პრინციპი კი, საბოლოოდ, ებრაელების ანტირასის განადგურების სურვილი იყო.¹³³ ნაციონალსოციალისტური მოძრაობის ქვაკუთხედი იყო ანტიკაპიტალისტური აჯანყება, რომელიც საკუთარი სახალხო-რასობრივი ერთობის თავდაცვის მიზნით ებრაელების სახით სავარაუდოდ უცხო, მტაცებლურ, გამყვლეფ ფინანსურ კაპიტალს ანადგურებდა, რის განსახიერებადაც ებრაელები ნარმოისახებოდნენ მათ პათიურ პროექციაში.¹³⁴ სწორედ პათიური პროექციის – განდევნილი მიმეზისის შედეგის – ცნებით ადორნო და ჰორკჴპაიმერი ხსნიან იმ ფსიქოლოგიურ მექანიზმს, რომე-

131 იხ. Pollock, „State Capitalism“, გვ. 219.

132 იხ. Neumann, *Behemoth*, გვ. 554.

133 იხ. დევი დუმბაძე, „ლევიათანსა და ბეჭემოთს შორის: მსოფლიო სუვერენის შემლილობა“, *Philosophy in Global Change. Jubilee volume for Burkhard Mojsisch*, Tengiz Iremadze et al. (გამ.), Tbilisi 2011, გვ. 368.

134 იხ. ნინამდ. გამ., გვ. 277 დ.შ.

ლიც შეადგენდა ნაციონალსოციალისტური შეშლილობის საფუძველს. მისი ელემენტები დღევანდელ საზოგადოებაშიც მოქმედებენ. ამ ფსიქოლოგიური სტრუქტურის გენეზისის წყარო საზოგადოებრივი ურთიერთობებია, თავი „კულტურის ინდუსტრიის“ შესახებ კი აღნიერს, თუ როგორ უწყობს ხელს თანამედროვე მედიის დაწესებულებები და ნანარმები მის გამყარებას.

დღევანდელი საზოგადოების ეკონომიკის მთავარი მომენტი, საქონელი, „ორადი ხასიათით“¹³⁵ გამოირჩევა. საქონელს, უბრალო ნაწარმისგან განსხვავებით, ახასიათებს კონკრეტული და აბსტრაქტული შრომის ერთიანობა, მათ მიერ კი, შესაბამისად, კონსტიტუირდება საქონლების სახმარი და საცვალი ლირებულება.¹³⁶ რაც უფრო ვრცელდებოდა საზოგადოებაში აბსტრაქტული შრომის ბატონობა კონკრეტული შრომის პროდუქტების მნიშვნელობის დაქვეითების ხარჯზე; რაც უფრო იკლებდა ადამიანების, როგორც საწარმოო ურთიერთობის „პერსონაჟის ნიღბების“,¹³⁷ მნიშვნელობა – მაშასადამე, მცირდებოდა ამ პერსონიფიცირებული „ნიღბების“ შესაძლებლობა, გაეკონტროლებინათ აბსტრაქტული შრომით კონსტიტუირებული ლირებულების რეალიზაციის პროცესი, რომელიც, პირიქით, წარმოებასაც და მათაც გა-

135 იხ. Marx, *Das Kapital*, Bd. 1, გვ. 56 // მარქსი, კაპიტალი, ტ. 1-ი, გვ. 57.

136 საქონელი „გრძნობადად ზეგრძნობადი ნივთია“, იხ. იქვე, გვ. 85 // გვ. 95. თუ სახმარი ლირებულება საქონლის ემპირიული თვისებების ერთობლიობისაგან შედგება, ლირებულება, გამოხატული მის საცვალ ლირებულებაში, გრძნობადად აღქმადი არ არის და მაინც არა იდეალური, არამედ რეალური თვისებაა: „საქონელთა ლირებულებით საგნობრიობა იმით განირჩევა ქვრივი კვიყლისგან, რომ არავინ იცის რა მხრიდან უნდა ჩასჭირდოს მას ხელი. სრულიად წინააღმდეგ საქონლის სხეულის გრძნობად ტლანქი საგნობრიობისა, მის ლირებულებითს საგნობრიობაში ბუნების ნივთიერების არც ერთი ატომი არ შედის“, იხ. იქვე, გვ. 62 // გვ. 65.

137 იქვე, გვ. 91 // გვ. 103; „პერსონაჟის ნიღბაბის“ (*Charaktermaske*) ცნება მარქსთან ანტიკური თეატრის სფეროდან არის გადმოღებული, სადაც ნიღბაბი მოქმედდა პირის საკუთარ როლთან ცალსახა დაკავშირებასა და მის ოპენენტან დაპირისპირებასაც უსვამდა ხაზს, მაგალითად, ბატონიყმა, მუშა-კაპიტალისტი და სხვა (აქ ის უზუსტოდ არის გადმოტანილი „ნიშანდობლივ ნიღბად“). იხ. Wolfgang Fritz Haug, „Charaktermaske“, მისივე გამ.: *Historisch-Kritisches Wörterbuch des Marxismus*, Berlin 1994, გვ. 435-451.

ნაგებდა – მით უფრო იკლებდა კაპიტალის რეალიზაციაში, ამავე დროს, კაპიტალიზმის პროდუქტიულობის ზრდასთან ერთად, ცოცხალი სამუშაო ძალის მნიშვნელობა. მარქსმა ეს პროცესი კაპიტალის ორგანული შედგენლობის ცვლილებად დაახასიათა. ¹³⁸ კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესში, ღირებულების რეალიზაციაში მუდმივი კაპიტალის სასარგებლოდ ეცემოდა ცვალებადი კაპიტალის – ცოცხალი სამუშაო ძალების – მნიშვნელობა. რაც უფრო იხვეწებოდა მეცნიერული და ტექნოლოგიური საშუალებები, რომლებიც ერთვებოდა ნარმოების ინდუსტრიალიზებულ პროცესში, მით უფრო ნაკლებად ხდებოდა საჭირო ექსპლოატაციის – ზედმეტი ღირებულების გამომუშავების – პროცესისთვის სამუშაო ძალა. ასევე, მით უფრო დაუცველად და ამ პროცესისთვის ზედმეტად, სულ მცირე, ჩანაცვლებადად იქცეოდა თითოეული კერძო ადამიანი. ასეთ ეკონომიკურ სისტემაში ინდივიდი იქცა ამ სისტემის უბრალო დანამატად, უპერსპექტივოდ, განახორციელოს საკუთარი სურვილები და მოთხოვნილებები. ასევე, დასვენებისა და გართობის სფეროს კაპიტალის ურთიერთობის ქვეშ მოქცევასთან ერთად, რაც თავდაპირველად დასავლეთში აშშ-ში კულტურის ინდუსტრიის ჩამოყალიბებით იქნა ნამოწყებული, დღეს კი, მსოფლიო ბაზრის დამკვიდრებასთან ერთად, ყველა ქვეყნის მოცვისაკენ ტენდენციას ავლენს, ადამიანთა მოთხოვნილებებიც და სურვილებიც სულ უფრო ფორმირდებოდა ამ კულტურის ინდუსტრიის სქემის მიხედვით მათთვის მიწოდებული მოდელებით. ¹³⁹

სტრუქტურულად გამოწვეული რეალური ზედმეტობა ადამიანებისა ნარმოების პროცესში, რომლებიც უმუშევართა სახით ინდუსტრიულ ‘სარეზერვო არმიას’ შეადგენდნენ, მით უფრო ამძიმებდა მათ დაუცველობას და, შესაბამისად,

138 იბ. Marx, *Das Kapital*, Bd. 1, გვ. 640 დ.შ. // მარქსი, კაპიტალი, ტ. 1-ი, გვ. 772 დ.შ.

139 იბ. „კულტურის ინდუსტრია. განმანათლებლობა, როგორც მასების მოტყუება“, წინ. გამ. ასევე, Theodor W. Adorno, „Das Schema der Massenkultur. Kulturstudie (Fortsetzung)“ [1942], AGS 3, გვ. 299-335.

დაცულობისკენ ლტოლვასაც.¹⁴⁰ რადგან აბსტრაქტული შრო-
მით, მაშასადამე, ფულით და, საბოლოოდ, კაპიტალით კონს-
ტიტუირებული სიმდიდრის „შემლილ ფორმებს“¹⁴¹ ადამიან-
ები ვერ აცნობიერებენ და გაცნობიერების შემთხვევაშიც
მათ კერძოდ ვერაფერს აკლებენ, ეს გაუცნობიერებლობა
აბსტრაქტული ძალაუფლების დაუოკებელ თვითნებობად
აღქმული კაპიტალის ურთიერთობის დაკონკრეტების –
პერსონიფიკაციის მოთხოვნილებას იწვევს. კაპიტალისტუ-
რი ეკონომიკის ურთიერთობა ეყრდნობა, როგორც მარქსი
ამბობს, გაფეტიშებულ საზოგადოებრივ ფორმებს. ღირებუ-
ლება, სოციალური ფაქტი, საქონელში გასაგნებული სახით
ადამიანების საგნის ბუნებრივ თვისებად წარმოედგინებათ.
საქონლის ფეტიშში ღირებულების ფორმა ნამდვილად იქცე-
ვა კონკრეტულ ნივთად, რომელიც განსხვეულდება ფულში,
ცალკე გრძნობად საგანში. სწორედ ადამიანზე მებატონე ამ
გასაგნებული ურთიერთობების, პირიქით, პერსონიფიკაცია
ხდება პათიური პროექციის მეშვეობით ებრაელის ხატში,
რომელსაც, როგორც ადორნო და ჰორკჰაიმერი წერენ, ნა-
ცისტებმა, საბოლოოდ, ებრაელები ძალადობით მართლაც
დაამგსავსეს.¹⁴² ებრაელებს ამ დროს ყველა ის თვისება
მიეწერება პერსონიფირებულად, რაც ღირებულებას და
კაპიტალს ახასიათებს სტრუქტურულად: „ავტომატური
სუბიექტის“¹⁴³ თვისება იმოძრავოს საზღვრებს გარეშე, გახ-

140 „მას შემდეგ, რაც იმ მუშახელისთვის საჭირო სურსათის დამზადება, რომელიც საერთოდ ჯერ კიდევ აუცილებელია მანქანების სამართვად, შესაძლებელი გახდა ბატონთა კონტროლის ქვეშ მყოფი სამუშაო დროის მინიმალურ მონაკვეთში, დანარჩენი მოსახლეობის უზარმაზარი ჭარბი მასა უკვე, როგორც სისტემის სარეზერვო გვარდია, იწვრთნება, რათა ამ სისტემის დიად გეგმებს – დღეს იქნება თუ ხვალ – მასალად მოემსახუ-
როს.“ ნინამდ. გამ., გვ. 68.

141 იხ. Marx, *Das Kapital*, Bd. 1, გვ. 91 // მარქსი, კაპიტალი, ტ. 1-ი. გვ. 101
(თარგმან. შეცვლ.).

142 იხ. ნინამდ. გამ., გვ. 260.

143 „ღირებულება ერთი ფორმიდან განუწყვეტლივ გადადის მეორეში, მაგრამ ისე, რომ ამ მოძრაობაში იგი არასოდეს არ იკარგება და, ამრიგად, ავტომატურ სუბიექტად იქცევა“, Marx, *Das Kapital*, Bd. 1, გვ. 169 // მარქსი, კაპიტალი, გვ. 197.

რწნას დამკვიდრებული მწარმოებლური ერთობები, წარმოშვას კრიზისები, წაგლიჯოს ‘პატიოსან მენარმეს’.

პათიური პროექცია, მაშასადამე, როგორც პასიურად, ისე ტანჯვით განხორციელებული, ჩვეულებრივი პროექციისაგან განსხვავდება რეფლექსის მომენტის უქონლობით. თუ ნებისმიერი შემეცნების პროცესი, გარკვეულწილად, არის პროექცია, პათიურ პროექციაში შემეცნებისათვის დამახასიათებელი რეფლექსის მომენტი გაუქმებულია.¹⁴⁴ აღქმისა და შემეცნების ეს თეორია მეტნილად მიჰყვება კანტის ტრანსცენდენტალურ ფილოსოფიას. თუმცა კანტთან ინდივიდუალური ადამიანური გონება რჩება ინსტანცია, რომელიც სპონტანურად აფორმებს ცნობიერების რეცეპტულობის საშუალებით მიღებული შეგრძნებების მასალას. შემეცნების პროცესში სუბიექტი, რათა შეიმეცნოს ნივთი, როგორც ის არის, მას უფრო მეტს უბრუნებს, ვიდრე მისგან ღებულობს.¹⁴⁵ აღქმულ მასალას ის ამატებს იმას, რაც მასალაში თავისთავად არ არის, სახელდობრ, განსჯისეული ფორმებით ორგანიზებულ წესრიგს. ხოლო, გონება, როგორც ცნობიერების უნარი, ხასიათდება იმით, რომ ის რეფლექსის ახდენს განსჯაზე, რომელიც, თავის მხრივ, მგრძნობელობის მასალას სინთეზის ქმედებებს უქვემდებარებს. ამდენად, ცნობიერება რეფლექსით თვითცნობიერებაში სცნობს საკუთარ თავს, როგორც ამ მოქმედებების მწარმოებელს. პათიურ პროექციაში კი სწორედ რეფლექსის ეს მომენტი არის გამქრალი და პროექცია იქცევა მცდარად. ამის შედეგად ის, რაც სუბიექტის შინაგანია, შეცდომით მიენერება გარეგანს. როგორც ადორნო მეორე მსოფლიო ომის მაგალითზე წერს აფორიზმში „მინიმა მორალიადან“, აღზნებებისაგან დაცვის უნარი ადამიანებს დარღვეული აქვთ სამყაროში, რომელიც მათ აღარ აძლევს საშუალებას, შოკების სერიებად დაშლილი განცდები განკურნავად დაივიწყონ და შემდეგ ისინი განმკურნავად გაიხ-

144 იხ. წინამდ. გამ., გვ. 271/2.

145 იქვე.

სენონ¹⁴⁶, რაც მათ გამოცდილების ერთიანობას მიანიჭებდა. ინდუსტრიულად წარმოებული კულტურაც, რომელიც არა-იგივეობრივი გამოცდილების ნაცვლად „დღეს ყველაფერს მსგავსებით ამარცხებს“¹⁴⁷, ხელს უწყობს გამოცდილების გაუქმებას. ამის შედეგად, შინაგანი იმპულსები, რომლებიც თავად სუბიექტს ეკუთვნის, ყალბად გადაიტანება გარეთ და მიეწერება სხვას. თუ ინდივიდუალური პარანოიკისთვის პროექციის წესრიგი განპირობებულია დაავადების თავისებურებით, სოციალურ შეშლილობაში პროექციის ობიექტი განისაზღვრება დამკვიდრებული იდეოლოგიით.¹⁴⁸ იდეოლოგია კი, მაშასადამე, აზროვნების ფორმა კაპიტალისტურ საზოგადოებაში, გადახლართულია საქონლურ ფორმასთან, რომელიც საკუთარი თავიდან წარმოშობს ანტისემიტურ შეშლილობას. აზროვნების ის ფორმები, რომლებიც უკავშირდება კაპიტალისტურ წარმოების წესს, პათიურ პროექციაში საკუთარ ფორმებად კი არ არის აღიარებული, არამედ გადაიტანება უცხოზე, რომელიც წარმოისახება კაპიტალის აბსტრაქტული მომენტის, საცვალი ღირებულების, განსახიერებად. ებრაელები ასოციაციურად უკავშირდებიან ფულის ცირკულაციის დინამიკურობას. კაპიტალისთვის ობიექტურად დამახასიათებელი ბატონობის ძალა ებრაელებს მცდარად პერსონიფიცირებულად მიეწერებათ ხილვადი ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების უკან მოქმედი იდუმალი ძალაუფლების სახით. საბოლოოდ, ეს ატრიბუცია მსოფლიო შეთქმულების მოჩვენებად გამოიხატება.

9. ღირებულების გაშუალებული მოხსნა – ღირებულების უშუალო რეალიზაცია

კრიტიკული თეორიის თანამედროვე დისკუსიაში ორი

146 იხ. ზემოთ, გვ. 401.

147 წინამდ. გამ., გვ. 175.

148 იხ. იქვე, გვ. 271.

განსხვავებული ძირითადი შეხედულება არსებობს იმის შესახებ, თუ რად აღიქმებოდნენ ნაცისტების შეშლილობაში ებრაელები. ერთის თანახმად, ებრაელები არიან ღირებულების აბსტრაქტული ასპექტის განსახიერება, საკუთარი ერისთვის დადებითად ფიქსირებულ სფეროს კი ნარმოადგენს კონკრეტული შრომის ასპექტი, რომელიც ხილვად სახმარ ღირებულებებს ქმნის. ამ კონცეფციით, ანტისემიტურ რესენტიმენტში მხრნეელ აბსტრაქტულს უპირისპირდებოდა მაცოცხლებელი ორგანული. ხოლო ებრაელებს კაპიტალიზმის სიძულვილით ანადგურებდნენ, როგორც კაპიტალის სწორედ აბსტრაქტული ელემენტის განსახიერებას. ებრაელები იყვნენ ღირებულების მაკონსტიტუირებელი აბსტრაქტული შრომის პერსონიფიკაცია. თუმცა ეს წარმოდგენა, რომელიც ჩამოაყალიბა მოიშე პოსტონმა სტატიაში „ანტისემიტიზმი და ნაციონალსოციალიზმი“¹⁴⁹, ვერ ხსნის იმ მნიშვნელოვან მომენტს, თუ რატომ არ ერჩოდა არავინ ნაცისტურ გერმანიაში მსხვილ ინდუსტრიას, კაპიტალის ასევე ინტეგრალურ ნაწილს. პირიქით, სახალხო ერთობის კეთილდღეობისათვის, პარტიის, მოხელეების, ეკონომიკური კარტელებისა და ვერმახტის მიერ სწორედ ინდუსტრიის ეფექტური გამოყენება განიზრახებოდა, თუმცა ეს ეფექტურობა, ამავე დროს, დაქვემდებარა ებრაელების განადგურების ტელოს. ამიტომ, განსხვავებული შეხედულება, მაგალითად, ითავს ბრუნთან¹⁵⁰, ამტკიცებს, რომ ებრაელებს ანადგურებდნენ არა როგორც ღირებულებას, მაშასადამე, ღირებულების აბსტრაქტულ განზომილებას, არამედ, პირიქით, ებრაელების განადგურებით ხდებოდა ღირებულების გაუშუალებელი რეალიზაცია.

ღირებულებისა და ფულის ფორმის ანალიზის თანახმად მარქსთან, ფულით წარმოდგენილი აბსტრაქტული შრომა,

149 იხ. Moishe Postone, „Anti-Semitism and National Socialism“, A. Rabinbach and J. Zipes (გამ.), *Germans and Jews Since the Holocaust*, New York 1986, გვ. 302-314.

150 იხ. Joachim Bruhn, „Echtzeit des Kapitals, Gewalt des Souveräns. Über die Zukunft der Krise“, *Bahamas* 62, 2012, გვ. 67-78.

რომელიც არაგრძნობადია და ამიტომ გრძნობად სახმარ ღირებულებაში უნდა გამოიხატოს, ამას ახერხებს მხოლოდ სხვადასხვა ღირებულებების ერთმანეთთან გამთანაბრებელი ზოგადი ეკვივალენტის კონსტიტუირებით. ეს ზოგადი ეკვივალენტი წინააღმდეგობრივი საგანია, მას „შეშლილი ფორმა“ აქვს: ის, ფულის სახით, არის კონკრეტული საქონელი, რომელიც, ამავე დროს, არის აბსტრაქტული შრომის, ღირებულების სუბსტანციის, განსხეულება. ფულში აბსტრაქტული ღირებულება ოკულტურად კონკრეტულ არსებობას იძენს. ზეგრძნობადი გრძნობადი ხდება. მარქსის ანალოგით, „ლომების, ვეფხვების, კურდღლებისა და ყველა სხვა ნამდვილი ცხოველის გვერდით, რომლებიც, დაჯგუფებულნი, ცხოველთა სამყაროს სხვადასხვა სქესებს, სახეობებს, ქვესახეობებს, ოჯახებს და ა.შ. შეადგენენ, თითქსოდა არსებობს ცხოველი, მთელ ცხოველთა სამყაროს ინდივიდუალური ინკარნაცია.“¹⁵¹

ღირებულების წინააღმდეგობრიობა არსებობს მის მატერიალურ მხარეს – კონკრეტულ შრომასა – და მის საზოგადოებრივ განსაზღვრებას – აბსტრაქტულ შრომას შორის. ეს წინააღმდეგობა რეალურის სახით წარმოდგება ფულში, როგორც კერძო, ხელშესახებ საქონელში. ფულის გამრავლება კი გენეტიკურად არის კაპიტალის გამრავლება ექსპლოატაციის პროცესში, როცა სამუშაო ძალის გამყიდველი მუშაკები ხელფასის სახით იღებენ იმდენს, რამდენიც, კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში, ‘საარსებო მინიმუმის’ სახით, საჭიროა მათი სამუშაო ძალის რეპროდუქციისათვის, საწარმოო საშუალებების მესაკუთრე კი იტოვებს დანარჩენ, მაშასადამე, ზედმეტ ღირებულებას. თანასწორი გაცვლა, ამავე დროს, არის უთანასწორო გაცვლა.¹⁵² თუკი კაპიტალის რეალიზაცია მოითხოვს მოგების კვლავ ჭკვიანურად ინვესტიციას ახალი მოგების მიღების მიზნით, რადგან კონკურენცია კერძო კაპიტალს განუწყვეტლივ ედავება, კაპიტალის აკუ-

151 Karl Marx, *Das Kapital. Band. I* (1867), MEGA II.5, გვ. 37.

152 იხ. წინამდ. გამ., გვ. 303.

მულაციის ეს პრინციპი ისტორიული განვითარების პროცესში იქამდე მიდის, რომ, საბოლოოდ, კაპიტალების გამსხვილებით, მისი კონცენტრაციითა და ცენტრალიზაციით, გადასვლა ხდება კაპიტალიზმის ხსენებულ მონოპოლისტურ ფორმაში.

ამის შედეგად კი, სამუშაო ძალების ზედმეტობის ზრდა, ამავე დროს, ინდივიდუუმს, ჩანაცვლებადის და, საბოლოოდ, განადგურებადის სახით უარყოფს. მისი ქმედება სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა კაპიტალის, როგორც ავტომატური სუბიექტის, ქმედება. ინდივიდი კი, რომელიც იქცევა სხვად, იძულებული ხდება, სდიოს იგივეობას. ის მიიღწვის იდენტობის კონსტიტუირებისკენ, თუმცა მისი არსებობა სხვით, კაპიტალით და მისი სუვერენით, სახელმწიფოთი, არის განპირობებული. ეს არის საფუძველი იმისა, რომ სამოქალაქო სუბიექტები, იმავდროულად – სამართლის აბსტრაქტული წესით გაშუალებული სუბიექტების საზოგადოებრივი განსაზღვრების ფონზე – ცდილობენ კერძო რასობრივი იდენტობა მოიპოვონ. ამის შედეგად არის ნებისმიერი თანამედროვე სახელმწიფო რასობრივად კონსტიტუირებული.¹⁵³ რასობრივი იდენტობა, მაშასადამე, არ უპირისპირდება მოქალაქის ფორმალურ სამართლებრივ იგივეობას, რომელიც, ამავე დროს, ინდივიდისთვის უცხოობაა. ეს რასობრივ-ეროვნული იდენტობა შეესაბამება კონკრეტული შრომის აბსტრაქტული შრომისაგან ოკულტური განმენდის მცდელობას. ამ მცდელობას კი, ამავე დროს, მისი მცდარი წარმოდგენით, ეწინააღმდეგება კაპიტალის, როგორც აბსტრაქტული შრომით კონსტიტუირებული ღირებულების, გაუცხოებულად – მაშასადამე, არა უშუალოდ – რეალიზაციის პროცესი. ამგვარად, გერმანული სახალხო ერთობა წარმოჩნდება მცდელობად, რათა ღირებულების რეალიზაცია უშუალოდ, მისთვის ‘იდუმალი’ აბსტრაქტული განზომილების – ‘მოტყუებისა’ და ‘გაღლეტის’ – გარეშე, ასე ვთქვათ, ბუნებრივად გან-

153 *ob. Joachim Bruhn, Was deutsch ist. Kritische Theorie der Nation, Freiburg 1994, გვ. 94.*

ხორციელდეს. ნაცისტების ეკონომიკური ლოზუნგი იყო: „გაამტვრიეთ [საბანკო – დ.დ.] პროცენტების მონობა!“ ამ ‘მატყუარათა’, მაშასადამე, ებრაელების განადგურება კი აღმოჩნდება არა ღირებულების განადგურება, არამედ, პირიქით – კლასების ანტაგონიზმის მოხსნით, სწორედ კაპიტალის გაშუალებული რეპროდუქციის გაუქმების სახით – ღირებულების უშუალო რეალიზაციისკენ ლტოლვა.

ამისთვის კი, ამ საზოგადოებრივი შეშლილობისთვის აუცილებელია იმ ‘საპირისპირო რასის’ განადგურება, რომელიც გერმანელების პათიურ წარმოსახვაში განიხილებოდა სასიცვდილო მტრად. ეს ‘ანტი-რასა’ ხომ, აბსტრაქტული პრინციპის, სამართლის, უნივერსალური ადამიანის ცნების მიმდევრობით, წარმოადგენს საფრთხეს ღირებულების ‘ბუნებრივი’ კონკრეტული გზით რეალიზაციისთვის. ნაციონალსოციალისტების შეშლილობისთვის, სანამ არსებობენ ებრაელები, მანამ არსებობს კაპიტალი. ამით აიხსნება ისიც, რომ ნაციონალსოციალისტურ გერმანიაში ხალხი, სამოქალაქო საზოგადოება, და სახელმწიფო უშუალოდ ერწყმის ერთმანეთს. ხალხი არსებობს უშუალოდ სახელმწიფოსთვის, მაშასადამე, კლასობრივი განსხვავებები მნიშვნელობებს კარგავენ, ხოლო სახელმწიფო სუვერენი პირდაპირ იქვემდებარებს ხალხს – საბოლოოდ, ებრაელების განადგურების მიზნით. სხვა სიტყვებით, ინდივიდი უნაშთოდ გაიგივდება სუვერენთან, სხვასთან. კაპიტალის ურთიერთობა გაუქმებულად ითვლება, მაშინ როცა ის სინამდვილეში შენარჩუნებულია, რადგან კვლავაც არსებობს ფული, კაპიტალი და ეკონომიკური პროცესი მათ ფორმაში.

ამ ანალიზიდან გამომდინარე, აუშვიცი სხვა არაფერია, თუ არა კაპიტალის თავის თავში პარადოქსული ურთიერთიერთობის – რადგან აბსტრაქტული, საზოგადოებრივი ურთიერთობა დაკონკრეტდება კერძო ნივთში, ფულში – არა გადალახვა, არამედ კაპიტალის ურთიერთობის მხოლოდ უკიდურესი რეალიზაცია.¹⁵⁴ ამიტომ არის, რომ ჰორკჰამე-

154 იხ. Krug, „Ewiges Rätsel Auschwitz“, გვ. 36.

რისა და ადორნოს მიხედვით, ბარბაროსობა, წარმოების ეს ახალი ფორმა, ომის შემდეგ სრულებითაც არ ქრება. ის ვერც გაქრებოდა, სანამ არ შეიცვლებოდა მართლაც „თავისუფალ ადამიანთა გაერთიანებით“. ეპრაელების ამორჩევა ნაციონალსოციალიზმის პირველ და საბოლოო მსხვერპლად, მაშა-სადამე, ისტორიული აუცილებლობაა, განპირობებული მათი ისტორიულის იძულებითვე ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი მდგომარეობით. ამავე დროს, მსხვერპლი პრინციპულად ჩანაცვლებადნი არიან, რადგან ეპრაელებს ანადგურებენ საზოგადოებრივად სუსტა, თვითგადამრჩენი წარმოების სფეროდან მეტნილად გამორიცხულთა სახით. ყველა ის, ვინც საზოგადოებრივად სუსტია, ინდივიდის ზოგადი ეკონომიკური ზედმეტობის პირობებში, ტენდენციურად, ნიველირებადი და განადგურებადია, თუმცა პირველნი აღმოჩნდებიან კვლავ და კვლავ „რჩეული ხალხი“, როცა ანტიკაპიტალისტური რესენტიმენტი ღვივდება და არა კაპიტალიზმის კრიტიკა ხორციელდება.

ნებისმიერი პოსტნაციისტური დემოკრატიული საზოგადოება, რამდენადაც ის არის კაპიტალის ურთიერთობის მსოფლიო ბაზრის სახით დამკვიდრების შედეგი, თავის თავში შეიცავს ფაშისტურად ქცევის ცოცხალ პოტენციალს. რადგან მიმეზისი, ბუნებასთან დამსგავსების ლტოლვა, ბუნების თვითგადამრჩენი დამორჩილებით განიდივნება, ამიტომ ნებისმიერი იმპულსი, რომელიც ადამიანებს დღევანდელ საზოგადოებაში ახსენებს მორგების საკუთარი თავისთვის მიყენებულ ტანჯვას, განსხავებულის სიძულვილსა და მისი ინტეგრაციის უინს აღძრავს. ამიტომ „განმანათლებლობის ცნებაში“ ადორნო და პორკპაიმერი ასაბუთებენ თეზისს, რომ განმანათლებლობა გადავარდება მითოსში, და, პირიქით, პირველყოფილი დროის მითოსი უკვე წარმოადგენს განმანათლებლობის რაციონალური თვითგადარჩენის პრინციპის საწყისს. მითებით იწყება ბუნების მაკონტროლებელი ორგანიზაცია მებატონე თვითის მიერ. მითებში შემონახული თვითგადარჩენა განმანათლებლობის განვითარების პრო-

ცესში თავად გარდაისახება მითოსად. განათლებული სული და მის მიერ მართული სამყარო უპირისპირდება ადამიანებს მათთვის უცხო და მათ მიერ გაუკონტროლირებად ბუნებრივ ძალად. განმანათლებლობა, მაშასადამე, დასავლური და მსოფლიო ცივილიზაცია, მას შემდეგ, რაც ის ახორციელებს ბუნების დამორჩილებას იმ დონემდე, რომ ბუნება, დამოუკიდებელი და მისთვის შეუღწევადი საგნის სახით, თვითმყოფადობას ჰყარგავს, იმ შედეგს აღწევს, რომ თავად ნარმოების ინდუსტრიული პროცესი, მთლიანი საზოგადოება, იქცევა ადამიანებისთვის შეუღწევად და გაუკონტროლებად ბუნებრივ ძალად. ეს ბუნებრივი ძალა კი – სამოქალაქო საზოგადოება, რომელსაც ჰეგელმა „მეორე ბუნება“¹⁵⁵ უწოდა – საკუთარი კრიზისულობის გამო, მისი თავდაპირველი ბუნებისმიერი გადალახვის ლტოლვას აღძრავს. ეს ლტოლვა განხორციელდა კიდევ ნაციონალსოციალიზმში. ნაციონალსოციალიზმის შემდეგ დამკვიდრებული საზოგადოება კი ერთსა და იმავე დროს არის როგორც თვითშენახვა, ისე თვითგანადგურება.

კაპიტალიზმს, კაპიტალიზმამდელ ეკონომიკასა და საზოგადოებასთან შედარებით, ახასიათებს რაციონალიზმის მომენტი. ის სწორედ რომ აძლევს ადამიანს საშუალებას, ეფექტურად მოწყდეს ბუნებასაც და ბუნებრივ დამოუკიდებულებებს სოციალურ სფეროშიც, რა სახითაც ის კაპიტალიზმის წინ ჯერ კიდევ ფეოდალურ ურთიერთობებში ვლინდებოდა. ადორნო და პორკპაიმერი ამ პროცესს ოდისევსის ცბიერი თვითის, როგორც დასავლური ცივილიზაციის საწყისი ფორმის კონსტიტუირების მაგალითზე განმარტავენ. მაგრამ როგორც გარეგანი, ისე შინაგანი ბუნების დამორჩილების ეს რაციონალური მომენტი ისტორიის პროცესში თავად გახდა გამანადგურებელი, როცა ისტორიულად დაიკარგა საშუალება, ეს რაციონალობა განვითარებულიყო მართლაც თავისუფალი ინდივიდების საზოგადოების სახით. ამ კრასის რადიკალურ გამოხატულებად კი შეიძლება ჩაითვალოს

155 Hegel, *Grundlinien der Philosophie des Rechts*, § 4, გვ. 46.

ნაციონალსოციალიზმის დამკვიდრება. კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად, ინდივიდის მნიშვნელობა მის ფონზე თითქმის არარაობამდე იქნა დაყვანილი. ამ მეორე ბუნების, მაშასადამე, კერძო დაზიანებადი ტანით განსაზღვრული ინდივიდის გამაუქმებელი საზოგადოების მორჩილების, მოხსნას შეძლებდა ისეთი საზოგადოება, რომელიც თავისუფალი ინდივიდების გაერთიანების სახეს მიიღებდა იმის მეშვეობით, რომ ის კაპიტალის შეშლილ ფორმას გონივრულად მოხსნიდა. სწორედ ეს არის, ამავე დროს, ადორნოს მიერ მოგვიანებით „ნეგატიურ დიალექტიკაში“ ჩამოყალიბებული ახალი კატეგორიული იმპერატივის შინაარსი, რომელიც ჩვენ, როგორც ადორნო ამბობს, ჰიტლერმა თავზე მოგვახვია. ის აცხადებს, რომ ყველას ვალდებულება არის ყველაფერი ვიღონოთ, რათა არასოდეს გამეორდეს არაფერი აუშვიცის მსგავსი.¹⁵⁶ ეს კი შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, როცა გაუქმდებოდა შოას კატასტროფის შესაძლებლობის პირობები, რაც არის თანამედროვე განვითარებული კაპიტალიზმის ბუნების მორჩილება ერთდროული თვითგადარჩენისა და თვითგანადგურების სახით, სხვა სიტყვებით, მითოსი, და ჩამოყალიბდებოდა თავისუფალი ინდივიდების გაერთიანება – ის, რასაც მართლაც შეიძლება ეწოდოს კომუნიზმი.

156 იხ. Theodor W. Adorno, *Negative Dialektik* [1969], AGS 6, გვ. 358.

გამოცემის პერიოდი

„განმანათლებლობის დიალექტიკა“ თარგმნილია შემდეგი გამოცემის მიხედვით: Max Horkheimer und Theodor W. Adorno, *Dialektik der Aufklärung. Philosophische Fragmente*, in: Theodor W. Adorno, Gesammelte Schriften, Band 3, hrsg. von Rolf Tiedemann unter Mitwirkung von Gretel Adorno, Susan Buck-Morss und Klaus Schultz, Suhrkamp, Frankfurt a. M. 1998. ეს გამოცემა იმურებს 1969 წელს თავად ჰორქჰერისა და ადორნოს მიერ ფრანკფურტის ს. ფილმის გამოცემლობში გამოქვეყნებულ ტექსტს: Max Horkheimer und Theodor W. Adorno, *Dialektik der Aufklärung. Philosophische Fragmente*, S. Fischer Verlag, Frankfurt a. M. 1969. განსხვავებებისათვის 1944 წლის მიმღებრაფიულ გამოცემასა და 1947 წელს ამსტერდამში გამოქვეყნებულ ვერსიებს შორის (იხ. მთარგმნელის ნარკვევი, გვ. 371) მივუთითებ „განმანათლებლობის დიალექტიკას“ ინგლისური თარგმანის შენიშვნებზე: Max Horkheimr & Theodor W. Adorno, *Dialectic of Enlightenment. Philosophical Fragments*, ed. by Gunzelin Schmid Noerr, transl. by Edmund Jephcott, Stanford 2002.

10 ფრიდრიხ ბოლოკი (1894-1970) – გერმანელი სოციოლოგი და ეკო-ნომისტი, 1923 წელს მაინის ფრანკფურტის „სოციალური კვლევის ინსტიტუტის“ თანადამფუძნებელი. პოლოება დაცვა დასერტაცია „კარლ მარქსის ფულის თეორიის შესახებ“ (ფრანკფურტი 1923) და მას შემდეგ, რაც გაარიტიკა ვერნერ ზომბარტის მიერ მარქსიზმის უარყოფა, გამოაქვეყნა ნაშრომი „გეგმიური ეკონომიკის მცდელობები საბჭოთა კავშირში 1917-1927 წლებში“ (ლაიფციგი 1929). მისმა ნარმოდგენებმა სახელმწიფო კაპიტალიზმისა და კაპიტალიზმის სტადიების შესახებ „განმანათლებლობის დიალექტიკას“ ეკონომიკურ ნანამდვრებზეც მოახდინა ზეგავლენა. პოლოკი ადორნოსა და ჰორქჰერისა მიერთან ერთად იმყოფებოდა ემიგრაციაში აშშ-ში და „ინსტიტუტში“ მისი 1951 წელს გერმანიაში აღდგენის შემდეგაც მოღვაწეობდა.

14 *ghost writer*, ინგ. მწერლი-მოჩვენება. სხვა პიროვნების სახელითა ან შეკვეთით ნანარმოების შექმნელი ფარული ავტორი.

15 *petitio principii*, ლათ. დასაბუთების საფუძვლის გამოყენება, ინგლ. *begging the question*; არის მოჩვენებითი დასაბუთება, რომელშიც მტკიცება საბუთდება ისეთი დებულებებით, რომლებიც წაიმდლვარებენ თავად და-სასაბუთებელი მტკიცების ჭეშმარიტებას.

15 „სახალხო-რასობრივი“, გერმ. ზედამოთავი *völkisch* (სახალხო, ხალხური) კერძოდ გერმანულ ნაციონალსოციალისტურ რასისტულ იდეოლოგიას აღნიშნავს.

18 „ფოლქსვაგნი“ და „სპორტის სასახლე“ – ომის შემდგომ, შესაბამისად, დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის სამაგალიოო მიღწევები.

20 ფელიქს ვაილის (1898-1975) შესახებ იხ. გამოცემლის სტატია, გვ. 379.

20 ლეო ლიოვენთალი (1900-1993) „სოციალური კვლევის ინსტიტუტის“ წევრი გახდა 1926 წელს ლიტერატურის სოციოლოგისა და მასობრივი კულტურის სფეროების ექსპერტის სახით. ლიოვენთალი იყო ასევე „სოციალური კვლევის უზრნალის“ პასუხისმგებელი რედაქტორი. ნაციონალსოციალიზმის გაბატონების შედეგად აშშ-ში ემიგრაციის შემდეგ, იგი მოღვაწეობდა ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტში. იხ. Leo Löwenthal, *Schriften in fünf Bänden*, Suhrkamp, Frankfurt a. M. 1980-1987.

23 *operation*, ინგ. ოპერაცია, მოქმედება.

24 „მეოცნების სიზმრებასა...“ – მიუთითებს კანტის მიერ ემანუელ სვედენბორგის (1688-1772) ერითიკაზე, „მეოცნების სიზმრები, მეტაფიზიკის სიზმრებით განმარტებული“ (1766).

24 *Idola Theatri*, ლათ. თეატრის კერპები. სერ ფრენსის ბეკონის (1561-1626) „ნოვუმ ორგანუმში“ განსხვავდებულია ოთხი ტიპის „კერპი“, რომელიც ეუფლება ადამიანის განსჯას, აფერხებს მის ლოგიკურ აზროვნებას და ჭეშმარიტების უნარს. მათ შორის ერთ-ერთი სახეობა, „თეატრის კეპრები“, ნარმოიშობა ფილოსოფიური დოგმებისა და არგუმენტაციის მცდარი წესების ზეგავლენით.

26 *una scientia unviersalis*, ლათ. ერთიანი უნივერსალური მეცნიერება. თეოლოგიისაგან მკაცრად გამიჯნული „პირველი ფილოსოფია“ ფრენსის ბეკონთან განიხილავს ყველა მეცნიერებისათვის საერთო უმაღლეს კატეგორიებსა და პრინციპებს.

26 *mathesis universalis*, ლათ. უნივერსალური მათემატიკა. მისი იდეა ეკუთვნის რენე დეკარტს (1596-1650). უნივერსალურ მათემატიკას ევალება ახსნა ყველაფერი, რაც ექვემდებარება წესრიგსა და ზომას, როგორც შემცნების ზოგად საშუალებას, ლოგიკის დედუქციურ მეთოდზე დაყრდნობით.

26 *une idole d'échelle*, ფრანგ. კიბის კერპი.

26 კანონი, გერმ. der Kanon, სავალდებულოდ აღიარებულ ნაშრომთა ან მოძღვრებათა ერთობლიობა.

30 *hic et nunc*, ლათ. აქ და ახლა.

37 „*L'un est le tout ... la nature*.“ ფრანგ. „ერთი არის ყველაფერი, ყველაფერი არის ერთში, ბუნება ამარცხებს ბუნებას.“

40 *chronique scandaleuse*, ფრანგ. სკანდალური ქრონიკა, ეპოქისა ან კლასის სკანდალური ან საჭროარ ისტორიების კრებული, მაგალითად, 1488 წელს ლუდოვიკო X-ის საფრანგეთის საზოგადოებრივ ვითარებაზე შექმნილი ნაწარმოები.

47 „*Nos idées vagues ... riche*“, ფრანგ. „შემთხვევითობისა და კვინტესენციის ჩვენი ბუნდოვანი ნარმოდგენები ამ გაცილებით უფრო მდიდარი ცნების უფერული გადმონაშთებია“.

52 „იმ მარად იგივეობრივი ... ყველა ჩემს ნარმოდგენას“: იხ. Immanuel Kant, *Kritik der reinen Vernunft*, Hamburg 1998, B 131 დ.შ.

55 *success or failure*, ინგ. წარმატება ან წარუმატებლიობა.

56 „*Conatus sese ... fundamentum*“, ლათ. „თვითგადარჩენა სათნოების უპირველესი და ერთადერთი საფუძველია.“

61 „*Odyssée...*“, ჰომეროსის „ოდისეას“ ციტატები აქ და ქვემოთ გადმოტანილია ორი ქართული თარგმანის მიხედვით, იხ. „ოდისეა“, თარგმ. პ.

ბერაძე, რედ. რ. გორდეზიანი, თბილისი 1979; „ოდისეა“, თარგმ. ზ. კიკაძე
და თ. ჩხენჯელი, თბილისი 1986.

71 *ლურიო ვანინი* (1585-1619) – იტალიელი ფილოსოფოსი და თეო-
ლოგი, ინკვიზიციის მიერ მწვალებლად გამოცხადებული ვანინი დაწვეს
აუტოდაფეზე.

72 *common sense*, ინგ. საღი აზრი.

73 „*The supreme question ... can be had*“, ინგ. „უპირველესი საკითხი, რაც
დღეს ჩვენი თაობის წინაშე დგას, საკითხი, რომლიდანაც ყველა დანარ-
ჩენი გამომდინარეობს, არს ის, შევძლებთ თუ არა ტექნილოგიის გაյონ-
ტროლებას ... ვერავინ იქნება დარწმუნებული იმ ფორმულის უტყუარო-
ბაში, ამ მიზანს რომ მიგვაღწევინებას. ... უნდა ვისარგებლოთ ყველა ჩვენს
ხელთ არსებული რესურსით“.

80 *kradie, etor, dʒ.* ბერძ. გული.

81 *metis*, დჰ. ბერძ. ცბიერი.

81 *nus*, დჰ. ბერძ. სული.

81 *logistikon*, დჰ. ბერძ. გონება.

83 *siuum cuique*, ლათ. თითოეულს – თავისი.

84 „*With one exception ... Sacrifice.*“ „ერთი გამონაკლისის გარდა, ...
‘ილიადაც’ და ‘ოდისეაც’ ადამიანის ამაზრზენი მსხვერპლისაგან მთლია-
ნად განმეოდილია“.

87 *ver sacrum*, ლათ. წმინდა გაზაფხული.

87 *logos*, დჰ. ბერძ. გონება.

92 *gentleman*, ინგ. კეთილშობილი ვაჟი.

93 *in nuce*, ლათ. სიტყვა-სიტყვით: კაკალში. გამოთქმა ნიშავს „არსე-
ბითად, მოკლედ“.

99 *homo oeconomicus*, ლათ. ეკონომიკური ადამიანი; ეკონომიკური
თეორიების ცნება, რომლის თანახმადაც ადამიანის არსი განისაზღვრება
კერძო ინტერესით განპირობებული აზროვნებითა და ქმედებით. ტერმინი
ჩამოყალიბდა ჯონ სტუარტ მილის (1806-1873) ნარმოდგენის კრიტიკი-
სას, რომ ადამიანი მხოლოდ საკუთარი გამდიდრებით დანწერესებული
პიროვნებაა.

100 *nostos*, დჰ. ბერძ. მოგზაურობა, სახლში დაბრუნება. ამ თემას ეხე-
ბა პომეროსის „ოდიესის“ ძირითადი ნაწილი, რომელშიც მთავარი გმირი,
ოდისეპი, სამშობლოში დაბრუნებისკენ მიღლტვის ტროას ომის შემდეგ.

102 „*Morbuzედრა და ცბიერება...*“, გერმ. *verschlagen werden*, (უწებლიერი)
სადღაც მოხვედრა და *verschlagen sein*, (ცბიერების თვისება).

118 „*Whatever else is ... Death is.*“ ინგ. „რაც არ უნდა ორიგინალური იყოს
სხვა მხრივ ოდისევსის მითოსი – სიკვდილთან წვევა ორიგინალურია.“

121 *impassibilité*, ფრანგ. გულგრილობა, გულცივობა.

122 *quo usque tandem*, ლათ. „კიდევ რამდენი ხანი (გამოცდი ჩვენს მოთ-
მინებას)?“, ციცერონი.

124 *in nuce*, იბ. შენ. გვ. 93.

125 „*სქემატიზმი*“, იბ. შენ. გვ. 181.

130 „*ac si questio ... esset*“ ლათ. „ხაზების, სიბრტყეებისა და სხეულების
საკითხად“.

132 *team*, ინგ. (სპორტული) გუნდი.

135 *ordo*, ლათ. წესრიგი.

141 *un instinct général de société*, ფრანგ. საზოგადოების ზოგადი ინსტინქტი.

142 *amor intellectualis diaboli*, ლათ. გონების დემონური სიყვარული.

143 „*Poenitentia virtus ... impotens est*“, ლათ. „სინანული სულაც არ არის სათნოება. მაშესადამე, ის გონებიდან არ წარმოიშობა; და ვინც ქმედებას ინანიებს, ორმაგად უბადრუკი ან სუსტია.“

143 „*terret vulgus, nisi metuit*“, ლათ. თუკი ბრძოს არ ეშინია, ის თავადი ქცევა საფრთხედ.

144 *pauci beati*, ლათ. მშვენიერების ლიტავრები.

146 „...*oser tout dorénavant sans peur*“, ფრანგ. გაბედე, იცხოვრო უშიშრად.

150 *powers that be*, ინგ. ძალაუფლება.

150 „*quamvis pietatis ... videatur*“, ლათ. თუმცა, ერთი შეხედვით, ის გარკვეული სახის ლვთისმოსაობას გულისხმობს.

150 *commiseratio*, ლათ. თანაგრძნობა.

150 „*mala et inutilis*“, ლათ. მაკუერი და გამოუსადეგი.

150 *virtus*, ლათ. სათნოება.

150 *efficiency*, ინგ. ეფექტურობა.

152 *ars poetica*, ლათ. პოეტური ხელოვნება, არისტოტელესა და პორაციუსის კლასიკური ნაშრომების სახელწოდებაც.

154 *just for fun*, ინგ. უბრალოდ გართობის მიზნით. გაზეთების ცნობით, ენი ჰენრი 1940 წელს რამდენიმე საათის განმავლობაში პისტოლეტით ემუქრებოდა და ამცირებდა მამაკაცს, რომელმაც წაიყვანა იგი და მისა თანმხლები სახეირნოდ, შემდეგ კი მოკლა ის. იხ. *Los Angeles Examiner*, 29.11.1942 (ინგ. თარგმანი).

156 ბენცენდრინი – ამფეტანიმისგან შემდგარი ფსიქოსტიმულატორი; მეორე მსოფლიო ომის დროს, მაგალითად, გერმანიის „ვერმახტში“, ფართომასშტაბიანად გამოიყენებოდა ჯარისკაცების დაღლილობის მოსახსნელად და სიფხიზლის გამოსაწვევად.

158 *white trash*, ინგ. თეთრი ნაგავი, თეთრკანიანი მუშების აღმნიშვნელი დამამცირებელი გამოთქმა.

170 *philosophe mitré*, ფრანგ. მიტრას, კათოლიკური ეპოსკოპოსის თავსაბურვლის, მატარებელი ფილოსოფოვასი.

171 *absolument interdite*, ფრანგ. სასტიკად აკრძალულია.

171 *uniquement les enfants de la patrie*, ფრანგ. მხოლოდ და მხოლოდ მამულიშვილები (არიან).

172 *Bibliothèque Nationale*, ფრანგ. (საფრანგეთის) ეროვნული ბიბლიოთეკა.

172 *chronique scandaleuse*, იხ. შენ. გვ. 40.

172 „*gardez vos frontières ... vous*“, ფრანგ. დაიცავით თქვენი საზღვრები და დარჩით სახლში.

178 *jam (session)*, ინგ. მუსიკოსების თავყრილობა საიმპროვიზაციოდ, ჩვეულებრივად ჯაზის სფეროში.

179 *level*, ინგ. დონე.

180 *gadget*, ინგ. მოწყობილობა.

180 *conspicuous production*, ინგ. წარმოებაში დახარჯული სახსრების აშკარაობა.

181 *plot*, ინგ. სიუჟეტი.

181 სქემატიზმი – კანტის „წმინდა გონების კრიტიკის“ თანახმად, სქემატიზმი ეწოდება ტრანსცენდენტალური ცნობიერების იმ მოქმედებას, რომელსაც ახორციელებს პროდუქტიული წარმოსახვის უნარი. სქემატიზმი სპონტანური გონება გრძნობადობის მიერ მოწოდებულ მასალას ამ მიწოდების პროცესში წინასწარ აფორმებს გონებისვე ძირეული ცნებების, განსჯის კატეგორიების, შესაბამისად, რათა აკონსტიტუიროს შესაძლო გამოცდილების ობიექტები. იხ. Immanuel Kant, *Kritik der reinen Vernunft*, Hamburg 1998, A 137/ B 176 დ.შ.

182 *good sport*, ინგ. გადატ.: კარგი ტიპი.

182 *gag*, ინგ. კომედიანტის სახუმარო ნომერი.

186 ჯიოვანი პიერლიკიჯი და პალესტრინა (1514–1529), საეკლესიო მუსიკის განმაახლებელი იტალიელი კომპოზიტორი.

186 *ordo*, იხ. შენიშვნა გვ. 135.

186 *leading lady*, ინგ. წამყვანი (როლის მოთამაშე) ქალი.

188 დერილიუ ზენაკი (1902–1979), ამერიკელი კინოპროდიუსერი, „20th Century Pictures“-ის თანადამაარსებელი.

192 ლეონ გომონმა (1864–1946) 1895 წელს დაარსა ფრანგული კინოკომპანია „გომონი“. ძებმა პათეებმა 1896 დააფუძნეს კინოაღჭურვილობის მწარმოებელი კომპანია „პათ“, რომელიც ამზადებდა ფონოგრაფიულ ჩანაწერებსაც. ლეონპოლდ ულშტაინმა 1877 წელს შექმნა იმავე სახელწოდების გერმანული გამომცემლობა. ალფრედ ჰუგენბერგი (1865–1951) იყო გერმანული მეწარმე და პოლიტიკოსი, ნაციონალსოციალისტი, მედიის მსხვილი მესაკუთრე, რომელმაც დაეხმარა პიტლერის პარტიას ძალაუფლებაში მოსვლაში.

193 *cultural lag*, ინგ. კულტურული ჩამორჩენილობა.

194 „ჰეის აფიის“ იყო 1934 წელს ჰოლივუდში მოხალისეობრივი საწყისით დაარსებული საცენტურო სააგენტო.

195 მიკი რუნი, მსახიობი, იხ. შენ. გვ. 227.

195 ბეტი ბუპი, მაქს ფლაიშერის მიერ შექმნილი ანიმაციური ფილმების გმირი.

195 *idea, novelty, surprise*, ინგ. იდეა, სიახლე, სიურპრიზი.

196 „კაზინო დე პარი“ არის განსაკუთრებული ფუფუნებით მოწყობილი ცნობილი საკონცერტო დარბაზი პარიზში.

197 არნოლდ შიონბერგი (1874–1951) – ავსტრიელი ეპრაული კომპოზიტორი, დაკავშირებული ექსპრესიონისტულ მოძრაობასთან და მოგვიანებით „ვენის მეორე სკოლის“ მთავარი წარმომადგენელი. ნაცისტების პარტიის მიერ მისი მუსიკის „გადაგდარებულ ხელოვნებად“ გამოცხადების შემდეგ, შიონბერგმა 1934 წელს თავი შეაფარა ამერიკას. მეტწილად აქ მან ჩამოყალიბა ატონალური კომპოზიციის ფარგლებში დოდეკაფონიის, თორმეტნოტიანი ტექნიკის წესები, შემოიღო გავნითარებადი ვარიაციის ცნება და პირველი თანამედროვე კომპოზიტორი იყო, ვინც შეუდგა კომპოზიციებში მოტივების განვითარებას ცენტრალიზებური მელოდიური იდეებს დომინანტურობის გარეშე. ადორნო 1920-იან წლებში ვენაში სწავ-

ლობდა შიონბერგის წრის ერთ-ერთ მთავარ წევრთან, კომპოზიტორ-თან ალბან ბერგთან, შიონბერგის „ახალ მუსიკას“ კი მიუძღვნა მრავალი ნარკვევი. იხ. განსაკუთრებით „Schönberg und der Fortschritt“, in: Theodor W. Adorno, *Philosophie der neuen Musik* [1958], AGS 12, გვ. 36-126.

კარლ კრაუსი (1874-1936) – ავსტრიელი ებრაელი მწერალი, პუბლიცისტი, სატირიკოსი, პოეტი, დრამატურგი, ენისა და კულტურის კრიტიკოსი. 1899 დაარსებულ შურინალ „ჩირალდაბში“ (*Die Fackel*) 1912 წლიდან გარდაცვალებამდე იყო მისი ერთადერთი ავტორი. ადორნო განსაკუთრებით ხშირად „ესთეტიკურ თეორიაში“ განიხილავს კრაუსის ნაწარმოებებს, მის ესთეტიკურ-ფილოსოფიურ წარმოდგენასთან „საწყისი არის მიზანი“ კი ის ისევე დაახლოებულია, როგორც ვალტერ ბენიამინი, იხ. ვალტერ ბენიამინი, „ისტორიის ცნების შესახებ“, საგა: თბილისი 2008, გვ. 105.

198 გი ლომბარდო იყო სპეციალური საახალწლო კონცერტების წყალობით ცნობილი დირიჟორი.

200 *novelty song*, ინგ. წარმატებული ჰიტ-სიმღერები კომიკური ელემენტებით.

201 *slapstick comedy*, ინგ. სიტუაციური კომედია.

204 *romance*, ინგ. რომანტიკა.

204 *daring*, ინგ. გაბედული.

205 *fun*, ინგ. მხიარულება, გართობა.

205 *res severa verum gaudium*, ლათ. სენეკა, 32-ე წერილი, წერილები ლუცილიუსა. იხ. *Letters from a Stoic*. trans. Robin Campbell, Harmondsworth 1969. (ინგ. თარგმ.)

207 *escape*, ინგ. გაქცევა, *elopement*, ინგ. გატაცება.

207 *funnies*, ინგ. სასაცილო ამბები; გაზეთის გასართობი სექცია ხუმრობებით და კომიქსებით.

208 *Mrs. Miniver* – საოჯახო რადიოსერიალის, ასევე ფილმის მთავარი გმირი; *Lone Ranger* – ვესტერნის ჟანრის რადიოსერიალის მთავარი გმირი, სიკეთისათვის მებრძოლი მარტოსული კავბოის ტიპი; მოგვიანებით კინოფილმის გმირი (ინგ. თარგმ.) გი ლომბარდო, იხ. შენ. გვ. 198.

209 *women serial*, ინგ. ქალთა სერიალი.

210 *sales talk*, ინგ. ყიდვა-გაყიდვის, კომივოიაჟორის ენა.

211 *starlet*, ინგ. მცირე ვარსკვლავი.

212 *per aspera ad astra*, ლათ. გამოთქმა: მონდომებით – ვარსკვლავებამდე (მიაღწევ).

217 გერმ. Universum Film AG (UFA), 1917 წელს პოტსდამში დაარსებული ეს გერმანული კინოკომპანია 1925 წლიდან თანამშრომლობდა „პარამუნტისა“ და „მეტრო-გოლდვინ-მაიერის“ ამერიკულ სტუდიებთან, სანამ იგი 1927 წელს ალფრედ ჰიუგენბერგმა არ შეისყიდა და 1933 წელს NSDAP-ს გადასცა, რის შემდეგაც იქ იწარმოებიდა ნაციონალსოციალისტური პროპაგანდისტული ფილმები.

217 „*Hans Sonnenstöbers Hollenfahrt. Ein heiteres Traumspiel*“, „პარს ზონენშტიისერის მოგზაურობა ჯოგოხეთში. მხიარული ფანტასიარორია“, პაულ აპელის 1931 წლის რადიოპილსა, გადამუშავდა 1937 წელს გუსტაფ გრუნდგენსის მიერ. (ინგ. თარგმ.)

217 „Life with Father“, „ცხოვრება მამასთან“, პოპულარული ამერიკული საოჯახო რადიოსერიალი კლარენს დეის პიესის მიხედვით. (ინგ. თარგმ.)

218 დეგვუდი, კომიქსის „Blondie“ („ქერათმიანი“) გმირი.

219 villain, ინგ. არამზადა.

219 დოქტორ გილესი, ამერიკული დრამატული ფილმი „Calling Dr. Gillespie“ („ვიძიახებთ დოქტორ გილესის“, 1942) გმირი.

222 *getting into trouble and out again*, ინგ. ჩავარდე გასაჭირში და შემდეგ კვლავ გაექცე მას.

223 „Berlin Alexanderplatz“ ალფრედ დიობლინის 1929 წლის მსხვილი რომანი; „Kleiner Mann - was nun“, („ახლა რაღა, პატარა კაცი“), პანს ფალადას 1932 წელს როვოლტის გამომცემლობაში გამოსული რომანი.

225 touch, ინგ. აქ: ხელნერა. ერნსტ ლუბიჩი (1892-1947) გერმანელ-ამერიკელი კინორეჟისორი და მსახიობი.

227 social contact, ინგ. სოციალური კონტაქტი.

227 ვიქტორ მეჩური და მიუკი რუნი - ცნობილი კინომსახიობები, გმირისა და ანტიგმირის განსახირებები.

231 „Mrs. Miniver“, იხ. შენივნა გვ. 208.

231 *this concert is brought to you as a public service*, ინგ. „ეს კონცერტი მოგეწოდებათ საზოგადო მომსახურების სახით“.

235 commercial system, ინგ. კომერციული სისტემა.

237 *l'art pour l'art*, ფრანგ. ხელოვნება ხელოვნებისათვის.

238 plug, ინგ. ჩართვა; რადიოსადგურებზე პიტების პოპულარობის გაზრდა მათი ხშირ ტრანსლირებით.

239 შავპერანგოსნები ეწოდებოდათ ფაშისტებს, განსაკუთრებით იტალიაში და უსტაშებს – ხორვატიაში.

241 popular song, ინგ. პოპულარული სიმღერები.

241 fad, ინგ. ჟინი.

241 untragbar, გერმ. მიუღებელი.

242 rêverie, ფრანგ. ზმანება. მუსიკალურად: ფანტაზია; ბუნდოვანი, სიზმრისეული ხსიათის ინსტრუმენტული კომპოზიცია.

242 rhapsody, ინგ. რაფსოდია; ერთნაწილიანი მუსიკალური ნაწარმოები ეპიზოდური, მაგრამ ინტეგრირებული ხასიათით, თავისუფალი სტრუქტურით, მკაფიო კონტრასტის მქონე განწყობებით, შეფერილობითა და ტონალობით.

242 memory, ინგ. მეხსიერება.

242 სავარაუდოდ, გერპარდ ფლეში, გერმანელი პოლიციის მოხელე და SS-ის მეთაური ნორვეგიაში.

243 date, ინგ. პარტნერი.

243 personality, ინგ. პიროვნება.

250 აპასვერი – მარადიული (ასევე: მოხეტიალე) ებრაელი. მე-13 საუკუნის ქრისტიანული ლეგენდების პერსონაჟი, ებრაელი, რომელმაც ჯვარცმულ ქრისტეს დასცინა და ამის გამო, დაწყევლილი, „მარად მოხეტიალედ“ იქცა ქრისტეს მეორედ მოსვლამდე. მინონი არის ვოლფგანგ ფონ გოეთეს „ვილჰელმ მაისტერის სწავლების წლების“ რომანის პერსონაჟი, მორცხვი მოზარდი გოგონა, ჰომოსექსუალობის განსახირება.

254 *Schutzjude*, გერმ. დაცვის ქვეშ მყოფი ებრაელი. მე-12-13 საუკუნეების გერმანიის წმინდა რომაულ რაიხში „ებრაელების რეგალიით“, სამეცნ პრეროგატიული უფლებით, რაიხში, ჩვეულებრივ, დევნილ ებრაელებს ეძლეოდათ საშუალება, გადასახადის სანაცვლოდ მოქცეულიყვნენ კაზ-ზერის თავდაცვის ქვეშ.

255 *der Jude*, გერმ. „ებრაელი“ მხოლობითში, გერმანულ ანტისე-მიტურ ტექსტებში, გამოსვლებში, სიტყვებში ტიპიური ებრაელთა დამამ-ცირებელი სახელი.

257 *proton pseudos*, ძვ. ბერძ. თავდაპირველი შეცდობა.

260 მიმე – ნიბეჭუნგი მქედელი რიხარდ ვაგნერის ოპერაში „რაინის ოქრო“, გერმანული გმირი ზიგფრიდის ანტიპოდი. ებრაელობის ანტისე-მიტური გადმოცემის შესახებ ვაგნერის მუსიკაში, სადაც ზიგფრიდი და მიმე დაპირისპირებულ წყვილებს – სიყვარულ-სიძულვილსა და ბუნება-შრომას – გამოხატავენ, იხ. Gerhard Scheit, *Verbogener Staat, lebendiges Geld. Zur Dramaturgie des Antisemitismus*, Freiburg 1999, გვ. 266-276.

261 *haut goût*, ფრანგ. მაღალი გემოვნება.

262 „ცნებაში რეეოგნიცია“, იხ. Immanuel Kant, *Kritik der reinen Vernunft*, იქვე, B 103.

266 *principium individuationis*, ლათ. ინდივიდუაციის პრინციპი.

283 იხ. Theodor W. Adorno, „Theorie der Halbbildung“, in: AGS 8, გვ. 93-121.

285 *horror vacui*, ლათ. ცარიელი ადგილების შიში; გულისხმობს თავდაპირველად არისტოტელესთან ჩამოყალიბებულ ჰიპოთეზას („ფიზიკა“, თავი IV, 6-9), რომ ბუნება „უშინდება“ ცარიელ ადგილებს, რის გამოც ისინი აირებითა და სითხეებით ივსება.

286 *ultima ratio*, ლათ. საბოლოო საფუძველი.

290 ჰერმან ალვარდტი – ანტისემიტური პამფლეტების ავტორი, მე-19 საუკუნის ბოლოს რაიხსტაგის დეპუტატი, რომლის გამოსვლებაც წლების განმავლობაში თან ახლდა სკანდალი და აყალბაყალი. ჰერმან კუნცე ასწავლიდა კადეტების სკოლაში და თავმჯდომარეობდა „გერმანულ სოციალურ პარტიას“, იყო ანტისემიტი დემაგოგი. მისი ზედმეტასხელი (Knüppel: ჯოხი, ხელკეტი) უკავშირდება ხშირ ჩსუბჟებს მის შეხვედრებზე. (ინგ. თარგმ.)

290 სია, გერმ. *das Ticket*, ინგ. *ticket*, პარტიის კანდიდატების ერთიანი სია ამერიკის შეერთებული შტატების საარჩევნო სისტემაში.

292 *termini technici*, ლათ. ტექნიკური ტერმინები.

292 *armchair thinking*, ინგ. სავარძლის, მაშასადამე, პრეტენციოზული აზროვნება.

293 *cultural lag*, იხ. შენ. გვ. 193.

294 *homo oeconomicus*, იხ. შენ. გვ. 99.

294 *faux frais*, ფრანგ. გაუთვალისწინებელი საოპერაციო ხარჯები.

302 „ეოორდინაცია“, გერმ. *Gleichschaltung*, ერთგვაროვნად ქცევა, კოორდინაცია, სიტყვა-სიტყვით: ერთ ხაზზე, ასევე: ერთ არხზე დაყენება. ნაციონალსოციალისტების მიერ დამკვიდრებული გამოთქმაა მათი საშინაო პოლიტიკისათვის 1933 წელს „ძალაუფლების ხელში ჩაგდების“ (*Machtergreifung*) შემდეგ. მის შედეგად, 1934 წლამდე სახელმწიფოსა და

საზოგადოებაში პლურალისტული ცხოვრების ელემენტები აღიკვეცა: განსხვავებული აზრის გამომთქმელი პრესა, პროფესიული კავშირები, ოპოზიციური პარტიები. ასევე, მოხდა საზოგადოებრივი გაერთიანებების უნიფიცირება და „ნაციონალსოციალისტური მუშათა პარტიაზე“ დაქვემდებარება, მაგალითად „ჰიტლერიუგენდის“ (ჰიტლერული ახალგაზრდობა, მამაკაცებისთვის) და „ბუნდ დოიჩერ მედელის“ (გერმანელ გოგონათა კავშირი) სახით.

302 statements, ინგ. განცხადებები.

302 ინგლისის პრემიერ-მინისტრი ნევილ ჩემპბერლენი სამჯერ შეხვდა ჰიტლერს 1938 წლის სექტემბერში. მეორე შეხვედრა ჩატარდა ბად გოდეს-ბერგში.

302 unreasonable, ინგ. უგუნური.

304 პერსონაჟის ნიღაბის (*Charaktermaske*) ცნება კარლ მარქსმა ანტიკური თეატრის სფეროდან გადმოიღო ეკონომიკაში ადამიანთავის განსაზღვრული როლების აღსანიშნავად. ნიღაბი ხაზს უსვამდა პერსონაჟის საკუთარ როლთან ცალსახად დაკავშირებასა და მის ოპონენტან დაპირისპირებასაც, მაგალითად, ბატონი-ყმა, კაპიტალისტი-მუშა და სხვა. იბ. Karl Marx, *Das Kapital. Kritik der politischen Ökonomie. Bd. I*, MEW 23, გვ. 91.

305 იბ. *Die chinesische Flöte*, Nachdichtungen von Hans Bethge, Insel-Bücherei 1907, გვ. 17.

305 I am a failure, ინგ. ვერ ვივარგე. And that is that, ინგ. ეს არის და ეს.

312 Funeral home, ინგ. დაკრძალვების სახლი.

312 a pity that daddy lost control, ინგ. „დასაანია, რომ მამიკომ თავი ვერ შეიკავა“.

312 *Quand même*, ფრანგ. და მაინც.

319 *Soirées de Saint-Pétersbourg*, ფრანგ., იბ. უოზეფ დე მეტრი, „სანკტ-პეტერბურგის საბამოები“, 1821.

320 *hitchhiker*, ინგ. უფასოდ გზაზე გაჩერებული მანქანით მოგზაური.

320 *le dernier cri*, ფრანგ. უკანასკნელი გამოძახილი.

320 *species*, ლათ. სახეობა.

322 ტროგლოდიტი – პალეოლითის გამოქვაბულის მაცხოვრებელი.

322 *tabula rasa*, ლათ. ცარიცელი დაფა.

322 „ფრაზა“: იბ. Karl Marx und Friedrich Engels, *Die deutsche Ideologie*, in: MEW 3, გვ. 34/5.

322 „ეს დაცინვა ... სურდათ“: იბ. Karl Marx und Friedrich Engels, *Die heilige Familie*, in: MEW 2, გვ. 85. (ინგ. თარგმ.)

323 „შემოქმედებითი განვითარება“, იბ. Henri Bergson, *L'Evolution créatrice*, Paris 1907.

324 სოციალისტ ლეონ ბლუმის „სახალხო ფრონტის“ მთავრობაშ 1936-37 ნლებში გაატარა ფართომასშტაბიანი სოციალური რეფორმები.

327 *le mimétisme*, ფრანგ. მიმიკრია.

329 *Le prix du progrès*, ფრანგ. პროგრესის საფასური.

334 *corpus*, ლათ. სხეული, ცხედარი.

335 *Kalos kagathos*, ძვ. ძერძ. იბ. კალოკაგათია, მშვენიერებისა და სიკეთის ერთიანობა.


339 „აზრები და მოგონებები“: *Gedanken und Erinnerungen*, გერმანიის

- კანცლერის, ოტო ფონ ბისმარკის, ავტობიოგრაფია, 1890.
- 350 „ჩაპლინის ფილმი“: *The Great Dictator* (1940, „დიდი დიქტატორი“).
- 358 „...ჭეშმარიტება არის მთელი“: ი. Georg Wilhelm Friedrich Hegel, *Die Phänomenologie des Geistes*, Hamburg 2006, გვ. 15.
- 358 *social work*, ინგ. სოციალური შრომა.
- 358 *Christian Science*, ინგ. ქრისტიანული მეცნიერება. მერი ბეიკერ ედის მიერ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ბიბლიის საფუძველზე ჩა-მოყალიბებული რელიგიური მოძღვრება და მკურნალობის პრაქტიკა.
- 359 *oddities*, ინგ. ეგზოტიკური არსებები.
- 364 *façon de parler*, ფრანგ. საუბრის მანერა.
- 365 კარლ ფონ ოსიეცკი (1889-1938), – გერმანელი პაციფისტი და 1935 წლის ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი. ოსიეცკი გაასამართლეს სამშობლოს ღალატისა და შპიონაჟის გამო 1931 წელს მას შემდეგ, რაც მან გამოაქვეყნა ბრალდება, რომ გერმანია ფარულად არღვევდა ვერსალის ზავის პირობებს საპარო ძალების აღდგენით. 1933 წელს ოსიეცკი მოხვდა საკონცენტრაციო ბანაკში.

დევი დუმბაძე


სა.გა.ს ს ს ხვა გამოცემები:

ვალტერ ბენიამინი – ხელოვნების ნიმუში



მკითხველს პირველად ეძღვევა საშუალება გაეცნოს ქართულ ენაზე ცნობილი ფილოსოფოსისა და კულტურის მკვლევრის, ვალტერ ბენიამინის (1892-1940), ორ ნაშრომს: »ხელოვნების ნიმუში მისი ტექნიკური რეპროდუცირებადობის ეპოქაში« (1935-36) და »ისტორიის ცნების შესახებ« (1940).

პირველი წერილი ხელოვნების ნიმუშის »აურის« დაკარგვის ახსნას გვთავაზობს. მან განსაკუთრებული აქტუალურობა შეიძინა 60-იან წლებში, როცა იქცა მონოდებად, ხელოვნება გამოეყენებინათ სოციალურ-პოლიტიკური ემანსიპაციის მიზნით. თეზისები »ისტორიის ცნების შესახებ« აჯამებს ავტორის თანამედროვე პრიოდის ბჭობას ისტორიული მატერიალიზმის დანიშნულებაზე.



აკა მორჩილაძე –
კაგლათა ინ ჯორჯია

ცალკე გამოცემის სახით პირველად იპეჭდება თანამედროვე ქართველი მწერლის, აკა მორჩილაძის, ესეისტური ტექსტები: »კაგლათა ინ ჯორჯია« (2008) და »პირადი ენციკლოპედია« (2007).

ჰანს ბელერი – პიროვონტაზის ასპექტები



დასავლეთში ფართოდ გავრცელებული, შესავალი ხასიათის მქონე კინოსამონტაჟო სახელმძღვანელო ტექსტი, სადაც გაანალიზებულია აქტუალური სამონტაჟო მოდელები, ცნებები და რეჟისორთა სპეციფიკური სტილები: ეიზენშტეინი, ბუნუელი, ჰიჩკოკი, გოდარი, ტარკოვსკი, კუბრიკი, ჯარმუში და სხვა.


გამოცემას ახლავს კინო-სამონტაჟო ცნებების განმარტებითი ლექსიკონი; კადრის სიდიდეთა მაჩვენებელი და 180 გრადუსის პრინციპის ამსახველი სქემები.

რეზო კვესელავა – მოგონებები ქართველ

კინემატოგრაფისათვეში

ქართველი კინოდრამატურგის რეზო კვესელავას სამემუარო წერილების კრებულში »მოგონებები ქართველ კინემატოგრაფისტებზე« ავტორი იხსენებს: თენგიზ აბულაძეს, აკაკი ბაქრაძეს,

სულიკო ჟღენტს, მიხეილ კვესელავას, მიხეილ კობახიძეს, კოტე მიქაბერიძეს, ალექსანდრე რეზოვაშვილს, სერგო ფარაჯანოვს, ოთარ იოსელიანს, დორე ხინთიბიძესა და სხვებს.



გამოცემაში წარმოდგენელია ქართველ კინემატოგრაფისტთა უნიკალური ფოტოები ავტორის პირადი არქივიდან და კინოსტუდია »ქართული ფილმის« ორასამდე თანამშრომლის მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები.

ფსიქიატრიასთან გამოცდილების მქონე პირთა გერმანული
ასოციაცია – რჩევები და ხერხები – როგორ ვმართოთ
»შემდიღ-ობა«?



სტაბილურობის მოპოვებაში.

»მეგზური« განკუთვნილია ფსიქიატრიასთან გამოცდილების მქონე ადამიანებისა და მათი ახლობლებისათვის, რომლებიც კრიზისის დროს და მის შემდეგ მხარში უდგანან ამ პიროვნებებს. აქ მოცემული რჩევები საშუალებას გვაძლევს ინდივიდუალურად და შინაურულად მოვეკიდოთ ამ მდგომარეობას; გვეხმარება, შეძლებისდაგვარად ფსიქოტროპული წამლების გარეშე, ორგანიზმისადმი ზიანის მიყენების გვერდის ავლით, მოვლენების მართვასა და მყუდროებისა და

ტექსტსა ახლავს ფსიქიატრთემური იოსებაძის ბოლოსიტყვაობა და დამხმარეობა თავითა საკონტაქტო ინფორმაცია.

ସା.ଧା.୬ ମୋହନୀସ ପୁରୁଷ – ପୁରୁଷ ଏକ ବିଶ୍ଵିଷେଣ!